

652 /
1965 / 3

საქართველოს
საბჭოთაო

საქართველოს

საქართველოს

19365



ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური

ჟურნალი

საპარტემლოს მფარველთა
კავშირის აზარის
განყოფილების ორგანო

შინაარსი

იმ დღეთა მოსაგონარად

დიალი გამარჯვება	3
ბ. ტაბიძე — ვინ იყო ის? (ლექსი)	6
ბ. თბაქაშვილი — მოულოდნელი შეხვედ- რა (მოთხრობა)	9
ნ. მაღაშვილი — უიღბლო ბარათი (ლექსი)	15
ბ. გოგელია — შავი ღამეები (მინიატურა) .	17
მ. ვარშანიძე — ლექსები	19
ჯ. ქათამაძე — ჩემს ძმას (ლექსი)	22
ი. იბაკოშვილი — ასეა საჭირო! (მოთხ- რობა, თარგმნა ირ. ქებაძემ)	24
ჯ. შამილაძე — იახმანი ისევ ჭყავის (ნარკვევი)	28
მ. ხინიკაძე — ომის დღეებში	32
ალ. ჩხანიძე — ჩრდილოეთის ცნარე დღე- ები (ნარკვევი)	34
ჯ. ჯაყელი — ჰანიბალური ფიცის რაინ- დებს (ლექსი)	46
ბ. შერვაშიძე — ყივლარიდან ყივლარაბ- დე (მოთხრობა)	48
ზრ. ხალვაში — ნოველები	55
ს. მსენინი — შავი კაცი (ლექსი, თარგმნა გ. ხალუქაძემ)	61

2676

3

1965

მედიკ
ივნილი

გაზ. „საბჭოთა აზარის“



რუსთველის დაბადების 800
წლისთავისათვის

ბრ. შანიძე — რუსთველი თუ რუსთაველი? 66

ლიბერატორული კალენდარი

ძ. შავჭავჭავაძე — დიდი სახალხო მგოს-
ნი 72

აჭარის წარსულიდან

ხ. ახვლედიანი — სახელოვანი პატრი-
ოტი 78

სატირა და იუმორი

ალ. ლომინაძე — ობოზა (სკეტჩი) . . 85

საზღვარგარეთ

კულტურული ცხოვრების ქრონიკა . . . 93

— • —

რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია:

ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი),
პ. ლორია, ალ. ჩავჭავჭავაძე, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოგებაშვილის ქ. № 24.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

დიადი გამარჯვება

ოცი წლის წინათ, 1945 წლის 9 მაისს, დამთავრდა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, დამთავრდა ჩვენი გმირი ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებით — მტრის სარდლობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციის ოქმს. შეწყდა ზარბაზნების გრიალი, ტყვიამფრქვევთა კაკანი, აღარ გაისმოდა ყუმბარების აფეთქების ხმა. დადგა ესოდენ ნანატრი მშვიდობა.

დიდმა სამამულო ომმა მთელი ძალით ცხადყო საბჭოთა ადამიანების მგზნებარე პატრიოტიზმი და კომუნიზმის დიადი საქმის ერთგულება. ომის წლებში ჩვენი სამშობლო ერთი მთლიანი სამხედრო ბანაკი იყო. სადაც არ უნდა ყოფილიყო საბჭოთა მოქალაქე — ფრონტზე თუ ზურგში, იგი ყველაფერს აკეთებდა საზიზღარ მტერზე გამარჯვებისათვის, სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის. მსოფლიოს არ ახსოვს ხალხის ასეთი მასობრივი გმირობა. როცა აუცილებელი იყო, ადამიანებს უყოყმანოდ მიჰქონდათ თავისი სიცოცხლე სამშობლოს საკუთხეველზე. მარტო მატროსოვის ლეგენდარული გმირობა საბჭოთა არმიის ორასზე მეტმა მეგრძოლმა გაიმეორა.

საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა. წინააღმდეგ ცნობილი დებულებისა — „როცა ზარბაზნები გრიალებენ, მუშები ღუმან“ საბჭოთა მწერლებმა, არტისტებმა, მუსიკოსებმა, სხვებმა შექმნეს არაერთი ნაწარმოები, რომლებიც აღაფრთოვანებდნენ ფრონტისა და ზურგის მეგრძოლებს, განუმტკიცებდნენ მათ მტერზე გამარჯვების რწმენას. კავკასიის გმირული დაცვის დროს მეტმა ირაკლი აბაშიძემ გამოაქვეყნა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“, რომელმაც არნახული პოპულარობა მოიპოვა და მალე სიმღერადაც იქცა. საბჭოთა არმიის მეგრძოლები თუ ზურგის მშრომელები გატაცებით კითხულობდნენ და მღე-

როდნენ გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ალიო მირცხულავას, ალექსანდრე აბაშელის, გრიგოლ აბაშიძის, ბევრი სხვა ქართველი პოეტის ლექსებს. არაერთი საუკეთესო ნაწარმოები დაწერეს აგრეთვე ჩვენმა პროზაიკოსებმა, დრამატურგებმა.

სხვებთან ერთად საომარ ყაიდაზე გარდაქმნეს მთელი თავისი შემოქმედებითი საქმიანობა აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა. ბევრმა მათგანმა ფრონტს მიაშურა და არა მარტო კალმითა და სიტყვით, არამედ იარაღით ხელში თავდადებით ებრძოდა მომხდურ მტერს. მათ შორის იყვნენ პოეტები მამია ვარშანიძე და შალვა იოსელიანი, ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობები აკაკი მგელაძე (დღეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი), გიორგი ახვლედიანი, ხასან მიქელაძე და გაიოზ გოგობერიძე (ამჟამად საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი), იუსუფ ზოიძე, სერგო ზორავა, დურსუნ თხილაიშვილი და სხვა მრავალი. ზოგიერთმა მათგანმა ყველაზე ძვირფასი — სიცოცხლე შესწირა სამშობლოს ბედნიერებას, გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე, როგორც მაგალითად, ილიას კახიძე და ტოგო გოგსაძე, უგზოუკვლოდ დაიკარგა ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი შალვა იოსელიანი. სამარადისო ხსოვნა მათ, სახელოვან მამულიშვილებს, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებს!

დიდი შემოქმედებითი აღმავლობით მუშაობდნენ უფროსი თაობის მწერლები — პროზაიკოსი პარმენ ლორია, პოეტები ნესტორ მალაზონია და პარმენ რურუა, დრამატურგი ა. შერვაშიძე. სწორედ ომის წლებში დაწერა პ. ლორიამ რომანი „ალისფერი დილა“, მოთხრობები „ფრონტზე და ზურგში“, „ქარიშხალში“ და სხვები, რომლებიც ჩვენმა მკითხველმა გულთბილად მიიღო. რომანში „ალისფერი დილა“ პროზაიკოსმა გვიჩვენა ფრონტისა და ზურგის ერთიანობა, საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო თავდადება კომუნიზმის იდეისადმი და სამშობლოს მსურველ სიყვარული. დამსახურებული წარმატება ხვდა ა. შერვაშიძის ისტორიულ დრამას „ბაგრატიონი“, რომელიც დღემდე რჩება დრამატურგის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად.

ომის წინ გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე პოეტები მამია ვარშანიძე, ნანა გვარიშვილი, გიორგი სალუქვაძე, პროზაიკოსი კ. რუსიძე და სხვ. მაშინ ახალგაზრდა ლიტერატორები უფროს კოლეგებთან ერთად ყველაფერს აკეთებდნენ მტერზე გამარჯვებისათვის და თავის ნაწარმოებებში გულწრფელად უმღეროდნენ საბჭოთა ადამიანების მამაცობასა და გმირობას, სამშობლოსათვის თავდადებას, ამხნევებდნენ და ახალი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებდნენ მათ. მალე ახალგაზრდა პოეტების რიგებს შეემატა ფრიდონ ხალვაში. მან ყურადღება მიიპყრო პირველივე ლექსით, რომელიც სამამულო ომის ფრონტზე ვაჟაკურად დაღუპულ სა-

ხელოვან მფრინავ ისრაფილ ჭინჭარაძეს მიუძღვნა. ხალხმა ეს ლექსი სიმ-
ღერად აქცია.

გარდა ამისა, აჭარის მწერლები, ხელოვნების მუშაკები რეგულარულად მართავდნენ ლიტერატურულ საღამოებს, საშეფო კონცერტებს, ჯარის ნაწილებში, ჰოსპიტლებში, საწარმო-დაწესებულებებში, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში მიჰქონდათ მართალი ბოლშევიკური სიტყვა. ჩვენს მწერლებსა და არტისტებს ყველგან ძლიერ გულთბილად ხვდებოდნენ, მქუხარე ტაშით აჯილდოებდნენ, ხელახლა იწვევდნენ, რაც მჭევრმეტყველურად მოწმობდა, რომ საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, როგორც ყოველთვის, ხალხთან იყო. ხალხის ინტერესებს გამოხატავდა და იცავდა.

დღეს, სახელოვანი გამარჯვების ოცი წლისთავზე, აჭარის მწერლები და ხელოვნების მუშაკები კვლავ ხალხთან არიან და ქმნიან ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახავენ საბჭოთა ადამიანების ბრძოლას კომუნიზმისათვის, მშვიდობისა და ჰუმანიზმის დამკვიდრებისათვის მთელ დედამიწაზე. და თუ მშვიდობის თემა ერთ-ერთი წამყვანია მათს შემოქმედებაში, ეს საგნებით კანონზომიერია. ომში დაღუპულთა ბევრი დედა თუ მეუღლე დღესაც შავებში დადის, ჯერ კიდევ ცოცხალია ჩვენს შეგნებაში ომის საშინელებანი, მაგრამ ამერიკელი იმპერიალისტები, გერმანელი რევანშისტები და სხვა რეაქციული ძალები ისევ აუღარუნებენ იარაღს, მსოფლიოს ახალი კაპიტალიზმით ემუქრებიან. ამერიკელი იმპერიალისტები ამკარა ომს ეწევიან სამხრეთ ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, ბომბავენ ჩრდილოეთ ვიეტნამის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს, სისხლში ახშობენ დომინგოელი ხალხის პროგრესულ მოძრაობას.

მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობა გმობს ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი სატელიტების პროვოკაციულ მოქმედებას, გადაჭრით და მტკიცედ მოითხოვს, რომ შეწყდეს მათი აგრესია მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხს სჯერა, რომ მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე, რომ ხალხები აღარ დაუშვებენ მსოფლიო ისევ გაეხვიოს ომის ხანძარში. მაგრამ ამისათვის საჭიროა ბრძოლა და ამ ბრძოლაში საბჭოთა მწერლები, ხელოვნების მუშაკები ხალხთან არიან და მუდამ ხალხთან იქნებიან.



გალაქიონ ჯახიძე ვინ იყო ის?

აწ გითხრა ომი მოყმისა
მებრძოლთა დამსაჯარისა.

შოთა რუსთაველი.

ვინ იყო, რომ ოცდაათი
საოცარი გაფრენით —
ყოველი დღე და საათი
ანთო აღმაფრენით?
საზენიტო ცეცხლის აღში
მტრის ტყვიის დამცინავი
უყურებდა სიკვდილს თვალში
გამბედავი მფრინავი?
ვინ იყო, რომ შეაერთა
ძალა შურისმგებლების,
თუმც გარს ერტყა ურდო მტერთა
გამანადგურებლების?
ვინ იყო რომ აღმაგზნები
მიუღგომი შიშისთვის,
ბელგოროდის გახსნა გზები
ჩვენი იერიშისთვის?
— შვილი ქართლის და აჭარის,
სავსე გულის სიალით —
ჯინჯარაძე! — გახდა ჯარის
საპასუხო გრიალი.
— ვისი გახსოვთ ვაჟკაცობა,
ცოდნა, გამბედაობა,
თავდადების წრფელი გრძნობა,
ნიჭი, შორსმხედლობა,

როცა როგან-ხარკოვისა
აეროდრომს კრებული,
ასი თვითმფრინავი მტრისა
იყო ჩასაფრებული?
ვინ დაესხა თავს, რომელმა
მტერს სიკვდილი არგუნა?
— ჯინჯარაძე! — ჯარმა მთელმა
ერთხმად დაიგუგუნა.
— ვინა სთქვა, რომ ჩვენს არეებს
მტერმა ვერ მოიღწინოს?
მე ვიგონებ განვლილ დღეებს
და იმ ველენიხინოს,
სადაც სძრავდა მტერი ზეავეს
და მით ჰქმნიდა ერთ ხელს —
ტანკებსა და თვითმფრინავებს —
სამოცდაათ ერთეულს.
ვინ მუსრავდა მაშინ ტანკებს,
ვინ სწყვეტდა თვითმფრინავებს?
სცემდა ცეცხლის ენებს განგებს,
ჯართ ნაწილებს მგმინავებს?
სამი თვითმფრინავი მტრისა
როს გამოჩნდა ვეება,
ვინ იყო, რომ ერთი იმ სამს
თავგანწირვით შეება?

ვინ გადუდო ღუმშანს სარმა
და უშვა — ვით ბზრიალა?
— ზინჭარაძე! — მთელმა ჯარმა
ერთხმად დაიგრიალა.
— ვინ იყო, რომ მკლავ-ძლიერი,
როგორც გრივალთა-ჩენა,
კლავ ორმოცდათერთმეტჯერი
მოახდინა გაფრენა?
ვის არ ჰქონდა რული თვალთა,
წამს არ თვლიდა უძრავად —
მტრის ტექნიკის და ცოცხალთა
ძალთა შესამუსრავად?
მერე როგორ პირობებში!
გარემოცვა რავგარი!
გარს უვლიდა ზურგში, ფრთებში
თვითმფრინავთ ნიაღვარი!
ვინ იყო ის, სავსე გზნებით,
ჰაერთა ჯადოქარი?
— ზინჭარაძე! — მღელვარებით
ისმის ხმა ბობოქარი.
— მოვიგონოთ შარშანდელი
სიცხე მარიობისთვის
და ქალაქი, ვით სანთელი
ანთებული დნობისთვის.
ვინ დააცხრა ყუმბარებით
აეროდრომს მტრისასა?
ვინ მიეჭრა ყრუ ფარებით
ბჭეებს ქალაქისასა?
მთელი ლავა მძლე და ავი
ცეცხლისა ვინ აპკურა
და მრავალი თვითმფრინავი
იქ ვინ გაანადგურა?
ვინ გადასჭრა ზეცა სხივით
და მიწაზე სდგა მუხად?
— ზინჭარაძე! — გრივალის
გამოისმა პასუხად.
— გაიხსენეთ, ყოველ ნერვის
ამოგდების მომდომი
მტრის დაძაბვა. და პომერკის
ვრცელი აეროდრომი.

ჩვენი კორტნა სურდათ სვაფებს,
მიწვდა აწ იმათვე-რა,
იქ ვინ დასცხო თვითმფრინავებს
და ვინ გააცამტვერა?
ვინ აჩენდა ხანძართ სვეტებს
ამოგარდნილს სამუხად,
და მტრის ცეცხლის ბევრი წერტი
დარტყმით ვინ ჩააჩუმა?
ვინ იყოს ის ძვირფასი ძმა,
ვისი სისხლის დუდილი?
— ზინჭარაძის! — გაისმა ხმა —
როგორც ჭექა-ქუხილი.
— კვლავ ავგისტო იდგა ზრზენით
და დერგაჩის ტყეები,
სადაც ვერაგო, გაიხსენეთ,
ჰქონდათ სიმაგრეები.
ოლონდ — ვიგრძნოთ! —

დაგუბებულ

შურს იქ ვინ არ იძიებს...
ვინ სცემდა იქ განლაგებულ
ტანკებს, მტრის პოზიციებს?
ვინ იყარა მტერზე ჯავრი,
მოუსპო რაც ებადა?
ვინ მოაწყო რისხვა მძლავრი
დიდთა აფეთქებათა?
გადამრჩენი ძმების, დების,
ვინ იყო ის მფრინავი?
— ზინჭარაძე! — აღტაცების
გაისმა ხმა მგრგვინავო...
— კიდევ, გახსოვთ ლეზოტინის
სარკინიგზო სადგური...
მტერზე ამომყრელმა ყინის
მხნედ რომ ეძია შური,
დაუტია ჰაერიდან
მიხაეისფერ ზმანებას,
არასგზით არ დაერიდა,
მრავალრიცხოვანებას!
რისხვა, სეტყვა ყუმბარების
ღუმშანებს მიათოვა.
მტერი შედრკა, გამწარების

სადგური მიატოვა.
 ჩვენი გახდა მას შემდეგ ის,
 მსწრაფლ იქნა აღებული —
 ზონა მოწინააღმდეგის
 მიერ გამაგრებული.
 ძალით, სთქვით, რომელი კაცის—
 მტერი ხევს გაიჭეკა?
 — ჯინჯარადის, ჯინჯარადის! —
 ჯარმა ერთხმად იჭეკა.
 — ენკენისთვე ცივი, მკრთალი.
 არ ისვენებს მტერი ის.
 სდგას ტანკების და დიდძალი
 რიცხვი არტილერიის.
 ის ხელს უშლის ჯარის ჩვენის
 წინააღმდეგ, დავდექით.
 შეხეთ ჩვენს ორბს, როგორ შევენის!
 ძალით წინააღმდეგით
 შორს გაშალა მძლავრი ფრთები
 ფოლადისა და რკინის —
 და აფეთქდეს ბლინდაეები,
 ცისტერნები ბენზინის.
 ცად იწია ცეცხლის ღვართქმა,
 შიგ იწოდა მენებელი.
 იყო დარტყმა, მაგრამ დარტყმა
 გამანადგურებელი.
 ძლეულ იქნენ ბაცილები.
 ამ ძლიერის დარტყმითა!
 მსწრაფლ გზა ჩვენი ნაწილების
 იერიშზე გადავიდა...
 ვინ იყო ის, მტერთ მორევნის
 ოსტატი მეთაური?
 — ჯინჯარადე! — ზღვის მორევის
 ხმით გაისმის ხმაური.
 — პირადად ვინ თავისჯერი,
 შესძრა ფენათა-ფენა:

თვლით ორმოცდათორმეტჯერი
 სამომარი გაფრენა?
 პირადად ვინ, შორი-შორი,
 უფსკრულს გადააქანა —
 თვლით ორმოცი და კვლავ ორი,
 მეტიც ავტომატანა?
 პირადად ვინ, ვით ნიანგი
 მსვლელი, შავად მბზინავი,
 მოსპო ოცდაათი ტანკი
 და ექვსი თვითმფრინავი?
 პირადად ვინ, და რომელმა
 ჩვენს სამუსრად სავალი
 მუსრა აეროდრომები
 და გზათ რიცხვი მრავალი?
 პირადად ვინ, გამეტებით
 მოუსპო მტერს სიცოცხლე,
 ჩააჩუმა მტრის წერტების
 დაუმცხრალი საცეცხლე?
 პირადად ვინ, სადაც სჩანდა
 მტერი მიწით თუ ზეცით,
 მოსპო, დასჭრა და გაფანტა
 რვაას-ოთხმოცი მხეცი?
 პირადად ვინ, მონღოებით,
 მთელის ღონით და ძალით
 ააფეთქა საწყობები
 სამომარი მასალით?
 პირადად ვინ, მფრენი მცველად,
 ღრუბელთა საწვდომებში
 იმარჯვებდა საკვირველად
 საჰაერო ომებში?
 მიენიჭა პირადად ვის
 გმირის დიდი სახელი?
 — ჯინჯარადეს! — ჯარის ისმის
 ხმამაღალი ძახილი!



ქონსკანაზინა თამაზაური მოულოდნელი შეხვედრა

რა მალე განვლო ოცმა წელმა! თითქოს ყოველივე ეს გუშინ იყო. საგრძნობლად შემერია თმაში ჭალარა. ომის შემდეგ ოცი წელია არქიტექტურის საკვლევ ინსტიტუტში ვმუშაობ. ვადგენთ პროექტებს, ვაშენებთ ქალაქებს. მართლაც რა დიდი ბედნიერებაა, შენი საყვარელი ქალაქი რომ ყოველდღე იზრდება და მშვენიერდება! გიხარია, რომ ამ დიდ საქმეში შენი წვლილიც ურევია. ყოველი ახალი შენობა არქიტექტურის მხატვრული ნაწარმოებია. როგორც სახელოვან მწერალს შეუძლია იამაყოს თავისი შემოქმედებით, ასევე არქიტექტორსაც შეუძლია იამაყოს მისი პროექტით აგებული შენობებით. განა „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად გელათი და სვეტიცხოველი მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებს არ წარმოადგენენ?

ასეთ ფიქრებში ვიყავი გართული, ტელეფონის ზარის ხმა რომ შემომესმა... ჩვენი ინსტიტუტის დირექტორი კაბინეტში მიხმობდა. შევედი თუ არა, დირექტორმა ხელში დეპეშა მომაჩეხა და გამიღიმა. ჩემს სახეს მოულოდნელმა სიხარულმა გადაურბინა. არქიტექტორთა საერთაშორისო ყრილობაზე ვიყავი მიწვეული მიუნხენში. შეკრების ადგილად მოსკოვი იყო მითითებული. სასწრაფოდ უნდა გავმგზავრებულიყავი...

მეორე დღეს უკვე მოსკოვში ვიყავი. ყდანოვის ქუჩაზე არქიტექტურის ინსტიტუტში ბევრი ნაცნობი დამხვდა. მიხაროდა, რომ ასეთ ახლობელ ადამიანებთან მომიხდებოდა მოგზაურობა.

მოსკოვის აეროპორტიდან თვითმფრინავმა გეზი პირდაპირ ბერლინი-საკენ აიღო. გამცილებელმა ქერა ქალმა, რომელიც დამტვრეული რუსულით ლაპარაკობდა, ტკბილეული მოგვაწოდა. სავარძელში ჩემს გვერდით რუსი არქიტექტორი იჯდა. იგი თავისი მოხსენების დებულებებს მაცნობდა. ბერლინთან მიახლოება მხოლოდ მაშინ გავზავეთ, როდესაც ჩვენს ქვემოთ ფერადი ნათურებით აჭრელებული აეროპორტი გამოჩნდა.

მალე თვითმფრინავის თვლები მიწას შეეხო. რა გინდ გულადი დამაშინებელი იყოს მგზავრი, მშვიდობით დაფრენამ შეუძლებელია არ გაახაროს. ჩვენც გაგვეხარდა და სასაზღვრო ცერემონიალის შემდეგ მოვისურვეთ ბერლინის სახელდახლოდ დათვალიერება. გამოიკვცა, რომ საამისოდრო არ გვყოფნიდა, მიუხეანში მიმავალ მატარებელს ველარ მივუსწრებდით და სპეციალური ავტობუსით პირდაპირ რკინიგზის ვოგზალში ამოვყავით თავი.

ვოგზლის დიდსეცეებიანი დარბაზები ხალხით იყო გაჭედული. რეპროდუქტორები ყოველ წუთს აცხადებდნენ მატარებლის მოსვლისა და გასვლის დროს. დიქტორის ხმას რომ გაიგონებდა, ხალხი ერთი წუთით გარინდებოდა, შემდეგ კი ერთბაშად ფეხზე წამოიჭრებოდა და ერთი მიმართულებით გაექანებოდა, გეგონებოდათ, საპაერო განგაში გამოაცხადეს და თავშესაფარში გარბიანო. აი ისევ გაისმა დიქტორის ხმა და ჩვენი ჯგუფი მგზავრების ნაკადს შეერია. ამ ნაკადში ჩვენი ალარ იყო დამოკიდებული არც მიმართულების შეცვლა და არც ნაბიჯის აჩქარება თუ შენელება. მალე მიუხეანისაკენ მიმავალ მატარებელთან გავჩნდით.

გზადაგზა ბლოკნოტში ბევრი საინტერესო ცნობა ჩავიწერე, მაგრამ მაინც უკმაყოფილო ვიყავი — მეტი მინდოდა.

მატარებელი მიუხეანში გაჩერდა. ჩვენს ვაგონთან მკლავზე წითელ-ლენტიანი გერმანელები გაჩნდნენ. ისინი ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები იყვნენ. მისალმების შემდეგ ავტობუსში ჩავსხედით და სასტუმრო „მიუხეანში“ მიგვიყვანეს. რამდენიმე წუთის შემდეგ სასტუმროს დირექტორმა პირადად შეამოწმა ჩვენი ოთახები. დირექტორს ახლდა ფანქრით და ბლოკნოტით შეიარაღებული ყმაწვილი, რომელიც მზად იყო ჩაენიშნა ჩვენი პრეტენზიები. უკმაყოფილება თითქმის არავის გამოუთქვამს. არც მე. კმაყოფილი დირექტორი ოთახიდან ნელი ნაბიჯით გავიდა. უნებლიეთ თვალი გავაყოლე მას. გულში ვფიქრობდი: ეს სახემახინჯი კაცი სადღაც მინახავს, მაგრამ სად? როდის?

დაღლილი ვიყავი. ადრე დაწექი. დიდხანს არ დამეძინა. მთელი ღამე დირექტორის დასახიჩრებული სახე მელანდებოდა. არ იქნა და ვერ გავიხსენე, სად მენახა იგი. არადა მისი დაღმანჭული სახე თვალწინ მედგა და მოსვენებას არ მაძლევდა. მახინჯი ბევრი მინახავს, მაგრამ ასეთი?! ღმერთს იგი არც სილამაზით დაუჯილდოებია, გაბრტყელებული სახე, მოტვლებილი თავი, რომელსაც თმის რამდენიმე ღერი შერჩენოდა, ერთი ნახვით შეგაძრწუნებდათ. მარცხენა წარბის ზემოდან ლოყის ბოლომდე წვდებოდა დიდი ჭრილობა. იგი იმდენად ღრმა იყო, რომ ქუთუთოები ორად გაეყო და ვარდისფერი ნაწიბური ცხვირის მარცხენა ნესტოს უერთდებოდა. ღაწვის ნაწილი ღრმად ჰქონდა ამოგლეჯილი, ლაპარაკის დროს დაზიანებული თვალის უბეები ეჭიმებოდა. მთელი ღამე იმ კაცზე ფიქრში გავატარე, მაგრამ მისი ვინაობა ვერ მოვიგონე.

დილით ადრე ავდექი. მინდოდა ოფიციალურ შეკრებამდე სასტუმროს
ახლო ქუჩები დამეთვალიერებინა. ქვედა სართულზე ჩამოვედი და
აღმოჩნდა სასტუმროს დირექტორი გარი. გარს ესვივნენ თანამშრომლები.
დირექტორი მათ რაღაც მითითებას აძლევდა. ალბათ, ვფიქრობდი მე,
მოწადინებულია დელეგაციის აქ ყოფნისას განსაკუთრებული წესრიგი
დაამყაროს. საქმეში გართულს ჩემი იქ ყოფნა არც კი შეუნიშნავს. ამ
დროს თანამშრომელთა ჯგუფს ვიღაც დაგვიანებული შეუერთდა. გერმა-
ნული სიზუსტის მოყვარულმა დირექტორმა ჯერ მრისხანედ გადახედა მას,
მერე კი მკაცრად დატუქსა. მისი ყვირილი უფრო გველის წივილს გავდა.
„ვის ხმას მაგონებს ამ კაცის ხმა?“ — დავეკითხე ჩემს თავს და უნებურმა
ფიქრებმა ამიტანა. აი, აი, გავისხენებ კიდევაც... მაგრამ არა... ბოლოს, მე-
ხსიერებაში შავი წერტილები განათდა... „ის არის, ის“, უკვე მტკიცედ
გთქვი: დიახ, ის იყო, ის, რომელმაც ჩემს გულს ღრმა ჭრილობა დააჩინა.
მე ვლელავდი, საშინლად ვლელავდი.

კინოლენტივით სწრაფად გაიქროლა მოგონებების სურათებმა. 1943
წელი... გააფთრებული შეტევები უკრაინის ფრონტზე... სისხლისმღვრელი
ბრძოლები ყოველი მტკაველი მშობლიური მიწისათვის. ჯარისკაცთა გვა-
მები... დაღწილი ტანკებისა და ქვემეხების ნამსხვრევები. რკინიგზებზე
გადაყირავებული ორთქლმავლები და ვაგონები... გარუჯული თვითმფრი-
ნავების ჩონჩხები... გადამწვარი სოფლები და ქალაქები... ჩანგრეული
ტრანშეები და აფეთქებული ხიდები... და კიდევ ვინ იცის რა!

დილით ჩვენი ნაწილი შეტევაზე გადადიოდა. გერმანელთა შტაბის
დაზვერვა ხუთ მეტრძოლს დაგვევალა. მეთაურობა მე დამაკისრეს. შუალა-
მისას მივადექით გერმანელთა საგუშაგოს. ჩვენ ფრთხილად მივხზავდით.
ის იყო დავალება შევასრულეთ და უკან დაბრუნებას ვაპირებდით, რომ
უცებ თავს დაგვესხნენ გერმანელები. უმაღლეს ავტომატების ჯერი დავაყა-
რეთ, ზოგი მათგანი ტყვიამ მოცელა. ვცდილობდით რკალის გარღვევას,
მაგრამ ანაოდ. ისინი ბევრი იყვნენ და გამოუვალ მდგომარეობაში აღმო-
გჩნდით. შტაბში მიგვიყვანეს... და იქ ვნახე ის... მახინჯი ოფიცერი, ახლა
კი სასტუმროს დირექტორი და ჩვენი მასპინძელი. მაშინ ხომ „სანაქებო“
მასპინძლობა გაგვიწია: ხუთივე გაყინულ სარდაფში მოგვათავსა. მშვიერ-
მწყურვალეებმა ფეხზე გავათენეთ. დილით ხიშტიანმა ჯარისკაცებმა ოფი-
ცერთან მიგვიყვანეს. დაიწყო დაკითხვა, მუქარა... როცა მუქართა და
ცემით ვერაფერს გახდა, მოგველაქტუა. დიდ პატივსა და დიდებას გვპირ-
დებოდა, თუ გერმანიის სარდლობას სასარგებლო სამსახურს გავუწევდით.

მეორე ღამე უფრო გავვიჭირდა. ცემისაგან ღონემიხდილები ფეხზე
ძლივს ვიდებქით. დილით გაიღო სარდაფის კარი და ჩვენთან შემოვიდა აი-
ეს მახინჯი კაცი.

ისევ კითხვები... იგივე პასუხი... განრისხებულმა ოფიცერმა ორი ჩვე-
ნი მეტრძოლი იქვე რევოლვერით დახვრიტა. უნდოდა დავეშინებინეთ.

ჩვენ წინააღმდეგობის გაწევა ვერც კი მოვასწარით. ანდა რა შეგვეძლოა ღონემიხდილებს?!

— თქვენ უარესი დღე მოგელით, უარესი! — დაგვჩხაოდა იგი.

— ამაზე უარესი?! — უნებლიეთ აღმოხდა ერთ ჩვენგანს.

— თქვენც ახლავე დაგვჩრეტო, თუ კვლავ წინააღმდეგობას გამიწევთ! — ისტერიულად ყვიროდა ოფიცერი. მის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. მზაკვრული ლაქუცით რომ ვერაფერს გახდა, ეგონა, შიშით დაგვძლეოდა, მაგრამ შიში თურმე პატარა განსაცდელს ცოდნია, დიდი უბედურების დროს კი...

გაჯაგრებულმა ოფიცერმა მუქარით დასტოვა ჩვენი სარდაფი.

იმ ღამეს დახოცილები არ გაუტანიათ. ჩვენ მათ ბედს დავნატროდით. ვინ იცის, რა საშინელი წამება გველოდა!

დილით გამოგვიცხადეს, მალე ეზოში გაგიყვანთ დასახვრეტადო. საშინელმა განცდამ შეგვიპყრო, მაგრამ წარბი არ შეგვიხრია. მაგონდებოდა დიდი შოთას მანუგეშებელი სიტყვები: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსა“. მაგრამ რაა უიმედო ნუგეში, სიკვდილი თუ თვალწინ დაძრწის... და ჩვენ გვაყრყოლებდა, თითქოს სიცივემ აგვიტაცა. მაინც გადავწყვიტეთ, სიკვდილს უშიშრად შევხვედროდით.

მრულოდნელად წინ აგვეტუზა მახინჯი ოფიცერი. ელდა გვეცა. ახლა ვიგრძენით, რომ სიცოცხლე არც ისე იოლი გასამეტებელია. ვეხვეოდით და გვკონილით ერთმანეთს. რამდენიმე წუთი გავა კიდევ და მშვიდობით, წუთისოფელო! ვეღარ ვნახავ ჩემს ლამაზ ქვეყანას, ჩემს ნათესავ-მეგობრებს, მშობლიურ ადგილებს, სადაც ბავშვობა გამიტარებია... რატომღაც ოფიცერი ისევ გავიდა სარდაფიდან. ყელში ბოღმა გვებჯინებოდა, მაგრამ რა გვექნა!

რამდენიმე წუთის შემდეგ ოფიცერი კვლავ წინ აგვეტუზა. ერთხანს თავიდან ფეხამდე გვათვალიერებდა, გვეკონებოდათ, რაღაც საიდუმლოების გამოცნობა სურსო. ბოლოს, დაბალი ხმით, თითქმის ჩურჩულით მოგვმართა:

— შემიძლია ერთი თქვენგანი ცოცხალი დაეტოვო იმ პირობით, თუ ამხანაგებს თავისი ხელით დახოცავს.

პირველად ვერ მივხვდით, რას მოითხოვდა იგი ჩვენგან... ოფიცერმა პირობა ისევ გაიმეორა.

— ეს შეუძლებელია! — წამოვიძახეთ ერთხმად.

— მოსაფიქრებლად თხუთმეტი წუთს გაძლეეთ! — გაგვაფრთხილა და გაგვშორდა.

თურმე ასეთ განსაცდელში თხუთმეტი წუთის სიცოცხლეც ძვირფასი ყოფილა. თითქოს შეებაც კი ვიგრძენით. ვინ იცის, ვინ რას ვფიქრობდით, მაგრამ ერთი კი იყო: ძმათა სისხლში არც ერთი არ გავისვრიდით ხელს. ერთხანს ვდუმდით... წუთები სადღაც მისწრაფოდნენ.

უცებ ორივე ამხანაგი მომაჩერდა... თითქოს წინასწარ მოილაპარაკებინათ, მომვარდნენ და მთხოვეს: „შენ ჩვენს შორის ყველაზე ახალგაზრდა ხარ... შენ უნდა იცოცხო! გვიხსენი, ძმაო, ჭალათის ხელით სიკვდილისაგან!“ ბრაზი მომერია. ნუთუ ასეთ სამარცხვინო როლს მე მაკისრებენ? განა ამის საბაბი ოდესმე მიმიცია მათთვის?!

— თქვენ მასხრად მიგდებთ! გინდათ გამყიდველად, ძმების მკვლელად გამომიყვანოთ?... ეს არასოდეს მოხდება...

— ცდები, მეგობარო! — მეუბნებოდნენ დაყვავებით. — თვითელი ჩვენგანი მოვალეა უმწიკვლოდ შეინარჩუნოს სიცოცხლე, მაგრამ ხომ ხედავ, რა დღეში ვართ, სიკვდილი არ აგვცდება. და ისიც ჭალათის ხელით! რატომ უნდა დავიხოცოთ ყველა? უმჯობესი არაა, ერთი ჩვენგანი მაინც გადაარჩეს? შენ ყველაზე ახალგაზრდა ხარ, შენ უნდა იცოცხო. ნუ გავიუტლები, დავგიჯერე. ვინ იცის, იქნებ, აქ, ზურგში, ბევრი რამ კარგი გააკეთო ჩვენი სამშობლოს საბედნიეროდ.

— რად მინდა ძმების სისხლად ნაყიდი სიცოცხლე! — გვეიროდი მე. — ასეთი დანაშაული რომ ჩავიდინო, განა ოდესმე მომასვენებს ამ უბედური წუთის გახსენება?! ბარემ ერთად დავგხოცონ და ის იქნება...

ამ დროს ოფიცერი შემოვიდა.

— აბა, რა გადაწყვეტით, — ცივი ხმით იკითხა მან.

— არის ასეთი, — შესძახეს ოფიცერს ტყვეებმა და ჩემზე მიუთითეს.

— ყოჩაღ! ეს ახალგაზრდა ჭკვიანი და გამბედავი ყოფილა... ჩემი სიტყვა კანონია... მე ვთქვი და შევასრულებ კიდევაც. შენ ცოცხალი დარჩები! — ცბიერი ღიმილით შემეყურებდა ოფიცერი.

გერმანელის სიტყვებმა ძლიერ გამაბრაზა, მაგრამ თავი შევიკავე, რადგან უეცრად ბედნიერმა აზრმა გამიელვა თავში, და ოფიცერს მიველაქმუე:

— მადლობელი ვარ, ბატონო ოფიცერო, გულკეთილობისათვის. თანახმა ვარ, ბატონო, მომეცით თოფი! — ოფიცერს ცბიერად გაეღიმა.

ოფიცრის ბრძანებით, ჯარისკაცებმა სამივე გავვიყვანეს ქვის მაღალი ღობით შემოზღუდულ ეზოში. ორი ჩემი ამხანაგი კედელთან დააყენეს. იქვე შორი-ახლო ავტომატიანი ჯარისკაცები დამწყრივდნენ. ჩემი ადგილი კიდევ არ იყო გარკვეული. ყველას ყურადღება გერმანელი ოფიცრისადმი იყო მიპყრობილი. ვერ გამეგო, რად სჭირდებოდათ გერმანელებს ასეთი ცერემონიალი. მაგრამ ყველაფერი ერთბაშად გასაგები გახდა, როგორც კი ეზოში, აპარატით ხელში, ფოტოკორესპონდენტი დავინახე. ალბათ, ხვალვე გაზეთები სენსაციურ მასალას გამოაქვეყნებენ — როგორ ხვრეტს საბჭოთა ტყვეებს მათივე ამხანაგი.

ავტომატი გადმომცეს და გვერდით შეიარაღებული ჯარისკაცები დამიყენეს, ცხადია, არ მენდობოდნენ. დასახვრეტნი ჩემს პირდაპირ დააყენეს. ისინი ძლიერ დელავდნენ. სიკვდილი მაინც სიკვდილია... ერთმა მათ-

განმა გერმანელ ოფიცერს ორიოდ წუთის დაყოვნება სთხოვა. ცოცხალი
ცოცხალი-შვილის სურათი ამოიღო. ჯამდენჯერმე გადაკოცნა და ჩემს-
მოისროლა. ალბათ, დარწმუნებული იყო, რომ სიცოცხლეს შემინარჩუნე-
ბდნენ და ოდესღაც მისიანებს გავუგზავნიდი.

ოფიცერმა განკარგულება გასცა. მე ავტომატი მოვიმარჯვე და მე-
გობრებს გულდაგულ დავუმიხე. მოულოდნელად მოხდა ის, რასაც არა-
ვინ ელოდა. ჩემმა ავტომატმა მიმართულება იცვალა — პირველად ოფი-
ცერი და ორიოდ ჯარისკაცი დაეცა ძირს. ამხანაგებიც მაშინვე გონს მო-
ვიდნენ და ხელი დაავლეს მტრის ავტომატებს. გაჩაღდა ხელჩართული
ბრძოლა. მადლობა ღმერთს, მოულოდნელად ჩვენები წაგვაწყდნენ...

როდესაც გონს მოვედი, საბჭოთა ჰოსპიტალში ვიწექი. თავზე თეთრ-
ხალათიანი ექიმები და ექთანები დამტრიალებდნენ. ყველას გაუკვირდა,
თვალი რომ გავახილე. თურმე არავის ეგონა, თუ საამქვეყნოდ მოვიხედა-
ვდი...

ეს არამზადა, ალბათ, მაშინ სიკვდილს გადარჩა და გერმანელებმა და-
ჭრილი გაიტაცეს...



ნაცორო მალაზონია უიღბლო ბარათი

შეიშრეტ ცრემლი,
შეწყვიტეთ გლოვა.
ოაც არის — არის: შინ ველარ მოვალ!
მე არც საფლავის ცივი ქვა მაძევს,
არც წარწერა მაქვს საფლავის ქვაზე.
ვიბრძოდი.
ცამ რომ დაყარა ბური;
დავრჩი მებრძოლი შინმოუსვლელი
და სიცოცხლეზე შეყვარებული
ისევ ისე ვარ, ნირშეუცვლელი.
ჩემივე სისხლით შეღებილ მიწას
მიმტაცებელი მტრებისგან ვიცავ
და არაფერი გამყვა შე დარდად.
ერთი უიღბლო ბარათის გარდა.
ცქერა მიყვარდა ზეცის სარკეში
და ერთი გოგოს ცისფერი თვალი.
გულის ჯიბეში ოთხად ნაკეცი
ჩამირჩა მისი შემონათვალი.
შიგ იაც იდო ლურჯი და მკენარი,
გულში ჩავიკარ გულის ფანცქალით.
მაგრამ იელვა... ქექა. ხანძარი...
და მე წაკითხვა ვერ მოვასწარი.
ის ბუჰენვალდში ჯალათმა დაწვა,
მეც მასთან ერთად მაქციეს ნაცრად...

ო, ვის უნახავს მიჯნურებს წვადნენ,
არ აკითხებდნენ მიჯნურის ბარათს,
ამ სიავის და ბოროტის ჩამდენს
წყევლა და კრულვა მარად და მარად!
გთხოვთ იმ გოგოს და ჩემი სახელით,
ვემუდარებით ისიც და მეცა:
იყოს ცხოვრება მხოლოდ სალხენი,
მისი თვალივით ციმციმა ზეცა.
იყოს სიმშვიდე,
იყოს სიფხიზლე
და ნუ იქნება ხმალი და ტყვია,
არც ერთი დედის წმინდა საფლავზე
არ გაითელოს ვარდი და ია!

ერეკლ გოგელიძე

შპ30 ღამეებში

2676 დედაჩემი ყოველ საღამოს ფანჯარას შავ ფარდას აფარებდა.
ცოტა ხნის შემდეგ იწყებოდა გრილი და თვითმფრინავების ზუზუნი.
მე პატარა ვიყავი მაშინ და არ ვიცოდი რა ხდებოდა.
მითხრეს: — ომი!.

მე პატარა ვიყავი მაშინ და არ ვიცოდი რა იყო ომი, არც ის ვიცოდი რისთვის ომობდნენ. ვიცოდი იყვნენ გერმანელები და ჩვენები. ისიც ვიცოდი, რომ ისინი რაღაც საშინელები იყვნენ და მხოლოდ მათ, გერმანელებს, შეეძლოთ კაცის მოკლა.

მამაშენი ომშიაო, — მითხრეს.

მე პატარა ვიყავი და არ ვიცოდი ვინ იყო მამა, მაგრამ მიყვარდა იგი. ბებიაჩემი მორწმუნე იყო და ყოველ დამე ეხვეწებოდა ღმერთს: ღმერთო, ჩემი შვილი მშვიდობით ჩამომიყვანეო.

მე პატარა ვიყავი მაშინ და არ ვიცოდი ვინ იყო ღმერთი.

იგი მეგონა უზარმაზარი ადამიანი, რომელიც დედამიწაზე არ დაეტე-
ოდა, ღრუბლებში იყო გაშლართული და მთვარის ოდენა თვალებით იყუ-
რებოდა.

...მავე ფარდას ღელაჩემი აღარ აფარებდა ფანჯარაზე.

ფანჯრიდან ყოველ საღამოს ვხედავდი ცას და უზარმაზარ მთვარეს.
არ ისმოდა თვითმფრინავების ზუზუნი და გრუზუნი.

— ომი გათავდა, — მითხრეს.

მეზობლის ბავშვები მხიარულობდნენ, თამაშობდნენ, მათთან ერთად




მეც ვთამაშობდი და დავხტოდი. ჩვენს სახლში კი ყველა ღუმელს
მხიარულობდა წინანდებურად.

შავი ქალაღი მოვიდაო, მითხრეს.

ჩე პატარა ვიყავი და არ ვიცოდი რა იყო შავი ქალაღი...

მორწმუნე ბებია დღესაც ეხვეწება ღმერთს: ღმერთო, ჩემი შვილი
მშვიდობით ჩამომიყვანე!





მამია პარხანიძე

წ უ ხ ე ლ

განა წუხელ რა მოხდა?!
მიწა რამან შემოსა?!
ვესალმები დაჭრილი
ენძელების შემოსვლას.
არ მინახავს ასეთი
ლურჯი ფერისცვალება,
უნაზესი ფერების
ვინ თქვა გარდაცვალება!
იქნებ მალე მიწაში
ჩემი სულიც ჩადნება

და ჩემს რიგში შაშხანით
სხვა ჭაბუკი ჩადგება.
მიმწუხრისა წუთები
რა მწარე და ამოა,
ალბათ. ეს ენძელები
ხვალ ჩემს გულზეც ამოვა.
არა, მინდა ვიცოცხლო
და მზე ჩემი ვადიდო,
დიდი გამარჯვების ვარ,
სიკვდილი არ დამინდობს?!

1942.

მოქმედი არმია.

ნალჩიკს როცა გაიხსენებ...

ვიცი, ნალჩიკს გაიხსენებ,
ვიცი, მოგაგონდება...
დაჭრილებთან მიმავალი
შენ გზად შემხვდი, ვარსკვლავო!
რად გამოყვა შენი დარდი,
ნეტავ, რატომ ვლონდები,
რად მკლავ, ჰო!

ვიცი, ჩეგემს გაიხსენებ,
ვიცი მოგაგონდება.
მე დაჭრილი მომიყვანეს...
რბილი ხელი შემახე.
შენ მიშველე... შენ დამჭერი...
მხოლოდ შენზე ვლონდები...
ნეტავი არ მენახე!"

1944.

მაგონდება ჩემი ქუჩა, ბაღები,
სად ტოლებთან სიცილ-სიცილ ვიდოდი:
თუმც ყველასთვის ფერად კარებს აღებდი,
გულში მხოლოდ მარტო ჩემად მინდოდი!
აღბათ, სატრფო ტკბილი ენით დამლოცავს
და მინატრებს... ჩუმაღ, ჩუმაღ მინატრებს.
ანგელოზო, ამ ბინდ-ბუნდში საოცრად
კელაპტრებით მინათებ!
თუ ვერ მოველ... შენ მომნახე, გენაცვა,
მომიტანე ჩვენი მიწა ქართული. —
და მიფვრინავ შორს, შორს ველად ლომკაცად,
გულს მიკაყებს ჩემი მიწა განთქმული!

1942.

გ ა ხ ს ო ვ ა რ ?

გულო ალალო,
აღარ ისურვებ თოფის გასროლას.

ყაბარდოელო პატარა გოგოვ,
აღარ გახსოვარ?!

შენი ხმა თითქოს მესმის ისევაც,
რომ შესტიროდი მამას, დედილოს.

პატარა გული ბოდმით გვესება
და მე ცრემლები არ დამედინოს?!

პატარა გოგოვ, წადი მინდორში!

ვარდები კრიფე!

მამასთან ერთად მინდვრად ვიდოდი,

ექებდი ცისფერს,

ექებდი მზისფერს...

მამა მოგიკლეს?!

გული გიკვნესის?!

ჩემო პატარავ, შენი ხმა მესმის

და ჩვილი გულის გოდება მესმის...

მე შენ მახსოვხარ,

შენ არ გახსოვარ?!

გულო ალალო,

აღარ ისურვებ თოფის გასროლას.

დამლოცე, ანა!

„როგორ მაინტერესებს, რომ შემხვდე! ნეტავ თუ მიცნობ?! მე კი აუცილებლად“.


მისი ბარათიდან.

ნეტავ თუ გიცნობ?! როგორ არა, ჩემო ბედწერავ,
ჩემს გულში განა შენი ზარის რეკვა მიწყდება?!
თუნდაც შევიქნე მე ასი წლის კაცი თეთრწვერა,
შენი თვალები არასოდეს დამავიწყდება!

ო, როგორ მინდა ისევ გნახო, შენს წინ ვფეთქავდე,
მაგრამ, ვაი, თუ ვერ დაგიბრუნდი...
დამლოცე, ანა, გენაცვალე, ეს მადლი დამდე,
შენი დალოცვა, შენი ხმები სიცოცხლეს უდრის...

ნუ დამივიწყებ, თუ კი, ანა, ვერ დაგიბრუნდი!

1941.



ჯამალ ქათამაძე

ჩ ე მ ს ძ მ ა ს

მე დამაფიქრებს ხშირად რადიო, —
ბოლმით ვიესები ომის ხსენებით.
მახსოვს, ორმოცდაერთის ალიონს
ჩემი ძმა ფიქრით გაჰყვა ომის გზას,
მიაცილებდნენ სევდით ჩვენები.
ახლა ყავარჯენს მიათრევს მძიმედ,
ცხოვრებას ისე ველარ დახარის
და თუ დაშავდა იმ ომში ვინმე,
პირველი მაინც ჩემი ძმა არის.
ორივე ფეხი დნებრთან დატოვა
და ყინვამ მოსწვა ნორჩი თითები,
დილამდე დაჭრილს გარეთ ათოვა,
გათოშილი და დანაფიფქები
იპოვეს დილით სისხლგაყინული,
თოფის ლულაზე მკერდით მიკრული.
ელანდებოდა დედის თვალები
და შეწყვეტილი დიდი ქორწილი,
აქ კი ყინვაში სიკვდილს ებრძოდა
ფეხმოჭრილი და თითებმოჭრილი...
მერე ჰოსპიტლის თეთრი კედლები
და პროთეზების მწარე ჭრიალი
და გაფრენილი ცაში მტრედები,
ორმოცდახუთის მზე და გრიალი...
მახსოვს, როდესაც ბიჭი მალავდა,
დგდა შეეხო პროთეზს, ეცოვა:

მერე ერთ წუთში გაჭაღარავდა
და სევდიანად მას ჩაეცინა.
ეს იყო წამი სიკვდილზე მწარე
და ღამე ფიქრით განათენები,
დავიმალე და ცრემლები ვღვარე,
რომ არ ენახა ჩემს ძმას ცრემლები.
ღედის ღიმილიც
იყო ტკივილი,
დაფარული და დაუნახავი
და შემეჯავრა მაშინ ჭირივით
ომი და თოფის მომგონს ვძრახავდი.
მე დამაფიქრებს ხშირად რადიო, —
ბოლმით ვივსებო ომის ხსენებით.
მახსოვს ორმოცდაერთის ალიონს
ძმა რომ დაადგა ფიქრით ომის გზას
და აცილებდნენ სევდით ჩვენები.
...
მე ახლაც მთუთქავს ღედის ცრემლები.

* * *

არ გაუხდიათ ღედებს შავები,
შვილმოკლულები შვილებს სტირიან...
სადღაც ფრთებს შლიან ისევ სვავები,
გაცოფებულნი ომს გაპყვირიან.
უნდათ გადასწვან მთები, ველები,
ქვეყნად სიცოცხლე მოსპონ მთლიანად...
უმალ გაუხმეს ყველას ხელები,
ვინც ჩამოასხამს სამტროდ იარაღს.



ივანე იაკობაშვილი

ასეა საჭირო!

შეიძლება შემოვიდეს? ჩემი გვარია მასლოვი. გამარჯობათ. მაღლობთ. მე მართლაც დავჯდები: ჩემი საუბარი შეიძლება გაჭიანურდეს. არა, არა, მე ბინის თაობაზე არ მოვსულვარ და პენსიაც წესრიგზე მაქვს. მე ვცხოვრობ სხვა ქალაქში, ჩრდილოეთში, აქ კი გავლით ვარ. სრულიად შემთხვევით გავიგე კუბის მეზობელთან, რომ თქვენ აქ მუშაობთ. და ჩამოვედი მატარებლიდან. დიახ, მხოლოდ და მხოლოდ თქვენთვის, თუ თქვენ ნამდვილად ისა ხართ, ვინც მგონიხართ. თქვენ გქვიათ ნიკოლაი ფეოდოროვიჩი? ნიკოლოზ თევდორეს-ძე ბურლაკი? თქვენ დაიბადეთ თექვსმეტ წელს, 23 აპრილს? სოფელ კოლოგრაძში? სიმაღლე 176 სანტიმეტრი. სქელი ხშირი თმა, ლაწვმაღალი? არა, ეს დაკითხვა არაა, ეს დაკითხვის მასალებიდანაა. ყველაფერი ეს დაადასტურა გერმანიის სამხედრო ტრიბუნალმა ქალაქ კ-ში. თქვენი ხელმოწერაც კი არის. ომამდე კომკავშირულ სამუშაოზე იყავით. ორმოც წელს შედით პარტიაში. სწორია?!

ჩემი გვარია მასლოვი, მაგრამ თქვენ არ მიცნობთ. ერთმანეთს არ შევხვედრივართ. ნუ ცდილობთ გამიხსენოთ. ამაში როდია საქმე... ორმოცდასამ წელს რაიხის წინააღმდეგ აქტიური საგამომთხრელო, მუშაობისათვის მოგისაჯეს დახვრეტა. და დაგხვრიტეს. ყველა ნიშანი ემთხვევა. მხოლოდ თმა გაგეთერთებიათ.

მესმის თქვენი სულწასულობა, მაგრამ მაცალეთ. ჯობს გაიხსენოთ ის დღეები, როცა თქვენ იატაკქვეშა პარტიული ორგანიზაციის წევრი იყავით ქალაქ კ-ში და როცა საინტენდანტო საწყობების აფეთქების შემდეგ კომიტეტის ყველა წევრი შეიპყრეს. ყველა, თქვენს გარდა. სწორია? თქვენ ერთადერთი ადამიანი დარჩით გარეთ, რომელმაც იცოდით მთელი საბრძოლო ორგანიზაციის გამოცხადების ადგილები, ადამიანები, იარაღის სამა-

ლავები. თქვენ იყავით პაროლი და შიფრი. ნუთუ მაშინ არ გაგებდით, რომ გერმანელებმა არა თუ არ დაგიჭირეს, მთელი დღე-ღამე მოგცეს, რათა გამოგეცვალოთ ბინა, გაგეფრთხილებინათ ადამიანები, დაგეხურათ ახალი უჩინმაჩინის ქული? მე შემოძლია აგისნათ. ფაშისტები ეძებდნენ კომიტეტის ხუთ წევრს და ხელში მოხვდათ ხუთი.

ვინ იყო მეხუთე? სრულიად ახალგაზრდა ბიჭუნა. იგი შემთხვევით დაიჭირეს და იმწუთშივე გაუშვებდნენ, მაგრამ მან თქვენი სახელი დაირქვა.

მომეცით წყალი. იგი კი სრულიად არ გგავდათ თქვენ, თუნდაც ორი ათეული წელიც ჩამოგაშორონ. დიდი, შიმშილისაგან ჩაცვენილი თვალები. დახეთქილი ტუჩები, გამობურცული ყურები, მანქანით შეკრეჭილი თმა. გრძელფეხება, იგი საკანის შუაში გაჭიმული იდგა. და დომბის ნუკრს ჰგავდა. როგორ დაუჯერეს გერმანელებმა? მან დაარწმუნა ისინი.

„შენ დაიბადე თექვსმეტ წელს?“ — შეეკითხა გამომძიებელი, რომელიც ქაღალდებში იყურებოდა.

„დიახ, — გაეპასუხა ნუკრი. — 23 აპრილს. სოფელ კოლოგრაღში“. გამომძიებელმა შეხედა პატიმარს და წაიბურტყუნა:

„როგორღაც ახალგაზრდა ჩანხარ...“

„ჩვენთან ასე მარგებელი ჰაერია. ხალხი გვიან ბერდება“.

„სადაა შენი სქელი შავი თმა?“

„როგორ თუ სადაა? შევიკრიჭე. ხედავთ, როგორი მუქი ბუძგურაა!“

მან თავი დახარა და ხელი გადაისვა შეკრეჭილ თმებზე. ბუძგურა იყო რბილი და ღია ფერის. იგი ოქროსავით ელვარებდა ნათურის მბუქტავ სინათლეზე. მაგრამ გამომძიებელმა ამას ყურადღება არ მიაქცია. მან ვერ გაუძღო ცდუნებას ეპატაკა, ხუთივე წევრი ჩემს ხელთ არისო და თავი მოატყუილებინა.

არავის არ უთხოვია ახალგაზრდისათვის თქვენი სახელი დაერქვა. როცა გერმანელები წავიდნენ და საკანის რკინის კარები დაიხურა, ჩაფსკვნილმა წარბვახეთქილმა პატიმარმა მრისხანედ ჩასჩურჩულა მას:

„ვინ მოგცათ თვითნებობის უფლება?!“


„მე პატარა არა ვარ. ყველაფერი მესმის...“

„შენ ვერ ხვდები, ამას რა მოჰყვება. ხვალ სასამართლოში სიმართლეს იტყვი“.

„კარგი, — ჩაიბურტყუნა ნუკრმა, — ერთი დღე-ღამე დიდი დროა“

როგორც ჩანს, იგი ახლოს იყო იატაკქვეშელებთან და ესმოდა, რომ იმ დღე-ღამეში თქვენ, ნიკოლაი ფეოდოროვიჩი, მოასწრებდით ჩავარდნისაგან გეხსნათ ბევრი ადამიანი და შეგენარჩუნებინათ ორგანიზაცია. ასეც მოხდა. მართალია თუ არა?

მეორე დღეს შედგა სასამართლო. ხუთი ბრალდებული შემოიყვანეს



ტრიბუნალის შენობაში და დასხეს გრძელ, ვიწრო სკამზე. როცა დაასახე-
ლეს გვარი „ბურლაკი“, ჭაბუკი წამოდგა. ჩაფსკვნილი წარბგახეთქილიც
წამოდგა და თქვა:

„სრულიადაც არ არის ეს ნიკოლოზ ბურლაკი! ნუთუ ვერ ხედავთ,
რომ პატარა ბიჭია!“

ტრიბუნალის თავმჯდომარემ, ლოყაწითელმა მოხუცმა პატარა წარბე-
ბი ასწია და თავი გადახარა.

„ესე იგი, ეს ბურლაკი არაა?“

„არა“.

„ბატონო მდივანო, ვინ აწერს ხელს დაკითხვის ოქმს?“

„ბურ-ლაკი, ბატონო მაიორო! — უპასუხა მდივანმა.

„ბურ-ლაკ, შენ მოაწერე ხელი თუ არა? ა?“ — მიმართა ტრიბუნალის
თავმჯდომარემ ჭაბუკს.

„მე“.

„შესანიშნავია, ბატონო ბურ-ლაკ, შესანიშნავი“.

„ეს ბურლაკი არაა!“ — დაიყვირა ჩაფსკვნილმა წარბგახეთქილმა პა-
ტიმარმა.

„ჩუმაღ“.

მათ ძალიან უნდოდათ, რომ ბრალდებულის სკამზე ხუთი ყოფილი-
ყო — კომიტეტის ხუთი წევრი. ეს მრგვალი რიცხვი აცდუნებდა ფაშის-
ტებს. მათ სჭირდებოდათ იგი პატაკისათვის, სამსახურში დაწინაურებისა-
თვის, ავტორიტეტისათვის.

ბრალდებულნი ისხდნენ გრძელ, ვიწრო სკამზე. ოთხი მამაკაცი და
ერთი ბიჭუნა, ნუკრი. სახე მას საოცრად მშვიდი ჰქონდა, თითქოს ვერ
ხვდებოდა, რა ელოდა ამ ცივი, მოუწყობელი ოთახის ზღურბლს იქით.
ტრიბუნალის წევრები ერთმანეთს ესაუბრებოდნენ და ყურადღებას არ აქ-
ცევდნენ რუსებს, რადგან ისინი უკვე ამოშალეს ცოცხალი ადამიანებიდან.

„რისთვის გააკეთე ეს, გრიშა? ხედავ, საქმე როგორ შეტრიალდა“, —
გულისტკივილით თქვა წარბგახეთქილმა და ჭაბუკს ხელი დაადო მხარზე.

„ასეა საჭირო“, — უპასუხა თქვენმა ორეულმა.

„საჭირო კი არის, მაგრამ ჩვენ ჩვენი გავლიეთ, შენ კი ახალგაზრდა
ხარ...“

„ვილაცამ ხომ უნდა გასწიროს თავი... რომ სხვებმა იცოცხლონ“, —
წყნარად უპასუხა გრიშამ.

როდესაც იატაკქვეშა კომიტეტის წევრები დასახვრეტად მიჰყავდათ,
ჩაფსკვნილმა შეანელა ნაბიჯი და ხელი დაუქნია თარჯიმანს.

„მისმინე, — თქვა მან ყრუდ, — თუ კიდევ შეგერჩა სინდისის ნატამა-
ლი და არც შენმა ბატონებმა მოგკლეს და არც ჩვენებმა — უთხარი ხალხს,
რომ ეს მოხალისე ბიჭი გრიშა მეზინი იყო. დე. ახსოვდეთ გრიშა.“

თარჯიმანმა თავი დაუქნია და თვალი მოარიდა.

თქვენ არ იცნობდით არა გრიშა მეზინს? ნუ იხსენებთ. ისიც უკვე-
ლია, თქვენ არ გიცნობდათ... მაშ საიდან იცოდა „23 აპრილი“ და „სოფე-
ლი კოლოგრაძი?“ ომამდე თქვენ ხომ ქალაქის საბჭოში აგირჩიეს. გრიშამ,
ალბათ, ხმა მოგცათ.

ისინი დახვრიტეს შეღამებისას. გრიშაც. და იმავე ღამეს ქალაქში სა-
მი აფეთქება მოხდა. ჰაერში აფრინდა ელექტროსადგური, აგიზგიზდა ია-
რალით სავსე ეშელონი, მიწას დაენარცხა წყალსაქაჩავი კოშკი. ეს იყო და-
ღუპული ამხანაგებისა და გრიშას პატივსაცემი სალუტი. თუმცა რად გი-
ამბობთ ამას, იგი ხომ თქვენი ნახელავი იყო.

საიდან ვიცი ყველაფერი ეს ასე დაწვრილებით? მე ვიყავი გერმანე-
ლების თარჯიმანი... არა, ნიკოლაი ფეოდოროვიჩ, ჩემი ნებით არა — სარ-
დლობის დავალებით. ახლა, როცა იმ წლებს ვიხსენებ, ვფიქრობ, რომ ყვე-
ლა ჩვენგანს ჰყავდა უსახელო გრიშა, რომელიც სიკვდილს პირველი
შეეგება. ვილაცამ უნდა გასწიროს თავი... რომ სხვებმა იცოცხლონ...
მაგრამ როგორ უნდა წარმართოს კაცმა ამის შემდეგ თავისი ცხოვრება!

თარგმნა ირ. ქებაძემ.



ჯემალ შამილაძე

იასამანი ისევ ჰყვავის

დაუვიწყარ დღეებს განიცდის ჩვე-
ნი ქვეყანა. აღმსიანები უბრუნდებიან და-
ლუბულთა საფლავებს, ირგვლივ გაფუ-
რჩენულ, წყნარსა და მოშრილ ხეებს.
საოლავის ქვეზე ამოკვეთილ ალისფერ
ვარსკვლავებს, გახუნებულ წარწერებს,
ძველ ფოტოსურათებს. გმირთა საფლავე-
ბზე მელამ უხვადაა ქორფა ყვავილები,
საუცხოო ვარდები და მოკრძალებული
იები. ყოველ საღამოს, როცა ოჯა-
ხები თავს იყრიან მავიდის გარშემო,
კვლავ გაისმის წყნარი ოხვრა. იღვრება
ცრემლი, იღვიძებს თბილი მოგონება,
ღრმა ფიქრები...

ასეა ქობულეთის კომკავშირის ქუჩის
თორმეტ ნომერ სახლშიც. ამ სახლის მე-
ორე სართულზე, სასტუმრო დარბაზის
ერთ კუთხეში, აღმართულია ფერადი სა-
ღებავებით შესრულებული ორი სამხე-
დრო მონამოსახურის დიდი სურათი. წინ
დგას ავტომატიანი რიგითი მებრძოლი,
ხოლო მას გვერდით მიჰყვება საბრძოლო
დამსახურებისათვის ორდენებითა და მე-
დლებით მკერდდამშვენებული მაიორი.
ესენი, დიდი სამამულო ომიდან შინდა-
უბრუნებული ამ ოჯახის წევრები, შავებ-
ში ჩაცმულ ოთხმოც წელს გადაცილებულ
მერიემის შვილები რეკებ და სულიდან
გრძელობენ გახლავთ — საღავერვო

ოცეულის მებრძოლი და მოტომექანიზე-
ბული ჯარების მოიერიშე ბატალიონის მე-
თაური.

პირველი 1910 წელს, ხოლო მეორე
ორი წლის შემდეგ დაიბადა. მათი პირვე-
ლი ცრემლები და პირველი გაღიმება ახ-
ლაც ახსოვს დედას, პირველი სიტყვაც,
პირველი ნაბიჯიც.

გუშინდელივით ახსოვს მერიემს — რო-
გორ გაშალა ხელები პაწაწინა სულიკომ
და ბაჯბაჯით გაემართა მამისკენ. წაბო-
რძოდა. შეცბუნდა დედა, მაგრამ უზომოდ
გაეხარდა, „გამბედავი იქნებაო“, „გაიფი-
ქრა და განგებ არ მიაშველა ხელი.

სწორედ რომ ასეთი გაიხარდა მერიემ
და ისმაილ გრძელობების პირმშო. ტოლს
არავის უღებდა არც სწავლაში, არც
შრომასა და ვეჯაცობაში. უწყინარი და
ბეჯითი მოსწავლე უყვარდათ ტოლ-ამხა-
ნაგებს, ქობულეთის აკაკი წერეთლის სა-
ხელობის საშუალო სკოლის, მაშინდელი
ოთხწლიანი სკოლის პედოლოგქტივს, სა-
დაც მან დაწყებითი განათლება მიიღო.
შრომის სიყვარული და სწავლით გატა-
ცება ჰაბუკმა ბათუმის პედსასწავლებელ-
შიც მიიტანა. იგი არა მარტო თვითონ
სწავლობდა საუკეთესოდ, დაუხარებლად
და ხალისით ეხმარებოდა ამხანაგებსაც
აღგებრის ამოცანების გამოყვანაში, გა-

ნუშარტავდა რთულ ფორმულებს ფიზიკასა და ქიმიასში, ეხმარებოდა კონსპექტის შედგენაში. ამიტომ თანაკურსელებსათვისაც გულსატკეპნი სიცოცხლით სავსე ქაბუკის, გულისხმიერი მეგობრის უდროოდ დაღუპვის გახსენება. სამი სასწავლო წელი გვაშორებდა ჩვენ ერთმანეთს, მაგრამ მაინც მახსოვს უფროსკლასელს კეთილი გული, მისი სიმკვირცხლე და მუდამ მოღიმარი სახე. 1930 წელს დაამთავრა სტუდიმანმა ბათუმის პედაგოგიური სასწავლებელი და შემდეგ არსად შეეხვედრია. მაგრამ აი, ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ, როცა მისი სურათი მაჩვენეს, დავფიქრდი, წარსული გადავფურცლე და თვალწინ დამიდგა მისი ცოცხალი სახე, თითქმის გუშინ დავშორებოდეთ ერთმანეთს...

ბათუმის პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სტუდიმან გრძელიძე ხულოს კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეა, ხოლო მეორე წელიწადს — სოფელ ქობულეთის საშუალო სკოლის დირექტორი. 1933 წელს სტუდიმანი სწავლის გასაგრძელებლად მიდის თბილისში.

სასტუმრო დარბაზის იმ კუთხეში, სადაც ძმების სურათებია, იწახება სტუდიმანის პირადი ნივთები და დოკუმენტები, მათ შორის არის ლურჯყდიანი დიპლომი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებით. გადაშლით ამ დიპლომს და ამოიკითხავთ:

„დიპლომი წარჩინებით. № 539775. ამის წარმომდგენმა სტუდიმან ისმაილისძე გრძელიძემ 1938 წელს დამთავრა ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სრული კურსი სპეციალობით „სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაცია და წარმოება“ და სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1938 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით მიკუთვნებული აქვს ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია“.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, პროფესორ-მასწავლებელთა რჩევით, ახალგაზრდა ინჟინერი იქვე რჩება ასპირანტად, მაგრამ ერთი წლის შემდეგ მას იწ-

ვევენ საბჭოთა არმიის რიგებში. მშვიდობიანობის წლებში მეგრძოლი გულმოდგინედ ეუფლება სამხედრო სწავლებას. მისი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება აღინიშნა თავდაცვის სახალხო კომისარიატის სამკერდე ნიშნით „მუშათა და გლეხთა წითელი არმიის წარჩინებული“. სამხედრო სასწავლებლის სამაგალითო კურსანტზე ბევრი გულთბილი სტრუქტონი დაწერეს სამხედრო გაზეთებში.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. ს. გრძელიძე ოცეულის მეთაურია და პირველი დღიდანვე ჩაება სამკდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში. ყოითმირის მახლობლად მიიღო პირველი საბრძოლო ნათლობა. მისი ოცეული წარმატებით ასრულებდა დავალებებს, თუმცა იძულებული იყო ბრძოლით დაეხია კიევის მისადგომებზე. ომი სულ უფრო გააფთხებული ხდებოდა. ოცეული რამდენიმე ასეულს უმკლავებოდა. ყოველი მხრიდან ზუზუნებდა ტყვიები, ფეთქდებოდა ნაღმები, ზემოდან ცვიოდა ყუმბარები, მაგრამ სტუდიმანი როგორცაა მაინც უვნებელი რჩებოდა.

— გერმანელებს ავტომატური იარაღი აქვთ და ბევრ ტყვიას ისვრიან, ბევრს ხმაურობენ, პანიკას ქმნიან, ისე კი ძალიან ცუდი მსროლელები არიან. ხელჩართულ შეტაკებას ხომ სულ ვერ უძლებენ და სამარცხვინოდ გარბიან. წინ კიდევ უფრო სერიოზული ბრძოლები მოგველის. რანაირი ცბიერიც და ძლიერიც არ უნდა იყოს მტერი, მაინც გავიმარჯვებთ. შინდა ვიცოცხლო და უცხოელი დამპყრობლებისაგან განთავისუფლებული ვიხილო ჩემი ქვეყანა, მაგრამ თუ ბრძოლიც ვეღზე დავცე, არ დამიტრიათ. ჩვენი წინაპრები ხომ მამაცურად იცავდნენ სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას! ასევე უნდა დავიცვათ იგი ჩვენც. ასეთია 1941 წლის 15 ივლისს დედისადმი გამოგზავნილი სტუდიმანის წერილის შინაარსი.

1941 წლის სექტემბერში დიდი ბრძოლები ვადიხდა საბჭოთა არმიამ კიევის მისადგომებთან. ვეჭხებივით იბრძოდნენ გრძელიძის ოცეულის მეგრძოლები. თი-

თოვლი გოჯა მიწა გერმანელებს ძვირი დაუჯდათ როგორც ცოცხალი ძალის, ისე ტექნიკის მხრივ. გერმანელები დასავლეთიდან შემოტევით ვერაფერს გახდნენ. ბოლოს, კიევს ფლანგიდან შემოუარეს და რკალში მოიქციეს ჩვენი ჯარები, რომლებიც იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ქალაქი.

მტრის ზურგში დარჩა გრძელიძის ოცეული. უთანასწორო ბრძოლები გრძელდებოდა. ხუთ დღეში მშვიერ-მწყურვალ მებრძოლებს საკმეილი და ტყვია გამოეღლიათ, ბევრი დაიხოცა, მეთაური კი ტყვედ ჩაიგდეს გერმანელებმა. როცა იგი გონს მოვიდა, ცეცხლად აენთო. როგორ, გერმანელების ტყვედ ყოფნა!.. არა და არა! გადაწყვიტა და გაქცევის გეგმაც შეადგინა. 26 სექტემბერს გერმანელმა ოფიცრებმა სულეიმანი შტაბში წაიყვანეს როგორც „ენა“. ტყვემ ღამის სიბნელით ისარგებლა და ხელჩართულ ბრძოლაში წუთისოფელს გამოასალმა გერმანელი ოფიცერი. გლეხის ტანსაცმელი გადაიცვა და გაიქცა, მაგრამ დახე ბედს! იგი ჩექმებით იცნეს და შეიპყრეს. მამაცი საბჭოთა ოფიცერი კვლავ ახერხებს გაქცევას და ოცდარვა დღის ხეტიალის შემდეგ პერვომასკში აღწევს საბჭოთა ჯარების განლაგებამდე.

სახელმოხვეწილი მეთაური სხვა ნაწილში ჩარიცხეს, ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს და ასეულის მეთაურობა დააკისრეს. აქ დაუმეგობრდა იგი ბატალიონის კომისარს ილია ჩერნიშენკოს, რომელიც შემდეგ თბილისში ჩამოვიდა და შეხვდა ლეიტენანტ გრძელიძის უმცროს ძმას შუჭრი გრძელიძეს.

რამდენიმე თვის შემდეგ სულეიმანი სტალინგრადის გმირ დამცველთა რაგებშია. ისევ ბრძოლები... სანგრები... ნგრევა... სისხლი... სიკვდილი... სულეიმანი კვლავ შეუპოვრად იბრძვის. იგი პირადი მაგალითით აღფრთოვანებს ამახანაგებს მამაცური ბრძოლისათვის, ზანზარებდა მიწა, გუგუნებდა ცა. იერიშზე წამოვიდა მტრის მოტორიზებული ნაწილი. გრძელიძის ასეულს დაევალა შეეჩერებინა შეჯავშნული ურჩხული. „არც ერთი

ნაბიჯი უკან“ — ასეთია მთავარსარდლობის ბრძანება და ასეულის მეთაურიც უსიტყვოდ ასრულებს მას. აი, სანგრები მიხობავს სულეიმანი... მერე წამოიზარბა და პირველმა ტყორცნა ხელყუმბარა. აფეთქდა მეწინავე ტანკი, შემდეგ მეორე, მესამე... სტალინგრადთან გერმანელების დამარცხებამ საბოლოოდ გადაწყვიტა ომის ბედი. ერთ უბანზე მტრის ჭარბი ძალების უკუგდებისათვის გრძელიძეს 1943 წლის 15 ივნისს აჯილდოებენ მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“, ხოლო 17 სექტემბერს — „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით, ერთი თვის შემდეგ — 17 ოქტომბერს კი „მედლით სტალინგრადის დაცვისათვის“.

სტალინგრადის გმირული ბრძოლების დამთავრების შემდეგ ს. გრძელიძეს ანიჭებენ მაიორის წოდებას და ნიშნავენ მოტომექანიზებული მოიერიშე ბატალიონის მეთაურად. მალე მას სხვა მეთაურებთან ერთად გზავნიან მოსკოვში, სსრკ-ის უშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან მ. ი. კალინინთან მიღებაზე. სულეიმანის პირად დოკუმენტებში ინახება მ. კალინინთან სამახსოვროდ გადაღებული ჯგუფური ფოტოსურათი. მოსკოვიდან ბელორუსის ფრონტზე გამგზავრების წინ მ. კალინინი მაიორ გრძელიძეს აჯილდოებს მსუბუქი ავტომანქანით.

1944 წლის დამდეგს მაიორ გრძელიძის ბატალიონი ვიტებსკის ოლქის ერთ-ერთ ქალაქში გერმანელების მიერ გამაგრებულ ფრონტის ხაზს მიაღდა. ბატალიონს გზა უნდა გაეკაფა ქვეითი ჯარებისათვის. ქალაქის დაკავებისას ქუჩებში გააფრთხილებული ბრძოლების დროს მაიორი დაიჭრა, მაგრამ პოსტი არ დაუტოვებია.

მაიორ გრძელიძის ახალი საბრძოლო წარმატება აღუქსანდრე ნეველის ორდენით აღინიშნა. რამდენიმე თვის მკურნალობის შემდეგ უშიშარი საბჭოთა ოფიცერი კვლავ ფრონტზეა და თავის ნაწილს მეთაურობს... ბატალიონი გზას განაგრძობდა დასავლეთისაკენ. მრავალ ბრძოლაში გამოწრთობილი მაიორი კვლავ ეაქცუროდა იბრძვის გერმანელ ფაშისტ

დამპყრობთა წინააღმდეგ და პირისპირობით ურღოვან ფეხდაფეხ სდევნიან, მიერეკება საბჭოთა ბელორუსიის ტერიტორიიდან. სწორედ იმხანად მას აჯილდოებენ სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით.

„ეს მეხუთე ჯილდოა ჩემი. მე ისინი პატიოსანი და გაბედული ბრძოლით დავიმსახურე. კიდევ უფრო გაბედულად, უშიშრად ვიბრძოლებ, ოღონდ თავისუფალი და ბედნიერი იყოს ჩემი ქვეყანა. ჩვენი საყვარელი სამშობლოსათვის ვმოხილვარ, მისთვის გავზრდილვარ, დედიკო, და ჩემი სიცოცხლეც მისი სანაცვლო იყოს“. ასე ამთავრებს უკანასკნელ წერილს სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი სულეიმან გრძელიძე. მაგრამ სულეიმანის დედას სხვებიც წერდნენ, მაღლობას უთვლიდნენ უცნობი, თუმცა უჩვეულოდ ახლობელი ადამიანები: „სულეიმან ვაჟაკურად იბრძვის“. სტალინგრადიდან ვიტებსკამდე ბრძოლით ჩავიდა ქობულეთელი ვაჟაკი, მაგრამ...

ამ წერილის შემდეგ მხოლოდ სამი დღე იბრძოდა იგი. ოცდაერთი წლის წინათ — 1944 წლის 16 თებერვალს მიღებული ჭრილობა სულეიმანისათვის საბედისწერო გამოდგა.

...მძიმედ დაჭრილ მაიორის წინაშე ახმაზი გერმანელი აღიმართა. ტყვილი თითქმის დაავიწყდა. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და სიცოცხლეს გამოასალმა მტერი. რამდენიმე წუთს სიჩუმე ჩამოვარდა. სულეიმანმა აუტანელი ტკივილები იგრძნო. წყალი სწყურია, გული უწუხს. ტყვიებით დაცხრილული სხეული ებრძვის სიკვდილს. 16 თებერვალს გონებადუქარგული მიიყვანეს სამედიცინო სანიტარულ ბატალიონში. მძიმე წუთებში ნახა მან 1941 წლის შემოდგომაზე ბრძოლებში შეძენილი ფრონტელი მეგობარი ბატალიონის კომისარი ჩერნიშენკო. — ისიც მძიმედ დაჭრილი. მაიორი გრძელი-

ძე მეგობარს სთხოვდა, არავის ეტყვიოთ ჩემი სიკვდილი.

— დედა ცოლუა, გული ეტკინება, — ფიქრობდა იგი, — სჯობია მელოდოს მთელი სიცოცხლე.


რეკავების ხომ ომის პირველი დღიდანვე არაფერი ისმოდა და გული სტკიოდა დედას. სამაგიეროდ სულეიმანის წერილებით, მისი საბრძოლო წარმატებებით ტკებოდა, სამშობლოს გამარჯვების მოახლოებას ზეიმობდა და მაინც რაღაც სევდა აწვა. „ერთი წუთითაც რომ ვნახავდე, გავიხარებდი, გულში ჩავიკრავდი, ჩავკოცნიდი, უფრო გავამხნევებდი“, ფიქრობდა ცრემლმორეული დედა და ფერმკრთალებოდა მისი სათნო სახე საყვარელი შვილის მოლოდინში.

მძიმეა ამაზე ფიქრი და თითქმის უსასრულო, მაგრამ მეომარი ვაჟაკი რომ გამოხარდა, ეს ამხნევებს დედას.

ქობულეთელი ვაჟაკი 1944 წლის 20 თებერვალს მიაბარეს ბელორუსიის მიწას, მაგრამ სად, აქამდე არ იყო ცნობილი. მხოლოდ ახლახან — ოცდაერთი წლის შემდეგ გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით გაიგეს ს. გრძელიძის ახლობლებმა და ნათესავებმა, რომ მისი საფლავი ვიტებსკის ოლქის სოფელ პოვოსტიშია.

დედა უხმოდ შესტკერის შვილების სურათს და თვალის უბეები ცრემლით ევსება, მაგრამ სიამაყესაც გრძნობს. საქებარი შვილები რომ აღუზარდა სამშობლოს.

...დღეები დღეებს მიჰყვება. ოცი წელი გავიდა შვირზე მსოფლიო ომის დამთავრებიდან; მაგრამ 1945 წლის მაისის იასამანი კვლავ და კვლავ ჰყვავის საბჭოთა მიწაზე. საქორწილო ლეჩაქს იბურავენ ხეხილის ხეები. ვაზის კვირტებიც იმშუშნებიან. დედა კი ისევ მხნედ არის და ახალ არწივებს ზრდის, უხმოდ ეაღწრება შვილიშვილებს.



მეგრე ხინიკაძე თმის დღეებში...

დიდი სამამულო ომი საბჭოთა ხალხი-სათვის ყოფნა-არყოფნის ომი იყო. ჩვენ ვამაყობთ, რომ ამ სამეცდრო-სასიცოცხლო ომში ამაყად გაისმოდა ხელოვნების მუშაკების ხმაც. ეს ბუნებრივია. ქართულ თეატრს მდიდარი რევოლუციური ტრადიციები აქვს. საქართველოს ისტორიაში მას გმირობისა და თავდადების არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაუწერია. სცენიდან მუდამ გაისმოდა მშრომელთა დამრავლავი და გამამხნევებელი პატრიოტული ხმა.

მაგრამ იარაღით ხელშიც ბევრმა შეიტანა თავისი წვლილი ჩვენს გამარჯვებაში, მათ შორის ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის მუშაკებმაც.

თეატრის წამყვან არტისტებთან ერთად ფრონტზე წავიდნენ ახალგაზრდა მსახიობები, რომლებმაც პირველი სცენური სახეების შექმნაც კი ვერ მოასწარეს. ბევრი მათგანი აღარ დაბრუნებულა, გმირულად დაცა ბრძოლის ველზე. ბათუმის თეატრი სასოებით იგონებს მათ ნიჭიერებას, ახალგაზრდულ მგზნებარებას და ვაჟკაცობას. ჩვენ გულისტკივლით მოვიგონებთ ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობებს: ილიას კახიძეს, ვალიკო გვიბერიძეს, ილია ხუბუას, სოსო კვირ-

კველიას, ვალიკო გუჯაბიძეს, ხემიდ ბასილაძეს, ტოგო გოგსაძეს და სხვებს. ჩვენი თეატრის კოლექტივი მათ სახელებს სათუთად და სიყვარულით ინახავს.

საბჭოთა მეზობლის სახელოვანი გზაგანვლო ბათუმის თეატრის ერთ-ერთმა ნიჭიერმა მსახიობმა გრიგოლ კობახიძემ. მან ომი დაიწყო როგორც რიგითმა ჯარისკაცმა, ამჟამად კი თადარიგის პოდ-პოლკოვნიკია. მისი საბრძოლო ნათლობა დაიწყო ყირიმის ნახევარკუნძულზე. გრიგოლის სამხედრო შენაერთი გმირულად უმკლავდებოდა მტრის ჭარბ ძალებს. ბრძოლის ველიდან იგი მძიმედ დაჭრილი და გრძნობადაკარგული გამოიყვანეს. გამოჯანმრთელების შემდეგ გრიგოლ კობახიძე კვლავ ბრძოლის ველს დაუბრუნდა, მაგრამ მეორედ დაიჭრა და სარდლობამ იგი ზურგში სამუშაოდ დატოვა.

გრიგოლ კობახიძის გმირული ბრძოლა და შრომა ღირსეულად დააფასა ჩვენმა სამშობლომ. მის მეერს ამშვენებს ბევრი ორდენი და მედალი, მიღებული აქვს სარდლობის მაღლობები და ქების სიგელები. ახლა თადარიგის ოფიცერი გრიგოლ კობახიძე თავდადებით შრომობს და თავისი წვლილი შეაქვს კომუნისტების მშენებლობის დიად საქმეში.

1941 წლის 22 ივნისს თეატრიდან პირდაპირ ფრონტზე წავიდა ნიჭიერი მსახიობი, ამჟამად საქართველოს სსრ სახალხო არტისტი აკაკი მგელაძე. კავკასიიდან ბერლინამდე არ შეწყვეტილა საარტილერიო ზაღმები იმ საარტილერიო ქვედანაყოფისა, რომელშიც შედიოდა აკაკი მგელაძე. ბევრი ცხარე დღეები დაგვდგონია, იგონებს მეომარი მსახიობი, მათ შორის დაუვიწყარია ერთი. მდინარე ბერეზინა რომ გადავლახეთ ბობრუსკთან, მტრის ოცი დივიზია მოვაქციეთ ალყაში. მტერი ალყის გასარღვევად თავგანწირვით იბრძოდა, მაგრამ ამაოდ. ჩვენი ჯარების სწრაფმა მანევრირებამ და ელვისებურმა დარტყმებმა მტერი იძულებული გახადა იარაღი დაეყარა და ტყვედ დაგვენებოდა.

ბობრუსკთან გამართულ ბრძოლების აღსანიშნავად აკაკი მგელაძე დააჩიღო „დიდების“ მესამე ხარისხის ორდენით. იგი მონაწილეობდა კენისბერგისა და ბერლინის აღებაშიც, სხვადასხვა დროს იბრძოდა ბელორუსიის პირველ, მეორე და მესამე ფრონტებზე.

1945 წ. დემობილიზაციით აკაკი კვლავ საქართველოში დაბრუნდა და უმაღლეს მიაშურა თავის საყვარელ თეატრს. როგორც ფრონტზე, ისე თეატრში მაგალითის მაჩვენებელი და მისაბამია აკაკი მგელაძის თავდადებული, დისციპლინიზებული და პატიოსანი შრომა.

ომის გამოცხადების დღესვე წავიდა ფრონტზე თეატრის ერთ-ერთი მოწინავე მსახიობი გიორგი ახვლედიანი, რომელიც იბრძოდა კავკასიის ფრონტზე, მონაწილეობდა ხარკოვისა და კიევის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, მიღებული აქვს მედლები და უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა. დემობილიზაციის შემდეგ გიორგი ახვლედიანი კვლავ დაუცხრომლად მოღვაწეობს ბათუმის სახელმწიფო თეატრში.

სახელოვანი საბრძოლო გზა გაწვევით ბათუმის თეატრის მუშაყმა ვლადიმერ ოქუაშვილმა. კავკასიის ფრონტიდან მოყოლებული იგი მონაწილეობდა ტიანის ნახევარკუნძულის, კიევის, ბერლინის, ჟიტომირის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. ვლადიმერმა ფრონტზე სამჯერ მიიღო მძიმე ჭრილობა. საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებულია მედლებით, გამოცხადებული აქვს უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა.

თეატრის მუშაყებიდან ფრონტზე იყვნენ აგრეთვე იუსუფ ზოიძე (იგი დაიჭრა ქერჩისათვის ბრძოლაში), კოსტა კინწურაშვილი, დურსუნ თხილაშვილი, სულეიმან თურმანიძე, გაიოზ გოგიბერიძე, სერგო ხორავა, ხასან მიქელაძე, დავით ნოზაძე, ედნარ შამილაძე, შალვა აზობაძე და სხვები.

გარდა ამისა, დიდი სამამულო ომის პერიოდში თეატრში ფართოდ ვაიშალა საშეფო მუშაობა. ჩამოყალიბდა საკონცერტო ბრიგადა, რომელიც კონცერტებს მართავდა სამხედრო ნაწილებში, პოსტ-პიტლებსა და სამხედრო გემებზე.

სამამულო ომის დროს თეატრმა ახლებურად ააქცერა ისტორიულ-პატრიოტული პიესები, რომლებიც გამოხატავენ ხალხის მებრძოლ სულიერ განწყობილებას. კერძოდ, თეატრის სცენაზე დაიდგა ვ. დარასელის „კიკვიძე“, ფინია და გუსის ისტორიული დრამა „ბერლინის გასაღები“, დ. ერისთავის „სამშობლო“, რევესკისა და კაცის „ოლეკო დუნდიჩი“, კ. სიმონოვის „მელიდე“, ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის „ლალატი“, ლ. გოთუას „მეფე ერეკლე“ და სხვ.

თავდადებული შრომისა და საშეფო მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისათვის თეატრის ბევრმა მუშაყმა მიიღო მედლები „კავკასიის დაცვისათვის“ და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების საპატიო სიგელები.



ალექსანდრე ჩხაიძე

ჩრდილოეთის ცხარე ღვებები

ყოველდღე, თორმეტ საათზე მოსკოვის დროით, „ჩერნიშევსკის“ კაიუტ-კამბანიაში თავს იყრიდნენ ვახტისაგან თავისუფალი ეკიპაჟის წევრები. ისმენდნენ უკანასკნელ ცნობებს. პატარა რეპროდუქტორი აკავშირებდა მათ დიდ მიწასთან, ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

შეიკრიბნენ დღესაც. ზუსტად თორმეტ საათზე გაისმა: „ლაპარაკობს მოსკოვი!..“ ელდენივით დაუარა ყველას დიქტორის პირველმადე სიტყვებმა, მათ შორის ყველაზე მეტად საშინელმა: ომი!

უცებ გაივსო კაიუტ-კამბანია. ხმა არაგინ იღებდა. უსმენდნენ მხოლოდ რადიოს. ათიოდე წუთში ყველაფერი გაირკვა: ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. დაბომბილია ბევრი ქალაქი. საზღვარზე მიდის ცხარე ბრძოლები...

ჩელ-ნელა მოვიდნენ გონს. გემის კაპიტანმა ელიზბარ გოგიტიძემ მკაცრად მოუხმო ყველას სიმშვიდისა და დისციპლინისაკენ. ქვანახშირით დატვირთული „ჩერნიშევსკი“ შპიგბერგენიდან მიემართებოდა მორიგ საზღვარგარეთულ რეისში. კაპიტანმა შესცვალა კურსი და გემი აიღო მურმანისკისკენ.

„ჩერნიშევსკი“ სწრაფი სვლით მიარღვევდა რუხ ტალღებს. გარშემო არავინ ჩანდა; იღვა სიწყნარე; ზომიერად გუგუ-

ნებდა გემის ძრავები. საღაც შორს კი, ალბათ, ამ დროს სკდებოდა ბომბები, ინგრეოდა სახლები, კვნესოდნენ დაჭრილები. პირველსავე დღეს დაბომბილ ქალაქებს შორის იყო ოდესაც. რა ამბავია ახლა იქ? რას შერებთან მისიანები, ლიდა? ბავშვები?

აღამიანები არ შორდებოდნენ რადიო-ჯიხურს, რეპროდუქტორებს, ხარბად იჭედნენ თვითეულ სიტყვას, რუკაზე ეძებდნენ დაბომბილ ქალაქებს. საღამომდე ბევრი რამ გაირკვა, მაგრამ ვერ დაედინათ ფაშისტთა შემოტევის მასშტაბები, რა მდგომარეობა იყო ჩრდილოეთში, ემუჭრებოდა თუ არა სამიშროება მურმანსკს, რომელიც დაბომბილ ოდესაზე უფრო ახლოს იყო საზღვართან. იქნებ მურმანსკიც დაბომბილია? ბინოკლებით გასცქერიან ჰორიზონტს, შეჰყურებენ ზეცას. ყველაფერია მოსალოდნელი. ახლა მთავარია რაც შეიძლება სწრაფად მივიდნენ დიდ მიწასთან. იქ ყველაფერი გაიკვევა.

და კაპიტანი იძლევა განკარგულებას:
— სრული სვლით წინ!

საოცრად შეცვლილი ეჩვენა ელიზბარს მურმანსკი. რამდენიმე დღეში ომის ყაიდაზე გარდაქმნილიყო ქალაქის ცხოვრება. ნათელი გახდა, რომ დაიწყო დიდი და

სამშვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. იბრძოდნენ ჩრდილოეთშიც. მურმანსკიში ისმოდა კოლის სრუტის მიდამოებში ჩამოყრილი ბომბების ბათქი. სანაპირო დაცვამ საარტილერიო ცეცხლით უკან გააბრუნა ფაშისტთა მთავარი ბაზიდან — პეტსამოდან გაძვლილი გემების ქარავანი.

დაიწყო სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების ევაკუაცია. საბედნიეროდ, ბავშვები არღაღდეგების გამო არ იმყოფებოდნენ სასაზღვრო ზონაში. ეს საგრძნობლად ადვილდება საქმეს.

სანაოსნო სამმართველოში სავაჭრო ფლოტის გემების მეთაურებს განუცხადეს:

— დამთავრდა მშვიდობიანი რეისები. დღეიდან აღარ არსებობს სავაჭრო ფლოტი. თვითეთლ სატრანსპორტო ხომალდს, შეთევვეთა ტრაულერს თუ ტანკერს გამოვიყენებთ სამხედრო მიზნისათვის. მურმანსკიში მათი გაჩერება სარისკოა. ყველაზე ხელსაყრელი ბაზა შერკებისათვის არხანგელსკია. მაგრამ მურმანსკიდან არხანგელსკამდე 450 მილია. პოლარული დღის ვითარებაში, როცა მზე არ ჩადის, მთელი ფლოტის გაგზავნა საშიშია. ადმირალ ვოლოგკოს ნაღმოსნები, სამხედრო კატარღები და ავიაცამანადგურებლები ძლივს უმკლავდებიან მტერს. ასე რომ, გზაში ქარავნის დაცვაზე ლაპარაკიც ზედმეტია. როგორ მოვიქცეთ?

გადაწყდა: ხომალდები მურმანსკიდან გავლენ თითო-თითოდ, შეუმჩნევლად, ამასობაში კი სამხედრო ძალები შეეცდებიან მიიპყრონ ფაშისტთა ყურადღება, გზა გადაუღებონ შიგა ზღვებისაკენ მზევრავ თვითმფრინავებს.

დაიწყო გემების გადასვლა მურმანსკიდან არხანგელსკიში. ერთი მეორის მიყოლებით გადიოდნენ ნავსადგურიდან ყეეზა საოკეანო ხომალდები და სულ პატარა სეინერები.

მათ შორის იყო „ჩერნიშევსკიც“.

* * *

ყველა ზღვას თავისი ფერი აქვს. ჩრდილოეთის ზღვები მოშავო-მონაცრისფროა. შენიღბვის მიზნით გემები რუხად გადა-

ღებეს, თუმცა უკვე ჩამოწვა რამდენიმე თვიანი პოლარული ღამე და არხანგელსკიდან გასული პირველი ქარავანი მტრისაგან შეუმჩნევლად მიდიოდა ინგლისის ნაპირებისაკენ.

„ჩერნიშევსკის“ საშტურმანო ჯიხური მარილიანი ტომრებით იყო შემორავული. გემბანზე იდგა ტყვიამფრქვევები. ეკიპაჟს დაურიგეს შაშხანები. ქარავანს იცავდა ჩრდილოეთის ფლოტისა და მოკავშირეთა სამხედრო გემები.

ეს იყო პირველი საბრძოლო ოპერაცია და ადამიანები ღელავდნენ. ვახტის შემდეგ დაქანტულ თვალებს არ ეყარებოდა ძილი. თითქმის მთელ ეკიპაჟს მხოლოდ წიგნებში ამოეკითხა ან კინოში ენახა ომი. ელიზბარ გოგიტიძე, კაპიტნის თანაშემწე პოლიტიკურ ნაწილში ვლადიმერ ელფიმოვი, უფროსი შტურმანი გიორგი პეტრუშევსკი ჩადიოდნენ მატროსთა კუბრიკებში, ესაუბრებოდნენ ახალგაზრდებს, რწმენას მატებდნენ, ამხნევებდნენ.

თითქმის მთელ გზაზე მძევნარებდა პურგა. ყინულოვანი წყლის ზეირთები ევლებოდნენ გემბანს, მაგრამ ადამიანები უძრავად იდგნენ ვახტზე და ფხიზლად გასცქეროდნენ ყოველ მხარეს.

პირველი ქარავანი მშვიდობიანად ჩავიდა ინგლისის ნავსადგურ ნიუკასტლში. ნავსადგურთან მისასვლელები დანაღმული იყო და ლოცმანებს ფრთხილად შეჰყავდათ გემები ვიწრო ყელით.

ადგილობრივი მოსახლეობა აღფრთოვანებით შეეგება საბჭოთა მეზღვაურებს. ფაშისტები კვლავ ბომბავდნენ ლონდონს, ბრიტანეთის სხვა ქალაქებს და ინგლისელები დაუფარავად ეუბნებოდნენ რუს მოკავშირეებს, რომ მათ აკისრიათ პიტლერული გერმანიის დამარცხების მთავარი მისია.

„ჩერნიშევსკი“ დატვირთეს ტანკებით, „სტუდენტეკრებით“, ასაფეთქებელი მასალით. დაცვის გასაძლიერებლად გემბანზე დადგეს საზენიტო ქვემეხები.

იტვირთებოდნენ საქმაოდ ნელა. ელიზბარს ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი

მოკავშირეთა გულწრფელობაში, ფა-
შისტებისადმი მათ სიძულვილში, მაგრამ
ისინი მაინც არ ჰვადნენ, მაგალითად,
მურმანსკელ მეზღვაურებს, რომლებიც
არაფერს ზოგავდნენ მტერზე გამარჯვე-
ბისათვის, დღე და ღამე გასწორებული
ჰქონდათ, ცხოვრობდნენ ომის წორმე-
ბით.

გონება ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ
ინგლისელ დოკერებს ამას წინათ ვაფიც-
ვა გამოუცხადებიათ იმის გამო, რომ მთა-
ვრობამ რამდენიმე გრადუსით შეამცირა
ლულის სიმაგრე.

— რას იზამთ, ინგლისელი ბუნებით
კონსერვატორია. ზოგჯერ ომსაც კი არ
ძალუხს გადალახოს სისხლში საუკუნეო-
ბით გამჭდარი ჩვევები, — ბოდიშნარევი.
დომილით იმართლებდნენ თავს მასპინძ-
ლები.

დეკემბრის დამდეგს ქარავანმა რეიკი-
ავიში გადაინაცვლა.

კაპიტნები საზღვაო კლუბში მიიბატი-
ქეს. აქ იყვნენ ინგლისელები, შოტლან-
დიელები, შვედები, ნორვეგიელები, ის-
ლანდიელები, კანადელები... ჰარობდნენ
დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომნი. გარ-
შემო ინგლისურად ლაპარაკობდნენ.

— კეპტენ გოგითიძე! — შემოესმა
უცებ ელიზბარს.

მისკენ სწრაფად მოემართებოდა შოტ-
ლანდიელი კაპიტანი ჰარი დოუნი. ისინი
ერთმანეთს იცნობდნენ. ყოველთვის გუ-
ლთბილი იყო მათი შეხედრა.

— წამოდი, დავლიოთ, — შესთავაზა
ჰარიმ.

თითო ვისკის გადაკვრა მოასწრეს და
კაპიტნები საკონფერენციო დარბაზში მი-
იწვიეს.

თავმჯდომარეობდა ხნიერი ინგლისელი
კაპიტანი. იგი ლაპარაკობდა ქარავნის მო-
მავალ რეისზე. უსმენდნენ ყურადღებით,
ტაშს უკრავდნენ საბჭოთა არმიისა და
მეზღვაურების პატივსაცემად. მაგრამ,
როცა თავმჯდომარემ განაცხადა, ახალ
წლამდე რამდენიმე დღე დარჩა და, რო-
გორ ფიქრობთ, რეიკიავიკში შევხვდეთ
ახალ წელს თუ დაუყოვნებლივ გავიდეთ

რეისშიო, დარბაზი აგუგუნდა — აზრი
ორად გაიყო. უმეტესობა კარგად დაცულ
სანავსადგურო ქალაქში დარჩენას ამჯო-
ბინებდა.

ელიზბარმა იცოდა, როგორ მოუთმენ-
ლად ელოდნენ მურმანსკეი ქარავნის ჩა-
სვლას; ისედაც გაუხანგრძლივდა აქ ყო-
ფნა. მაგრამ იგი სტუმარი იყო და მოე-
რიდა სიტყვის თქმისა. ჰარის წასტურჩუ-
ლა:

— შენ მაინც უთხარი ამათ, რომ სა-
ახალწლოდ აქ დარჩენა არ შეიძლება. და-
უყოვნებლივ უნდა გავიდეთ ზღვაში,
ხვალვე, განთიადისას.

ჰარი მაშინვე წამოიჭრა და სიტყვა-
ითხოვა.

— არ ვიცი, ვინ როგორ ფიქრობს, ჯენ-
ტლმენებო, მაგრამ ნამდვილ მეზღვაურ-
სა და პატრიოტს არა აქვს უფლება ქე-
იფსა და ვართობაზე იფიქროს, როცა
ფაშისტები ყოველდღე ბომბავენ რუ-
სეთის ქალაქებს, ჩვენს ქალაქებსაც!..
ძირავენ ინგლისურ გემებს. თოთხმეტი
ტრანსპორტი დგას ახლა ნავსადგურში.

ისინი დატვირთულია ტანკებით. სამხედ-
რო საჭურვლოთ, რაც რუსეთს სჭირდება
ჩვენი საერთო მტრის — ფაშისტების გა-
სანადგურებლად. არა, ჯენტლმენებო,
ჩვენ ვერ შევაფერხებთ ქარავნის გასე-
ლას მხოლოდ იმისათვის, რომ ახალ წლა-
მდე რამდენიმე დღე დარჩენილი. ახალ
წელს მურმანსკეი ვიზეიმებთ!

დარბაზი გუგუნითა და ტაშით შეხვდა
ჰარი დოუნის სიტყვებს.

— ო, კეი! — უთხრა ჰარის მრგვალ-
წყეროვანმა, ახოვანმა ნორვეგიელმა და
ბეჭებზე ხელი დაჰკრა.

„ჩერნიშევსკის“ ტრაპთან დასცილდნენ
ერთმანეთს ელიზბარი და ჰარი დოუნი.
ელიზბარმა მიიბატივა იგი გემზე, მაგრამ
ჰარიმ საქმეები მოიმიზეზა. უთენია გა-
დიოდნენ ზღვაში.

— უჰ, ცივა!.. — მოიბუზა ჰარი. ჩანს,
ვისკი გამოუღელა ღამის სუსხმა. — თქვე-
ნთან კი, ალბათ, რუსულად ჰყინავს.

ელიზბარმა მაშინვე გაიძრო ტურქი და
გაუწოდა.

ჰარი ვერაფერს მიხედა.

— აილე, აილე, — თითქმის ძალით მოახურა ქურჭი მზრებზე ელიზბარმა, — ატარე სამაჩსოვროდ და საბედნიეროდ.

* * *

სამ კოლონად მიდიოდა ქარავანი. შუა კოლონის სათავეში იდგა ქარავნის უფროსი — ინგლისელი. მარჯვენა ფრთას მიუძღოდა ელიზბარ გოგიტიძე „ჩერნი-შევსკით“, მარცხენას — ნორვეგიული ტრანსპორტი. გარშემო განლაგებული იყო ბდრაგი — ნაღობსები, წყალქვეშა ნაგებო და კატარღები.

მიდიოდნენ ნორვეგიის ნაპირებისაგან დაშორებით. ფრთხილობდნენ. იქ ფაშის-ტები იყვნენ. მართალია, გარშემო იდგა უკუნი პოლარული ღამე, მაგრამ არ იყო გამორიცხული გერმანელთა დახვერვის სიფხიზლე, რომ მათ შეიტყვეს რეიკიავიკიდან მოკავშირეთა ქარავნის გამოსვლა. წყვილადა გაასწორა ღლე და ღამე. ზოგჯერ ჟურნალში იხედებოდნენ იმის დასადგენად, დილის შვიდი საათი იყო თუ საღამოსი. მაგრამ ახალი წლის ღამეს, სარულ ღორმეტ საათზე, ყველაზე რადიომიმღებთან იდგნენ და უსმენდნენ მოსკოვს, კრემლის კურონტების ქედრას, „ინტერნაციონალს...“

გოგიტიძის ბრძანებით ეკიპაჟს დაურიგეს ას-ასი გრამი არაყი. შესვეს მტერზე გამარჯვების საღღერძელო. შემდეგ კაპიტნებმა ერთმანეთს მიულოცეს 1942 წლის დადგომა. ჰარი დოუნმა ელიზბარს გამოუგზავნა რადიოგრამა: „გილოცავ, მეგობარო, ახალ წელს. ძალიან ვწუხვარ, რომ ერთად ვერ ცვაფთ შოტლანდიურ ვისკის. ქურჭი მათბობს და მაგონებს შენს თავს. მურმანსკში შეხვედრამდე“.

...ქარავანი მშვიდობიანად შევიდა მურმანსკის ნავსადგურში. შესახვედრად მოვიდნენ პარტიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელები, სანაოსნო სამმართველოს წარმომადგენლები, სამხედრო-საზღვაო ფლოტის შტაბის ოფიცრები.

ელიზბარ გოგიტიძემ კაპიტნას ხელურიდან დახვდურთა შორის შეამჩნია ტანდაბალი, ენერგიულად მოძრავი კაცი.

მაშინვე იცნო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენელი ივანე დიმიტრის-ძე პაპანი. იგი ჯერ გიდეფი-ნეთის ომიდან იცნობდა პაპანის... შემდეგაც ხშირად ხვდებოდა მას, როცა ყინულში მომწყვდეული „გიორგი სედოვიდან“ გადმოჰყავდათ 812 დღის განმავლობაში მოღრეფე პოლარული ექსპედიციის მონაწილეები.

ივანე დიმიტრის-ძე მხურვალედ მიესალმა კაპიტან გოგიტიძეს, მიულოცა მშვიდობით დაბრუნება.

— ჩამოსვლით კი ჩამოდი, მაგრამ გემებს როგორ გადმოტვირთავთ, ესაა საქმე, — წუხდა პაპანი.

ომი დაიწყო თუ არა, მურმანსკიდან ნაჩქარევად გაზიდეს ამწეები, მთელი მექანიზაცია და ნავსადგური მოუმზადებელი აღმოჩნდა ამდენი ტრანსპორტისა და ტვირთის მისაღებად. უმექანიზებოდ მათი გადმოტვირთვა წარმოუდგენელი იყო.

— კეპტენ გოგიტიძე! — მათკენ მოემართებოდა ქურჭში გახვეული ჰარი დოუნი. ელიზბარს გადაეხვია: — წავიდეთ კლუბში, აღვნიშნოთ მშვიდობით ჩამოსვლა.

ელიზბარმა შოტლანდიელი კაპიტანი წარუდგინა პაპანის.

— თქვენ პაპანი ხართ?! — აღფრთოვანება ვერ დაფარა ჰარი. — იმ ცნობილი პოლარული ექსპედიციის გმირი პაპანი?! მით უმეტეს, უნდა აღვნიშნოთ ეს შეხვედრა! წავიდეთ კლუბში!

— მოიცა, ჰარი, — შეაჩერა ელიზბარმა, შემდეგ პაპანის უცებ მოფიქრებული გეგმა გააცნო: — დაყოვნება ერთი წუთითაც არ შეიძლება. მალე აქ მოვა მეორე ქარავანი. ახლავ უნდა შევუდგეთ გადმოტვირთვას. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ მოკავშირეთა ეკიპაჟები, მათი მექანიზმები.

— საქმე ისაა, რომ მათ ეს არ ევალებათ, — თქვა პაპანი. — თუმცა შეიძლება მოველაპარაკოთ.

ჰარი დოუნი ინტერესით შესცქეროდა მათ. რუსული ენა არ იცოდა, მაგრამ და-

ახლოებით მიხვდა, რას ეხებოდა საუბარი. ელიზბარმა აუხსნა მდგომარეობა.

— ყველაფერი მოგვარდება, — თქვა ჰარიმ და პაპანინს მიუბრუნდა: — მხოლოდ ნება დამრთეთ, მისტერ პაპანინ. ევლაპარაკო მათ თქვენი სახელით. — პაპანინმა ღიმილით დაუქნია თავი. — ათა მგონია, ვინმემ უარი თქვას. ხვალ ახალი წელია ძველი სტილით. ამდღამ კლუბში მოვილაპარაკებთ...

მეორე დღეს მურმანსკიდან გავიდა ტანკებითა და სამხედრო საჭურვლით დატვირთული პულმანის ვაგონების უგრძესი ეშელონი.

* * *

ამერიკა-ინგლისა და საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ ნავსადგურებს შორის ქარავნების მოძრაობამ ძალზე შეაშფოთა ფაშისტთა სარდლობა. პიტლერის პირადი ბრძანებით, მოკავშირეთა გემებზე სანადიროდ ნორვეგიის ზღვაში გადმოიყვანეს წყალქვეშა ნავები, მძიმე კრეისერი „პრინცი ევგენი“ და ფაშისტთა სამხედრო ფლოტის სამაყე—სახაზო ხომალდი „ტირპიცი“. გასაოცარი იყო, რომ ინგლისელებმა ეს მრისხანე სამხედრო ხომალდი გაატარეს ლამანშის სრუტეში. თვით ინგლისელი ოფიცრებიც კი გაკვირვებით იჩიქდნენ მარტებს ამის გამო.

სამთვარიანი პოლარულ ღამე მუდმივმა მზემ შესცვალა, როცა ისლანდიიდან გამოვიდა მოკავშირეთა დიდი ქარავანი.

„ჩერნიშევსკი“ კვლავ მარჯვენა კოლონას მიუძღოდა. ელიზბარი იდგა ხიდურზე. ზოგჯერ იგი ვაჟნედავდა ხოლმე უკან, სადაც დაახლოებით ნახევარი მილის დაშორებით მოდიოდა საბჭოთა ტრანსპორტი „ძველი ბოლშევიკი“. გამოცდილი კაპიტანი ივანე აფანასიევი მეთაურობდა ამ გემს.

გემბანზე ქვემეხებთან იდგნენ არტილერისტები. ესენი იყვნენ სანაპირო დაცვის მებრძოლები, რომელთა ცეცხლი პირველსავე დღეებში იწვნის ფაშისტებმა. მეთაურობდა მათ კაპიტანი კედროვი. ამ ბრძოლებში ორდენებით მიეღოთ და, ცოტა არ იყოს, თავი მოსწონდათ.

ქარავნის გარშემო კილვატა წყობით მიდიოდა მოკავშირეთა გემები.

— ამჯერად რაღაც სიწყნარეა, — ამის თქმა მოასწრო პეტრუშევსკიმ, რომ ზემოდან მოისმა მოახლოებული თვითმფრინავის გუგუნი.

იმავე წამს წინაერდოდან გაისმა მეთვალყურის ძახილი:

— ჰაერში თვითმფრინავია!

ელიზბარმა ბინოკლით ახედა უღრუბლო ცას. იქ კენტად ტრიალებდა თვითმფრინავი.

— მარტოა. ალბათ, მზვერავია.

— მაშასადამე, სულ მალე თავდასხმასაც უნდა ველოდით.

თვითმფრინავი სხვა გემებზეც შეამჩნიეს. შესახედრად მოემზადნენ.

ქვემოთ კედროვი რაღაცას ეუბნებოდა თავის არტილერისტებს.

ელიზბარმა იკითხა კოორდინატები. მორიგე შტურმანმა მოახსენა, საცა დათვის კუნძული უნდა გამოჩნდესო.

თითქმის მაშინვე ქვემეხთა ქუხილი გადასწვდა ზღვას. აკაიანდნენ საზენიტო ტყვიამფრქვევები. კედროვი და მისი არტილერისტები გაეხვივნენ კვამლში. გემბანზე გრუხუნით სცივოდა ცარიელი ჰილზები.

ბომბდამშენები მოფრინავდნენ ძალიან მაღლა, სანაპიროდან, ისეთი წყობით, რომ თვალისმომჭრელ პოლარულ მზეს დაებრძალებინა მოწინააღმდეგე. მართლაც, უღრუბლო ცაზე გაბნეულად, მიზნისაგან დაშორებით სკდებოდა ჭურვები.

აი, ბომბდამშენები გაუპირდაპირდნენ ქარავანს, გაიშალნენ და დაიწყეს პიკირება. გაისმა პირველი ბომბების ბათქი. გარშემო ისევტა წყლის შადრევნები.

ქარავანი განაგრძობდა სვლას, თუმცა გამრუდდა, აირია კოლონების წყობა. სამხედრო ხომალდებიდან თანდათან სულ უფრო ძლიერდებოდა ცეცხლი.

— მარჯვნივ ვხედავ პერისკოპს! — გაისმა შორიდან.

— მარცხნივ ვხედავ პერისკოპს! — მოახსენა ელიზბარს მორიგე მატროსმა.

იმავე წუთს „ჩერნიშევსკის“ მობრუნების საშინელი ღრიალით ჩაუფრინა „ფოკე-ვულფმა“, ორი ტორპედო მოსწყდა მის მუცელს, დაეცა წყალზე და აქოჩრილ ხაზებად გამოტურდა გემისაკენ.

— საჭე მარცხნივ! — შესძახა გოგითქმე. ზომალდმა იცვალა მიმართულება და სასიკვდილო ჭურვებმა სულ ოცოდვე მეტრზე ჩაუარა ქიშ.

დაიწყო ფაშისტთა კომბინირებული იერიშები. წყალში ბომბების სკდომისაგან ირგვლივ ყველაფერი დუღდა. რამდენიმე ტრანსპორტი ცეცხლში გაეხვია. ერთი გემიდან გაისმა გამაყრუებელი გრუხუნის, საშინელი ალი აისცეტა ჰაერში... რამდენიმე წუთის შემდეგ აღარაფერი ჩანდა წყლის ზედაპირზე. მის ტრიუმფებში ზომ ათასობით ტონა ასაფეთქებელი მასალა იდო!

წყალქვეშა ნავი, რომელმაც ჩასძირა გემი, მაშინვე შუაზე მოიქცია ორმა ნაღმოსანმა და სიღრმის ბომბები დააყარა. წყლის ზედაპირზე ამოტრეცვდა ზეთის ლაქები...

ცეცხლში გახვეული გემებიდან წყალში სცვიოდნენ ადამიანები. შეჩერება არ შეიძლებოდა. მათ გადასარჩენად დასრიალებდნენ მარდი კორვეტები.

გემბანზე ორმა ქვემეხმა შეწყვიტა სროლა.

— შეიტყვე, რაშია საჭმე! — უთხრა გოგითქმე მორიგე მატროსს.

მალე იგი კაპიტან კედროვთან ერთად დაბრუნდა.

— ქვემეხები გადახურდა! საჭიროა შესვენება!

— ტორპედო მარცხნივ! — გაისმა ამ ღროს მეთვალყურის ხმა.

ელიზბარმა თვალი ჰკიდა: პირდაპირ მათკენ წყლის ზედაპირს მოარღვევდა ტორპედო. მაშინვე გასცა განკარგულება, გადატრიალა სამანქანო ტელეგრაფის სახელური და გემმა იწყო შემობრუნება...

იმავე წამს გაისმა კედროვის არააღმიახური ზღავალი:

— რას შერბებით?! ვერ ხედავთ ტორპედოს?! შემობრუნეთ გემი, თორემ აფეთქდებით!

ელიზბარი უმაღლეს მისვლა, რა ემართება ბოლა კაპიტანს. გაშლილ ზღვაში გემის შემობრუნება ძალიან შეუძნეველია და კედროვს გამოუცდელიობით მოეჩვენა, რომ გემი ადგილზე იდგა.

თითქმის მაშინვე ახალგაზრდა მატროსი უაზროდ ეცა მესაგებს, ხელი ჰკრა მას და საჭე საწინააღმდეგო მხარეს გადატრიალა. ელიზბარმა მძლავრი დარტყმით მიაგდო იგი კუთხეში, თვითონ ჩასვიდა ხელი შტურვალს და სწრაფად დააყენა საჭირო კურსზე...

ყველაფერი ეს თვალის დახამხამებაში მოხდა. ტორპედომ ზედ ცხვირთან ჩაუსრიალა გემს ისე ახლოს, რომ გარკვევით გაისმა მისი ცივი შხუილი (შემდეგ დარტყვნილი კედროვი ირწმუნებოდა, ასეთი რამ ცხოვრებაში არ ღამმართნიაო. ხმელეთზე რამდენჯერმე პირისპირ შევჩხებია სიკვდილს, მაგრამ იქ ათასნაირი საშუალებაა თავის დასაცავად: ან სანგარში ჩაიმალება, ან ხეს ამოეფარები, ბოლოს და ბოლოს, გაიქცევი, აქ კი მოახლოებულმა სიკვდილმა კი არა, ჩემმა უმწიბრმა შემამინაო).

ბრძოლა გრძელდებოდა. „იუნკერსები“ და „ფოკე-ვულფები“ კვლავ გააფთრებით, დაუზოგავდ გზავნიდნენ სასიკვდილო ტვირთს ზღვისაკენ.

— „ძველი ბოლშევიკი“ იწვის! — გაიხმა ძახილი.

ელიზბარმა მოიხედა. „ძველი ბოლშევიკის“ ცხვირზე ერთმანეთში იგრავნებოდა ცეცხლი და ყომრალი კვამლი.

— ნამდვილად დაიღუპნენ! — კბილები გააკრაჭუნა პეტრუშევსკიმ.

— ჯერ მოიცა, აფანასიევი ასე ადვილად არ დანებდება! — თქვა ელიზბარმა.

„ძველი ბოლშევიკი“ ერთდროულად ებრძოდა ფაშისტთა თვითმფრინავებს და ხანძარს. ზომალდი თანდათან ანელებდა სვლას და ეთიშებოდა ქარავანს.

— შეხედე, — ხელით მიუთითა ელიზბარმა პეტრუშევსკის. „ძველი ბოლშევიკისაკენ“ ინგლისელთა კორვეტი მიემართებოდა. — ახლა აფანასიევს წინადადებას მისცემენ, დასტოვოს ზომალდი, შე-

მდეგ კი თვითონ მოკავშირეები ჩასძირა-
ვენ ტრანსპორტს.

ასეთი იყო წესი. საბჭოთა მეზღვაურე-
ბი ვერაფრით ვერ შეირიგებოდნენ იმ
აზრს, რომ მოკავშირეები საკუთარი ხე-
ლით ძირავდნენ დაზიანებულ ხომალ-
დებს. ეს ზოგჯერ ხდებოდა მურმანსკამ-
დე ორი დღის სავალზე. ფსკერზე მიდი-
ოდა ათასობით ტონა ძვირფასი ტვირთი,
ზოგჯერ — ადამიანებიც. ასეთივე ბედი
ელოდა ახლა „ძველი ბოლშევიკს“.

ინგლისელთა კორვეტი მიუახლოვდა
ტრანსპორტს და მეთაურმა რუპორით გა-
სძახა:

— ბაღრაგის კომანდორი წინადადებას
გაძლევთ დატოვით ხომალდი, გადახვი-
დეთ ნაევებზე და გამოგვყევით უკან!

აფანასიევმა თვალი მოავლო ცეცხლში
გახვეულ გემს. ყველანი მას შეპყურებდ-
ნენ. ძნელი იყო იმის გარკვევა, თუ რას
ფიქრობდა ახლა თვითებული მათგანი,
მაგრამ კაპიტანმა ერთი რამ იცოდა მტეი-
ცედ — მთელი ეკიპაჟი, როგორც ერთი
კაცი, შესარულედა მის ბრძანებას.

ამ დროს აფანასიევს მოახსენეს:

— საუბე წესრიგზე! შეგვიძლია განვა-
გრძოთ გზა საკუთარი სვლით!

და კაპიტანმა მეგაფონით გასძახა კორ-
ვეტის მეთაურს:

— მაღლობა ყურადღებისათვის! გემის
ეკიპაჟი ჩააქრობს ხანძარს და განაგრ-
ძობს სვლას!

ვერ გაიგონა, თუ საკუთარ ყურებს არ
დაუჯერა, კორვეტის მეთაურმა სთხოვა
აფანასიევს, გაემიერებინა ნათქვამი. და
როცა ერთხელ კიდევ გარკვევით მოისმინ-
ა საბჭოთა კაპიტნის დადამყვებელიება,
მხრები აიჩეჩა და უკან გაბრუნდა.

ქარავანი ბრძოლით მიიკვლევდა გზას.
ალში გახვეული „ძველი ბოლშევიკი“ სა-
ბოლოოდ ჩამორჩა კოლონას და მარ-
ტოდმარტო დარჩა გაშლილ ზღვაში.

მთელი დღე-ღამის განმავლობაში არა-
ფერი ისმოდა „ძველი ბოლშევიკიდან“. იგი
ჩათვალეს კიდევ დაღუპულად, როცა
მორიგე მტურმანი შეიჭრა გოგიტიძის
კაიუტაში.

— „ძველი ბოლშევიკი“ გამოჩნდა
პიტანო!

ყველანი გემბანზე გამოეფინნენ. შორს
ქარავანს უერთდებოდა მთელი სვლით
მომავალი უვნებელი ტრანსპორტი.

ინგლისელებს ბინოკლები მიეშვირათ
მკვდრებით აღმდგარი ხომალდისაკენ, სა-
კუთარ თვალებს არ უჯერებდნენ.

სწორედ ის კორვეტი, რომელმაც გაშ-
ლილ ზღვაში მიატოვა დასაღუპავად გან-
წირული ხომალდი, სწრაფად გაემართა
„ძველი ბოლშევიკის“ შესახვედრად.

კორვეტზე აფრიალდა ყველაზე დიდი
აღტაცების გამომხატველი სიგნალი: „ჩი-
ნებულა!“ მეთაურმა მეგაფონით გადა-
სცა:

— მოვილოცავთ! ასე მხოლოდ რუსებს
შეუძლიათ მოიქცნენ!

* * *

ელიზბარმა „ლიბერტის“ კაპიტანი რო-
ბერტ ტომპსონი ინგლისში პირველი ჩა-
სვლისას გაიცნო, როცა ნიუკასტლის მე-
რმა დარბაზობა გამართა საბჭოთა მე-
ზღვაურების პარტისაცემად.

შემთხვევით ერთ მაგილაზე მოხვდნენ.
რობერტ ტომპსონი გულანდილი მოუბა-
რი გამოდგა. ნიუ-იორკიდან ახალჩამო-
სული იყო და ბრაზს ვერ მალავდა, ამე-
რიკელები მხოლოდ დროს ტარებდას და
ბიზნესზე ფიქრობენ, ჩვენ კი აქ თავს
ვაკლავთ ფაშისტებს, რომლებიც დღეს
თუ არა ხვალ მათაც მისწვდებიანო.

და აი, რობერტ ტომპსონს კვლავ შე-
ხვდა ელიზბარ გოგიტიძე რეიკიავიკში.
ტომპსონმა მაშინვე იცნო საბჭოთა კაპი-
ტანი; რაკ ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ,
ეს უნდა აღვნიშნოთ, ელიზბარი და პე-
ტრუშევსკი ბარში მიიწვია.

ელიზბარი არასოდეს ეტანებოდა სას-
მელს, ახლაც ცდილობდა ცოტა ესვა.
ტომპსონს უკვირდა:

— როგორ შეიძლება მეზღვაურმა არ
დალიოს! ისიც ხმელეთზე! ჩერჩილი იმი-
ტომაც სარგებლობს ხალხში ავტორიტე-
ტით, რომ მაგრად სვამს. სწორედ ასე შე-
არჩევს მას: „მაგრად მსმელი, ერის მაგ-
არად მსმელი ბელადი“.

— ტომასონ, — პირდაპირ შეხედა თვალში ელიზბარმა, — ის თუ იცან ინგლისელებმა, როდის აპირებს ჩერჩილი მეორე ფრონტის გახსნას?

ტომასონი ცოტა ხანს ფიქრობდა, შემდეგ თქვა:

— არ იციან... ეს არავინ არ იცის. მაგრამ ის კი ვიცი, რომ მეორე ფრონტი აუცილებლად უნდა გაიხსნას. ეს არ ეეჭვება ინგლისელ ხალხს. მაგრამ დიპლომატებს, ალბათ, თავისი მოსაზრება აქვთ. — ტომასონმა გადაჰკრა ღვინო. — მაგრამ, დამერწმუნეთ, ინგლისელი მეზღვაურები ყველაფერს აკეთებენ თავისი რუსი მოკავშირეებისათვის. აი თუნდაც მე... რაც რომ დიწყო, ერთხელაც ემო მოვახერხებ ჩავსულიყავი გლახოვში. შე იქაური ვარ. გლახოვში მყავს ცოლი და ორი შვილი... ქალ-ვაჟი. რა, შე არ გაყვედრით ამას, ეს ჩემი მოვალეობაა... იცით რა, მოდიეთ ერთად წაივდეთ ჩემთან, გლახოვში. მერის ძალიან გაეხარდება. მას ხომ არახოდეს არ უნახავს რუსები...

...მეორე დღეს ორმოცი ტრანსპორტისაგან შემდგარი ქარავანი გავიდა რეიკიავიკიდან. აცილებდა მას გაძლიერებული დაცვა — მძიმე კრესეტები, ავიამზიდი, ნაღმოსნები და წყალქვეშა ნავები.

„ჩერჩილსეკი“ ტრადიციულად მიუძღოდა მარჯვენა კოლონას. მარცხნივ, შუა კოლონაში, ელიზბარი ხედავდა რობერტ ტომასონის „ლიბერტს“. ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ზღვას, რომ გრუხუნმა შეაბარბაცა გემი.

ეს იყო ქარავნების მეთორმეტე რეისი და ვინ იცის მერამდენე თავდასხმა. ფაშისტთა გამოჩენას ხედავდნენ მშვიდად, ყოველგვარი ფაცა-ფუცის გარეშე. ყველამ იცოდა თავისი ადგილი და საქმე. ახლაც კაპიტნის ბრძანებამდე „ჩერჩილსეკის“ ეკიპაჟი განლაგდა მიჩენილ უბნებზე. ელიზბარი ქვემოთ ხედავდა, ბოცმანი რალაცას ეუბნებოდა სახანძრო შლანგებთან მდგომ მატროსებს.

— გამოჩნდნენ! — თქვა მორიგე შტურმანმა.

სამხრეთიდან ქარავნისაკენ ავი გუგუნით მოემართებოდა ბომბდამშენი „ნაიციცალი“ დაუშინეს სამხედრო ხომალდიდან, ტრანსპორტებიდან.

პირველი ბომბები მაღლიდან ჩამოჰყარეს, მაგრამ მათ ზიანი არ მიუყენებიათ ქარავნისათვის, მოშორებით ასევტა ქაფიანი შადრევნები.

ბომბდამშენებმა უფრო ქვემოთ ჩამოიწიეს და გამაყრუებელი ღრიალით გადაუარეს ქარავანს.

ელიზბარმა დაინახა: ერთი „იუნკერსი“ პირდაპირ მათკენ მოდიოდა... თანდათან დიდდებოდა ბზრიალასავით მბრუნავი პრობლერები... საზენიტო ქვემეხებმა გზა გადაუღობეს ყუმბარების ჯვრით, მაგრამ ააცილეს.

ელიზბარი ჭიუტად უძევებოდა პიკირებით მომავალ ფაშისტურ ძერას. ცალი ხელი სამანქანო ტელეგრაფზე ედო და თვალს არ აცილებდა თვითმფრინავის მუცელს, საიდანაც ყოველ წამს შეიძლება მომწყდარიყო მომავლდინებული ტვირთი. იგი ახლა ვერაფერს ამჩნევდა მოახლოებული თვითმფრინავისა და ტელეგრაფის დისკოს გარდა...

ერთი წამით თვალი მოჰკრა ბომბდამშენის სვასტიკიანი სტომაქიდან გამოფრენილ შავ წერტილებს და მაშინვე გადასწია ტელეგრაფის სახელური... გემი სწრაფად გაიჭრა წინ. საზენიტო ტყვიამეტრქვევების ქახქახი ჩაიკარგა ანძებს გადავლებული „იუნკერსის“ მოტორების ღრიალსა და სულ ახლოს წყალზე დაცმული ბომბების ბათქში...

— ყველაფერი რიგზეა, ელიზბარ! — შემოესმა პეტრუშეკის ყვირილი.

ელიზბარმა თვალი მოავლო გემს. თავისუფლად ამოისუნთქა და თერმოსიდან ცხელი ჩაი მოსვა.

რაკი პირველი იერიში მოიგერიეს, ელიზბარმა მოიცალო, რომ გადაეხედა ქარავნისათვის. ჯგუფ-ჯგუფად მიჰქონდათ იერიში ფაშისტებს ხომალდებზე. უფრო ტრანსპორტებს ეტანებოდნენ. რამდენიმე გემი იწვოდა. გვერდზე წაფერდებულყო ინგლისელთა ნაღმოსანი.

— შეხედე, ელიზბარ! — მოისმა პეტრუშევისის შეძახილი: — ტომასონი იშვის!

ელიზბარმა უფროს შტურმანს ბიოკლი გამოსტაცა და ოკულარებს თვალებით მიაკვდა. სულ ახლოს დანახა აყირავებული „ლიბერტი“, რომლის კინო უკვე სანახევროდ იჭდა წყალში. ცეცხლის ენები კაპიტნის ხიდურამდე წვდებოდა. გარშემო უტრიალებდა ორი კორვეტი, მაგრამ მიახლოებას ვერ ზედავდა.

— ველარაფერი უშველის, — ჩამწყდარი ხმით თქვა პეტრუშევისკმ, რომელიც უბინოკლოდაც კარგად ხედავდა ალში გახვეულ ხომალდს, გემბანზე მოფუსფუსე ადამიანებს. ზოგიერთები წყალში ხტებოდნენ...

გონებაში ერთი წამით გაცოცხლდა ამ რამდენიმე დღის წინათ ტომასონთან შეხვედრა ბარში, მასთან გულახდილი საუბარი. ელიზბარი ახლა თითქმის ხედავდა ტომასონის ცოლს, ქალ-ვაჟსაც, რომლებიც გლაზგოში ელოდნენ მეუღლესა და მამას...

„ლიბერტზე“ რალაც აფეთქდა, გემი ცეცხლსა და შავ კვამლში გეხვია და სწრაფად იწყო ჩაძირვა...

— ტომასონ! მეგობარო! — უნებლიეთ აღმოხდა ელიზბარს.

ტომასონი იდგა კაპიტნის ხიდურზე სრულ საპარადო ფორმაში და გაუნძრევლად, მშვიდად იცქირებოდა „ჩერნიშევსკისაკენ“.

— იურა, შეხედე!.. იურა, იგი ილიმება! — შესძახა ელიზბარმა.

დიახ, კაპიტანი რობერტ ტომასონი ილიმებოდა. ვალმოხდილი მეზღვაურის ამაყი ღიმილით ჩაეშვა იგი თავის „ლიბერტთან“ ერთად ბარენცის ზღვის ფსკერზე.

* * *

ცეცხლსა და ბომბებს გადარჩენილი მექარავენებისათვის მურმანსკი ნამდვილი სამოთხე იყო, სადაც შეიძლებოდა გონზე მოსვლა და შესვენება.

ელიზბარი და გიორგი მეზღვაურთა კლუბში შევიდნენ და თავისუფალ მაგილას მიუსხდნენ, მაგრამ მანუწივე წამოდ-

გნენ, რადგან შეამჩნიეს, მათგან პაპანინი მოეშურებოდა სწრაფი და მოკლე ნაპირჯვრით. მას ადმირალის ფორმა ეცხა.

— ვილოცავთ ჩამოსვლას, მეგობრებო! — პაპანინმა ორივეს მაგრად ჩამოართვა ხელი.

— გმადლობთ, ივანე დიმიტრის-ძე! — მიუგო ელიზბარმა და მიიპატიჟა: — ვთხოვთ, ჩვენთან!

— არ შემოძლია, საქმე მაქვს. — პაპანინმა საათზე დაიხედა. — ნახევარ საათში გოლოვკოს უნდა შევხვდე. სწორედ თქვენ გეძებდით, ელიზბარ შებანის-ძე. თქვენი ოჯახის ბედის თარბაზე...

ელიზბარი მღელვარებით შესჩერებოდა პაპანინს, ხმა ვერ ამოეღო...

— მოსკოვიდან მაცნობეს, რომ თქვენი მეუღლე, ორივე ვაჟიშვილით, ომის დაწყებისთანავე ოდესიდან როსტოვს გაემგზავრა. იქ ცოტა ხანს ცხოვრობდნენ. ამჟამად ბათუმში არიან თქვენებთან. თავს კარგად გრძნობენ და მოკითხვას გითვლიან.

— გმადლობთ, ივანე დიმიტრის-ძე, ყურადღებისათვის! — ამის თქმა მოახერხა ელიზბარმა.

— იური პავლეს-ძე! — გასძახა პაპანინმა ვილაცას და მათ მაგიდას მიუახლოვდა მეზღვაურის კიტელიანი საშუალო ტანის მამაკაცი. — გაიცანით, მწერალი იური გერმანი. იური პავლეს-ძე, თქვენ, ვკონებ, ქარაგნის მონაწილეების ნახვა გასურდათ. გაიცანით, ესაუბრეთ. ესენი ბევრ საინტერესო ამბავს მოგიყვებიან გაზეთისათვის.

პაპანინი რომ წაიდა, იური გერმანმა ელიზბარს გაუღიმა და თქვა:

— თქვენზე ბევრი რამ მსმენია. იღბლიან კაპიტანს, ბედნიერ პერანგში დაბადებულს გეძახიან.

ნელ-ნელა გაიბა საუბარი.

— ხუთუ ყოველთვის უნებლად გამოდიოდა თქვენი „ჩერნიშევსკი“?

— ჯერჯერობით აგრეა.

— არც არასდროს დაჭრილხართ?

— საოცარია, მაგრამ ასეა.

იური გერმანს შეუმჩნევლად ამოეღო ბლოკნოტი და რალაცას იწერდა.

პეტრუშევსკი ჰყვებოდა „ჩერნიშევსკის“ ეკიპაჟის თავადებულ შრომაზე, ასახელებდა გვარებს, თან თხოვდა მწერალს ყოველივე ეს თუნდაც იმიტომ გამოეჩვენებინა გაზეთში, რომ ახლობლებს გაეგოთ მათი ამბავი.

იური გერმანი წერილი ასოებით ავსებდა ბლოკნოტის ფურცლებს, შეკითხვებს არ იძლეოდა, მხოლოდ ზოგჯერ ასწევდა თავს და იტყოდა:

— კიდე, კიდე...

...სულ ახლოს გაისმა სირენის შემაზრუნენი ზუზუნი.

— საჰაერო განგაში! საჰაერო განგაში! — გაისმა რეპროდუქტორებში და დიქტორის ხმა მაშინვე ჩაახშო სახენი-ტო ქვეშეთა გაბმულმა გრუნუნმა.

— თავშესაფარში განვაგრძოთ ჩვენი საუბარი, — თქვა იური გერმანმა და ბლოკნოტი კიტელის ჯიბეში ჩაიღო.

— უკაცრავად, მაგრამ ჩვენ გემზე უნდა წავიდეთ. იქ გელოდებით, გვეწვიეთ, — უთხრა ელიზაბარმა.

* * *

მწერალი იური გერმანი მეჩვიდმეტე რეისის შემდეგ რომ შეხვედროდა კაპიტან გოგიტიძეს, მაშინ მართლა ჩათვლიდა მას ბელნიერ პერანგში დაბადებულად. ისლანდიიდან გამოსული ოცდათოთხმეტი სატრანსპორტო გემიდან მხოლოდ თერთმეტმა მიაღწია დანიშნულების ადგილამდე.

საბჭოთა კაპიტნებს თავიდანვე არ მოეწონათ მომავალი მარშრუტი. წინა ქარავენებიც ასეთი კურსით მოდიოდნენ. გერმანელები კარგად იცნობდნენ ამ ტრასას და დღიან-ღამიანად სერავდნენ ზღვის სივრცეს, ჩაკეტილი ჰქონდათ თეთრი ზღვის ყელი.

— არაფერი მესმის, — ფიცხოვდა ელიზაბარ გოგიტიძე, — მოკავშირეებს ამდენი არ ესმით, თუ რაიმე სხვა მიზანი ამოქმედებთ!

ადმირალმა გოლოვკომ პირდაპირ განუცხადა თავისი გაოცება ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო მისიის მეთაურს კონტრ-ადმირალ ბევანს:

— ჩვენი ცნობებით, ქარავნის მომავალ

ლო მარშრუტის რაიონში მოქმედებს მტრის წყალქვეშა ნაეზები, მცურავი ავიზაზებიც კი... ესე იგი, ისინი ქარავნის გავლას. ჩემი აზრით, ბრიტანეთის საადმირალოს უნდა შეერჩია სხვა მარშრუტი, აქედან უნდა დაეშვა ექსპედიციური ძალები ქარავნის მოსაძებნად.

ინგლისელი ადმირალი ქედმაღლურად ცდილობდა გოლოვკოს დარწმუნებას:

— ქარავანს გაჰყვება საიმედო დაცვა, რომელიც უუთვადებს გერმანელთა ყველა თავდასხმას. ეს არის ყველაზე ძლიერი ბაღრაგი საჰაერო დაცვის სრულად ახალი სისტემით — აეროსტატებით. ესკორტში შედიან სახაზო ხომალდი „დიუკ ოფ როკი“, „ნორფოლკისა“ და „ვიჩიტას“ ტიპის კრეისერები...

— გთხოვთ, ჩემი მოსაზრებანი სასწრაფოდ გადასცეთ ბრიტანეთის საადმირალოს, — დაბეჯითებით მოითხოვდა გოლოვკო.

მაგრამ ქარავანი მაინც სახიფათო მარშრუტით გავიდა რეისში. მაშინ გოლოვკომ გადაწყვიტა საბჭოთა საოპერაციო ზონაში, რომელიც დათვის კუნთულიდან იწყებოდა, ყოველმხრივ უზრუნველყო ქარავნის უსაფრთხოება. ზღვაში გავიდნენ ჩრდილოეთის ფლოტის სამხედრო ხომალდები. აეროდრომებზე საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ ავიაგამანადგურებლები.

ერთი ეჭვი არ ასვენებდა ადმირალ გოლოვკოს. განზრახ ხომ არ უშვებდნენ ასე ღიად ქარავანს ინგლისელები? საქმე ის იყო, რომ ჩრდილოეთის ზღვებში გამოჩნდა გერმანელთა სამხედრო ფლოტის სიამაყე — სახაზო ხომალდი „ტირპიცი“. ინგლისელები გააფთრებით ეძებდნენ ამ შეჯავშნულ საზღვაო გიგანტს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს. „ტირპიცი“ ერთ დღე ვერც შეხვდა სანაღიროდ არ გარისკავდა ზღვაში გასვლას, მაგრამ ოცდათოთხმეტე ტრანსპორტიან ქარავანთან შესახვედრად ნამდვილად გამოვიდა თავშესაფრიდან. ის „საიმედო ესკორტიც“, რომელიც ბაღრაგობდა მეჩვიდმეტე ქარავანს, შეიძლება „ტირპიცის“ გასანადგურებლად იყო გამიზნული (ღმის შემდეგ გამოქვე-

ყნებულმა მასალებმა, თვით ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მესვეურთა მემუარებმაც სასკებო დადასტურეს ადმირალ ა. გოლოვკოს ეს ეჭვები.

ასე იყო თუ ისე, „ტირპიცი“ საბჭოთა მზღვარებებისთვისაც ძვირფას საკბილოს წარმოადგენდა და გოლოვკომ საბრძოლო ოპერაციაზე საგანგებო დავალებით გაგზავნა წყალქვეშა ნავი „კ-21“, რომელსაც სახელგანთქმული კაპიტანი საბჭოთა კავშირის გმირი ნიკოლოზ ლუნინი მეთაურობდა.

4 ივლისს, ნაშუაღამევის სამ საათზე, ტორპედოსანმა თვითმფრინავებმა პირველი იერიში მიიტანეს ქარავანზე და უმაღლესიანეს რამდენიმე ტრანსპორტი. ესკორტის ხომალდებმა აიყვანეს მათი ეკიპაჟები და შემდეგ ყუმბარებით დაცხრილეს და ჩასძარეს ჩამორჩენილი გემები.

მაშინვე ცნობილი გახდა, რომ ფაშისტთა ესკადრამ დატოვა ნორვეგიის ნაპირები და სწრაფად მოემართებოდა ქარავნისაკენ. ესკადრას მიუძღოდა სახაზო ხომალდები „ტირპიცი“ და „ადმირალი შეერი“.

— გიორგი ანტონის-ძეე, — ელიზბარმა მიღებული რადიოგრამა გაუწოდა უფროს შტურმანს, — წაიკითხეთ ერთი. ან მე მატყულებს თვალი, ან კიდევ ჩვენი მოკავშირეები გაგვიდნენ.

ბრიტანეთის საადმირალოს სახელით ესკორტის მეთაური „ჩერნიშევსკის“ კაპიტანს აძლევდა „დამოუკიდებლად ცურვის უფლებას“. ქარავანს დაქსაქსულად, ბაღრაგის გარეშე უნდა გაეგრძელებინა გზა და თვითნებ კაპიტანს მის მიერ არჩეული კურსით მიეყვანა გემი რომელიმე საბჭოთა ნავსადგურში.

— ეს იმას ნიშნავს, რომ ვუშველოთ თავს, ვის როგორც შევცდილია, — თქვა გოგითქმე და ერთი მაგრად შეიკურთხა.

— შეხედეთ, ამხანაგო კაპიტანო, — გაისმა მესიგნალის ძახილი, — ინგლისელები ტოვებენ ქარავანს!

მართლაც, ნაღმონებისა და კრეისერების უმეტესობა ნოისხნა წრიული გარემოცვიდან და გაემართა ავიამზიდისაკენ. მოკავშირეთა მანევრი გასაგები იყო.

საცაა ფაშისტთა ესკადრა უნდა გამოჩენილიყო და ავიამზიდი უფრო ძვირფასი იყო მათთვის, ვიდრე სამხედრო საჭურვლო დატვირთული ხომალდები.

— რაც მალე გავმორდებით აქაურობას, მით უკეთესია. — გოგითქმე სწრაფად შეაფასა მდგომარეობა და რუკაზე გაავლო ახალი კურსი თეთრი ზღვის ყელისაკენ.

ქარავანი დაიშალა.

მალე ჩრდილოეთის ფლოტის სარდლის შტაბში იწყო მოსვლა საგანგაშო ცნობებმა ფაშისტთა მიერ ჩაძირული ტრანსპორტებისაკენ.

მოკავშირეები არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდნენ მათ.

ამ დროს კი საგანგებო დავალებით გაგზავნილი წყალქვეშა ნავის კაპიტანი ლუნინი დაეძებდა მხოლოდ „ტირპიცი“. ძებნას აძნელებდა ჩაუვალი მზე და გარინდული ზღვა, რომლის ზედაპირზეც პერისკოპის გამოჩენა ძალზე სასიფათო იყო.

იმედგაწყვეტილმა ლუნიმ მოულოდნელად პერისკოპის ოკულარებში დაინახა ფაშისტთა ესკადრა, რომლის შუაში იდგა საიმედოდ გარემოცული გიგანტური სახაზო ხომალდი. ეს იყო „ტირპიცი“. ახლა მთავარია შეუმჩნევლად მიახლოება და ნაღდი გასროლა.

დაიწყო მანევრი მოხერხებული პოზიციის შესარჩევად. აკუსტიკები განუწყვეტილად იძლეოდნენ „ტირპიცი“ პელნგებს. ლუნიმ გასცა ბრძანება და ოთხი ტორპედო ერთმანეთის მიყოლებით გასროლა და მიზნისაკენ... ნავის კორპუსი შებარბაცდა... ორი წუთის შემდეგ გაისმა აფეთქება... პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე!.. ესე იგი, ტორპედოებმა მიზანს მიაღწიეს. ახლა მთავარია თავის შევლა, სწრაფად გაცლა...

ნიკოლოზ ლუნიის წყალქვეშა ნავი მშვიდობიანად დაბრუნდა ბაზაში. ფაშისტთა სიამაყე „ტირპიცი“ კი ისე დაზიანდა, რომ ესკადრამ შეწყვიტა ქარავანზე ნადირობა და პირი იბრუნა ნორვეგიის ნაპირებისაკენ.


ქარავნიდან მხოლოდ თერთმეტმა გემ-
მა მოაღწია დანიშნულების ადგილს. მათ
შორის იყო „ჩერნიშევსკიც“.


მეჩვიდმეტე ქარავნის ტრაგიკულმა ბე-
დმა, რასაც მოჰყვა წერილების გაცვლა
სტალინსა და ჩერჩილს შორის, დიდი მი-
თქმა-მოთქმა გამოიწვია. ბრიტანეთის სა-
მხედრო-საზღვაო მისიის ახალმა მეთა-
ურმა კონტრ-ადმირალმა ფიშერმა განუ-
ცხადა გოლოვკოს, რომ მოკავშირეთა
მორიგი ქარავნის გამოსვლა გადადებუ-
ლია სექტემბრამდე მაინც.

...ქარავნების მიმოსვლის შეწყვეტის
გამო საბჭოთა სატრანსპორტო გემების

ერთმა ნაწილმა, რომელშიც იყო „ჩერნი-
შევსკიც“, გადასერა მრავალი ზღვა, ოკე-
ანე და რამდენიმე თვის ნაოსნობის შე-
მდეგ ღუზა ჩაუშვა ელადივოსტოკში.

აქ, ელადივოსტოკში, შეხვდა ელიზბარ
გოგიტიძე თავის ოჯახს. აქვე იხეიმა ფა-
შისტურ გერმანიაზე გამარჯვება და მო-
ნაწილეობა მიიღო იაპონიასთან ომში.
შემდეგ მან „ჩერნიშევსკი“ თავის მეგო-
ბარსა და თანამებრძოლს გიორგი პეტ-
რუშევსკის დაუტოვა, თვითონ კი ახალი
გემით „საბჭოთა გავანი“ ოდესის ნაპი-
რებისაკენ აიღო კურსი.





ჯემალ ჯაყელი

ჰანიბალური ფიცის რაინდებს

ვედარ შეჰბედავს სახეს ალმური,
 არ მოიბურავს მურიტ მზეპირი —
 თუ დასდე ფიცი ჰანიბალური
 და გაიტანე ყველა ჯებირი,
 თუ თქვი და გასჭერ, თუ თქვი და ღარგე,
 ასჯერ, ათასჯერ თუ ხარ მართალი!
 თუ წაიქეცი და ვინმეს არგე...
 თუ დაიფიცე აკენის ნათალი,
 თუ დაიჯერე არდაბერება,
 შუბლზე გრიგალის მტვერი დაიდე.
 ეუცხოებათ ბედნიერება
 ჰანიბალური ფიცის რაინდებს!
 მე ასე მწამს და მე ასე ვიცი
 და მიხარია, რომ ასე მჯერა.
 ჰანიბალური მოგეცი ფიცი
 და სული ჩემი მზემ შეაჯერა.
 და ამიტომაც მეუცხოვება
 ბედი და მისი ავან-ჩაფანი.
 მე კარგად ვიცი, რაა ცხოვრება
 და ვის უჭირავს ზეცის თავანი.
 როგორაც სული ფიქრთა მორევზე.
 როგორაც ჩრდილი მზეგადახრილზე.
 ო, გული ჩემი, ცხელი თონეზე,
 ო, გული ჩემი, ბასრი მახვილზე,
 არ იყანგება საოცარ ქანგით,

რომ ასე მჯერა გათენებისა,
ვისაც არწივის მოაცვლა ჰანგი —
ყველას ჰქონოდეს შილი ნებისა!
კარგო, მოგეცი ფიცი კაცური
და დაუძრავი, როგორც ქარაფი,
რომ გადავცურო გადასაცური,
რომ გადავკაფო გადასაკაფი,
რომ... ჩემი სახლის ქერი რა არი,
ბეჭზე დავიდო მშობელი მთები.
ისე არ მოვკვდე, მეფე თამარის
რომ არ ვიპოვო საფლავის ქვები.
მთელი ცხოვრება ჩემი ფიცია
და სიყვარული ჩემი ხვედრია,
ყველა პასუხი არ გამიცია
ცხოვრების გზებზე რაც შემხვედრია,—
ვის საფლავს ვიცავ ძველთა ძეგლებიანს,
ვის რატომ ვაჭრი ხელებს ცოდვიანს —
მიტომ კი არა — არა მცოდნია,
მიტომ კი არა... ისე, უბრალოდ
ყველა პასუხი არ გამიცია.
ჩემი ცხოვრება ვალით, უვალოდ
ძახილია და ერთი ფიცია,
რომ გაპოვნილო ღიმილი იგი,
რაც გქონია და არცა გქონია,
გადაგიშალო ცხოვრების წიგნი,
ოდეს რომ ზღაპრად გაგიგონია.
ველარ შეჰბედავს სახეს აღმური,
არ მოიბუროვს მურით მზეპირი,
თუ დასდე ფიცი ჰანიბალური
და გადალახე ყველა ჯებირი.
ცხოვრების გზებზე რაც შეგხვედრია
და რაც აროდეს დაგყვედრებია,
მზის სიყვარული ჩემი ხვედრია
და მზეც ამიტომ დამხედებია!



აშოქან შარვაშიძე

ყიზლარიდან ყიზლარამდე

იმ დღეს საშინელმა სიცხემ დააჭირა. მზე გავარვარებული ქვაბივით ადგა თავს ყიზლარსა და მის მაღამოს. ჰაერი შეიკუმშა, ხეებზე არც ერთი ფოთოლი არ ირხეოდა, ჰორიზონტი თანდათან მუქ ფერს იღებდა. მაღლე მზე ბურუსში გაეხვია და ქარიშხალი ამოვარდა. ცაზე ღრუბლები შავ-ნაბადიანი მხედრებივით შემოიჭრნენ. სადღაც იელვა, მას გრუხუნის მოჰყვა და სულ მაღლე იქაურობა ჭექა-ქუხილმა გადააყრუა.

ახლად დაბადებული გაკვირვებით შესცქეროდა მის ირგვლივ მოფუსფუსე ადამიანებს, გულგრილად უსმენდა ციდან მოხეტიალ ჯოჯოხეთურ ხმაურს და ხმას არ იღებდა... მერე ხელები ასასვსავა, თითქოს ცას ემუქრებო, პაწაწინა მუშტები შემართა, პირი დააღო და თავისი ვერცხლივით წკრიალა ხმა ბუნების შემზარავ ხმაურს შეუერთა.

ბუნების მრისხანება როგორც დაიწყო, ისევე მოულოდნელად შეწყდა, მაგრამ იოანე ბაგრატიონის სახლში ისეთი ხმაური, ყრიამული და სროლა ატყდა, რომ ყიზლარამდე ისმოდა. მაღლე ყიზლარშიც გავარდა ხმა — რუსეთის არმიის სეკუნდ-მაიორს იოანე ალექსანდრეს-ძე ბაგრატიონს ვაჟიშვილი შეეძინაო.

ეს მოხდა ორასი წლის წინათ, 1765 წლის 6 ივლისს. ახლად დაბადებულს პეტრე დაარქვეს. მაგრამ იმ დღეს ქარიშხალი კი არა, ოდნავი ნიაჲიც არ ქროდა. არც ჭექა-ქუხილს გადაუყრუებია იქაურობა. პირიქით, თურმე ყიზლარში ზაფხულის ჩვეულებრივი წყნარი და მზიანი დღე იდგა. ელვა, ჭექა-ქუხილი, ქარიშხალი ყიზლარელებმა მხოლოდ მაშინ მოიგონეს და შეთხზეს, რაც პეტრე ბაგრატიონის გმირულმა სახელმა ჭექა-ქუხილივით გადაუარა ქვეყანას.

პეტრეს მამა იოანე ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსის ძმის — იესეს პირდაპირი შთამომავალი, მისი შვილიშვილი იყო. ისევე, როგორც მამამისი ალექსანდრე, იგი 1757 წლიდან ყიზლარში ცხოვრობდა.

ალექსანდრე რუსეთის სამხედრო სამსახურიდან პოდპოლკოვნიკის ჩინით გადადგა, იოანემ კი პოლკოვნიკობამდე მიიღწია. პეტრე მაშინ დაიბადა, როცა მამამისი სეკუნდ-მაიორი იყო და იმავე წლის ბოლოს პოდპოლკოვნიკის ჩინიც მიიღო. მოკლე ხანში იოანეს ოჯახს კიდევ ორი ვაჟი ალექსანდრე და რევაზი (რომანი) შეეძინა. მიუხედავად იმისა, რომ იოანე ბაგრატიონი დიდი გვარის წარმომადგენელი იყო და საკმაოდ მაღალ სამხედრო ჩინს ატარებდა, მაინც ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ შვილების კარგად აღზრდისათვის ყველაფერი გააკეთა. იოანე ბაგრატიონის ოჯახი სავსე იყო ქართული ხელნაწერებითა და თბილისსა და ვახტანგ მეექვსის მიერ რუსეთში გამოცემული ქართული წიგნებით. ოჯახის ყველა წევრმა კარგად იცოდა ქართული, რუსული, სპარსული და ფრანგული ენები.

როცა პეტრე წამოიზარდა, იგი მამას შეეკითხა, ქართველები ვართ და საქართველოში რისთვის არ ვცხოვრობთო. თუმცა ბევრჯერ მოუსმენია, თუ რა იყო მამისა და პაპის რუსეთში გადახვეწის მიზეზი, მაგრამ იგი მაინც აწუხებდა, აწუხებდა და მოსვენებას არ აძლევდა. მოსვენებას არ აძლევდა ისიც, რომ თუ კი სამშობლოში ისეთი არეუ-დარევა და გარეშე მტრების (მათ შორის ჩეჩნებისა და დაღესტნელებისაც) ასეთი ხშირი თავდასხმებია, რატომ ავრე მეგობრული გრძნობით ეპყრობა მამა ჩეჩნებსა და დაღესტნელებსო. თვითონ ჩეჩნები და დაღესტნელები რად ესხმიან ქართველებს, ნაცვლად იმისა, რომ მათთან ერთად გაილაშქრონ კავკასიელთა საერთო მტრების — სპარსელებისა და თურქების წინააღმდეგ? რა არის ამის მიზეზი?

როცა პეტრეს თექვსმეტი წელი შეუსრულდა, მამამ დაბადების დღე დიდი ზეიმით გადაუხადა. ნაშუალამევს სტუმრები გაისტუმრეს და იოანე ბაგრატიონის ოჯახის წევრები ის იყო დასაძინებლად ემზადებოდნენ, რომ ჭიშკართან ცხენოსანთა ხმაური მოისმა. მალე იოანეს მოახსენეს, ჩეჩნები გესტუმრნენო. მასპინძელს ძლიერ ესიაშოვნა და ბრძანა, ახალი სუფრა გაშალეთო. ჭიშკარი გაიღო და სტუმრებმა ცხენები ეზოში შემოაგვლვეს. ხუთნი იყვნენ, ხუთივე ჩეჩენი და ხუთივე არწივეზს ჰგვანდნენ, მაგრამ მათში ყველაზე უფროსი, სამოც წელს მიღწეული მანსურ მაგომა თავისი ახალგაზრდული შემართებით, მოხდენილობითა და სიდარბაისლით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა.

მანსურ მაგომა განთქმული ნაიბი იყო ჩეჩენთა და მთელ დაღესტანში. მას, როგორც ბევრ ჩეჩენსა და ლეკს, ცოტა ცოდვა როდი ჰქონდა ჩადენილი კახეთსა და ქართლში, მაგრამ ბევრი მეგობარი და ძმადნაფიციც ჰყავდა კახეთისა და ქართლის მდებრიოთა და ბატონებს შორის. მის კაცებს

ხშირად მოჰქონდათ იოანე ბაგრატიონთან ქართლ-კახეთის ამბები. თუმცა რუსეთსა და ჩეჩნეთ-დაღესტანს შორის ომი იყო, მაგრამ მანსურ მაგომა არასოდეს არ იფიქრებდა იოანე ბაგრატიონს და, მიუხედავად დიდი საშიშროებისა, ხშირად ნახულობდა თავის მეგობარს. იმ დამით კი განსაკუთრებული მიზნითა და საჩუქრით ეწვია მანსურ მაგომა იოანე ბაგრატიონის ოჯახს. საჩუქარი იქვე ჩამოჰკიდეს პეტრე ბაგრატიონს.

— სახელოვანი მამის შვილს ჩამოვუტანე ეს საჩუქარი მისი დაბადების თექვსმეტი წლისთავის აღსანიშნავად, — სიყვარულით მიმართა მანსურ მაგომამ იოანე ბაგრატიონს და მერე კი პეტრეს მიუბრუნდა: — ეს ხმალი ყველაზე განთქმული ოსტატის ნახელავია... მას ბადალი არა ჰყავს მთელ დაღესტანში. ჩემი და მამაშენის მეგობრობის ნიშნად ატარე იგი და მაგ ხმლით მხოლოდ კავკასიელთა მტრები აგეკუწოს.

მანსურ მაგომამ მხრებში ხელები წაავლო პეტრეს, ახლოს მიიზიდა და შუბლზე აკოცა, პეტრე კი ძვირფასი სტუმრის მკერდს ეამბოროა.

მასპინძელმა სანატრი და მუდამ სასურველი სტუმრები სუფრასთან მიიწვია. პეტრე კი ერთ ადგილზე იდგა გაოგნებული და თვალს არ აშორებდა ძვირფას საჩუქარს. უცებ პეტრეს თვალებში ცეცხლმა იელვა, ხმალი ქარქაშიდან ამოიღო და მის ბასრ პირს დააცქერდა. ჯერ მარცხენა ხელის ცერის ფრჩხილზე გასინჯა მისი სიმკრელე, მერე თავისი ხუჭუჭი თმიდან რამდენიმე ბალანი მოსწყვიტა და, როცა ისინი ხმლის ოდნავი შეგნებით შუაზე გადასჭრა, აღტაცებისაგან კინალამ შეჰყვირა. ხმლის სახელურს ამშვენებდა არაჩვეულებრივი ოსტატობით შესრულებული ძვლის, ვერცხლისა და ოქროს ინკრუსტაცია. ასევე მშვენიერი იყო მთელი ქარქაში. ხმალი ქარქაშში ჩაავო, მარჯვენა ხელი ხმლის სახელურს წაავლო, სხარტად შეტრიალდა, თვალები დარბაზს მიაპყრო და სიყვარულით გახედა ძვირფას სტუმრებს, რომლებიც უკვე სუფრას შემოსხდომოდნენ. პეტრეს გათენებამდე თვალი არ მოუხუჭავს: თავისი ოთახიდან სულგანებული უსმენდა მამისა და მანსურ მაგომას საუბარს.

— და მაინც ვიტყვი, ჩემო ძვირფასო კუნაყო, — გულისწუხილით ამბობდა მანსურ მაგომა, — რომ ქართველები მცდარ გზას ადგინაოთ. ერეკლეს უკვე აღარ ენდობიან. მას პატივს არ სცემენ არც სულთანი და არც შახინ-შახინ... და ეს იმიტომ, რომ თავი არ დაანება რუსეთთან კავშირს. ჯერ კიდევ თქვენი პაპის, მეფე იესეს ძმამ, დიდებულმა მეფე ვახტანგმა იგემა რუსთა ერთგულების მწარე ნაყოფი, როცა იგი რუსეთის მეფისგან მოტყუებული მარტოდმარტო აღმოჩნდა მტრის წინაშე. პეტრე პირველის დღილი იყო იმის მიზეზი, რომ ვახტანგმა ტახტი დაჰკარგა, თურქეთმა აღმოსავლეთი საქართველო დაიპყრო, თვითონ ვახტანგი კი თავისი დიდი ამალით საქართველოდან გადაიკარგა და რუსეთს შეეხიზნა. აი, რად დაუჯდა ვახტანგ მეფეს რუსეთთან კავშირი... მიუხედავად ამისა, პეტრე პირველის მიერ მოტყუებულმა ისევ პეტრე პირველს მიაშურა. სად არის

აქ მეფის მეფური თავმოყვარეობა ან გონიერება? ამის შემდეგ რაღა ფასი აქვს ერეკლეს ჯიუტობას? თქვენი მეფეები თვითონვე ლესავენ თქვენი ზალხის დასაკლავ დანას.

— თუმცა ჩემი ძვირფასი კუნაკი, ჩემი ძმადნაფიცო ხარ, მაგრამ მაგ მცდარი სიტყვების გამო ჩემი გულისწყრომა რომ არ გამოვთქვა, არ შემძლია. — იოანეს ხმაში სიბრაზე იგრძნობოდა, მაგრამ მარჯვენა ხელი მაინც სიყვარულით დაადო მხარზე მანსურ მაგომას და ისე განაგრძო...

* * *

უკვე ექვსი თვე გავიდა, რაც პეტრე ბაგრატიონი მამიდას ესტუმრა პეტერბურგში და თითქმის ყოველდღე ნერვიულობდა, რადგან ამ ხნის განმავლობაში საწადელს ვერ ეწია. ანა ალექსანდრეს ასული ბაგრატიონი თვით რუსეთის კანცლერის ანდრია ბორისის-ძე გოლიცინის მეუღლე იყო და სასახლეში გავლენითა და პატივისცემით სარგებლობდა. პეტრეს თხოვნას იგი არასოდეს ივიწყებდა, მოსიყვარულე მამიდა მხოლოდ შესაფერ დროს უტედიდა, რათა ძმისწულის საწადელი კეთილად დაეგვირგვინებინა. ამ დრომაც მოაღწია. ერთ საღამოს გოლიცინის სახლს მეფის სასახლის კარეტა მოადგა — იმ დროს რუსეთში ყოვლის შემძლე უგვირგვინო მეფე გრიგოლ პოტიომკინი პეტრე ბაგრატიონს სასახლეში იბარებდა. ახალგაზრდა ქართველის არწივისებური იერი და სიტყვა-პასუხი ძლიერ მოეწონა პოტიომკინს და კმაყოფილებით გადახედა ანა ბაგრატიონს, რომელიც სიხარულით ცრემლმორეული უცქერდა თავის საყვარელ ძმისწულს.

ერთი საათის შემდეგ თექვსმეტი წლის ქართველი ჭაბუკი რუსეთის არმიის კავკასიის მუშეკეტერთა პოლკის სერჟანტის ჩინით დაბრუნდა სახლში.

1782 წლის თებერვლის სუსხიან დღეს პეტრე ბაგრატიონი ჩრდილოეთ კავკასიაში ჩავიდა და გამოცხადდა კავკასიის მუშეკეტერთა მეორე პოლკში, რომელსაც პოლკოვნიკი პიერი მეთაურობდა.

1783 წელს ბაგრატიონმა პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო ჩეჩნების წინააღმდეგ ომში და მამაცობისა და გამჭრიახობის გამოჩენისათვის პრაპორშჩიკის ჩინი მიენიჭა. ამ დროს პეტრე უკვე თვრამეტი წლისა იყო და სწორედ მაშინ გაიგო, რომ გეორგიევსკში ეკატერინე მეორის სახელით გენერალ-პორუჩიკმა პავლე პოტიომკინმა და მეფე ერეკლეს სახელით თავადმა გარსევან ჭავჭავაძემ ხელი მოაწერეს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას.

პეტრეს გულს უკლავდა ჩეჩნების წინააღმდეგ გამართული ომი და სისხლისღვრა. მას არ ავიწყდებოდა მანსურ მაგომას სიტყვები: „ამ ხმლით მხოლოდ კავკასიელთა მტრები აგეკუწოს“. სინამდვილეში კი ის ხმალი პეტრე ბაგრატიონმა კავკასიელ თანამოძმეთა — ჩეჩნების წინააღმდეგ დაატრიალა და მათ წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა, მაგრამ გულს

იმით იკეთებდა, რომ მას, ქართველთა მოკავშირე რუსეთის არმიის მეომარს, სხვანაირად არ შეეძლო მოქცეულიყო. არ შეეძლო იმიტომ, რომ საქართველოს ხსნას მხოლოდ რუსეთთან კავშირში ზედავდა და ამავე დროს გული მოსდიოდა ქართველებზე, სომხებზე, აზერბაიჯანელებზე, ჩრდილო კავკასიის მთიელებზე, ყველა კავკასიელზე იმ კინკლაობის გამო, რომელსაც ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ აწარმოებდნენ, ნაცვლად იმისა, რომ საერთო ენა გამოენახათ და გადაულახავ კედლად აღმართულიყვნენ საერთო მტრების წინააღმდეგ. ზოგი მათგანი სპარსეთს შესცქეროდა, ზოგი თურქეთს, ზოგი კი რუსეთს უხმობდა საშველად. პეტრე ბაგრატიონი ფიქრობდა: თუმცა გეორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით საქართველომ ბევრ რამეში დაუქვემდებარა თავი რუსეთის სახელმწიფოს, მაგრამ მაინც არ დაუქარგავს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ზოგიერთი უფლება. რუსეთთან კავშირი კი შესაძლებლობას მისცემს საქართველოს გაუმკლავდეს როგორც სპარსეთს, ისე თურქეთსა და ჩრდილო კავკასიის მთიელთა განუწყვეტელ თავდასხმებს. ჰოდა, პეტრე ბაგრატიონს სწამდა: რუსეთის მხარეზე რომ იბრძოდა თურქეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ, ამით საქართველოს შველოდა და გული კმაყოფილებით ეგებოდა.

იმ დროს როგორც საქართველოს, ისე რუსეთის წინააღმდეგ განსაკუთრებით გააქტიურდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელები ცნობილი ავანტიურისტის უშურმას მეთაურობით, რომელმაც თვითონ უწოდა თავის თავს შეიხი მანსური. იგი გაშმაგებით იბრძოდა ისლამის განმტკიცებისა და შარიათის კანონების დანერგვისათვის ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა შორის. ამ მოძრაობამ განსაკუთრებული სიძაფრით იჩინა თავი გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ. ჩრდილოეთიდან ლეკები და ჩეჩნები ესხმოდნენ ქართლსა და კახეთს, სამხრეთიდან სპარსელები გააქტიურდნენ, სამხრეთ-დასავლეთიდან კი თურქეთი იტაცებდა საქართველოს მიწებს. ქართველები კი ვერა და ვერ შეკავშირდნენ ერთ მთლიან სახელმწიფოდ და განცალკევებით იბრძოდნენ მტრების წინააღმდეგ. შეიხი მანსური სულ უფრო და უფრო აღვივებდა სიძულვილს კავკასიის მთიელთა შორის საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ.

რუსეთი კავკასიაზე გავლენისათვის იბრძოდა, თურქეთი კი კავკასიელი მუსლიმანების სისხლით ცდილობდა თავისი გავლენის განმტკიცებას კავკასიაში.

1783, 1784, 1785 წლების ომს ჩრდილოეთ კავკასიაში უფრო პოზიციური ბრძოლების ხასიათი ჰქონდა, ვიდრე შეტევითი და ამიტომ არც ერთ მხარეს არ გაუმარჯვია. ყველა ამ ბრძოლაში პეტრე ბაგრატიონი აქტიურად მონაწილეობდა და პორუჩიკის ჩინი მიიღო. ყველაზე უფრო სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა 1785 წლის გაზაფხულზე. ბრძოლა დაიწყო მზის ამოსვლისას და შუადღემდე გასტანა. ორივე მხარეს აუნახდა ურთიერთი ზარალი მოუვიდა. პეტრე ბაგრატიონი თავისი რა-

ზმით მუსრს ავლებდა მოწინააღმდეგეს. მოულოდნელად იგი ჩიხში მოემწყვდა, აღსასრული თითქოს შორს აღარ იყო. უცებ ბაგრატიონს გრძნობა გაუბრწყინდა, მკლავში ძალა მოემატა და ლეკების მიერ გამოტყდომი ნური ხმალი ჩეჩენთა რისხვად აამუშავა... სასტიკ ბრძოლაში პეტრემ მარჯვენა მკერდზე საშინელი ტკივილი იგრძნო, მერე ფეხები მოეკვეთა, თვალები დაუბნელდა და რუს მებრძოლთა გვამებს შორის დაეცა, მაგრამ პირზე ღიმილი არ ჩაქრობია და მკვდრებს შორის ისე იწვა, თითქოს საღაც არის ფეხზე წამოდგება და კვლავ შემართავს თავის ხმალს მტრების შესამუსრავადო.

დაღამდა.

მთებიდან საგსე მთვარე გამოჩნდა, თანდათან მალლა აცოცდა და სხივები უხვად დააფრქვია ბრძოლის ველს. ჩეჩნებმა რუს მეომართა გვამების ძარცვა დაიწყეს. როცა პეტრე ბაგრატიონს მიაღწენენ, ძვირფასი ხმლის დანახვისას, ალბათ, ერთმანეთს ყელს გამოლადრავენენ, მანსურ მაგომას ერთ-ერთ მცველს რომ არ მიესწრო... იცნო, უმაღლვე იცნო ნაიბის გაჩუქებული ხმალი...

— ჰოი, უღირსო გიაური! — შეჰყვირა მანსურ მაგომამ და ჯერ ხმალს დააცქერდა, მერე კი მიწაზე გაშოტილ პეტრე ბაგრატიონს და სახეზე ზიზღმა გადაურბინა.

მძიმედ დაჭრილი და გრძნობადაკარგული პეტრე ბაგრატიონი ჩეჩნებმა თავის ბანაკში წაიყვანეს და მანსურ მაგომას ბრძანებით სათუთად უელიდნენ. ერთი კვირის შემდეგ პეტრე ფეხზე წამოდგა და მანსურ მაგომას მიჰგვარეს. ახალგაზრდა ბაგრატიონი ამაყად და თამამად წარსდგა ჩეჩენი რაინდის წინაშე, მაგრამ როცა მის ხელში თავისი ხმალი დაინახა, გაწითლდა, კანკალი აუვარდა და თვალები დახარა.

— ეს ხმალი, — დინჯად დაიწყო მანსურ მაგომამ, — ღირსეული ქართველი ადამიანის შვილს მიართვეს ნიშნად სიყვარულისა, პატივისცემისა და იმ იმედით, რომ იგი მხოლოდ კავკასიელთა მტრებს აკუწავდა, მაგრამ მან ნაჩუქარი ხმლით მშობლიური ხალხის თანამოძმეთა სისხლი დაღვარა. ამას კი ღალატი ჰქვია. დიახ, ღალატი.

— ღალატი... — დამარცვლით წარმოთქვა ბაგრატიონმა და დამცინავად გაიღიმა. — რატომ გავიწყდებათ, რომ ის, რაც თქვენთვის ერთგულებაა, სხვისთვის, ადვილი შესაძლებელია, ღალატზე უარესია... დიახ, ღალატზე უარესი.

— აღარ მიკვირს... აღარ მიკვირს, რომ შენ რუსეთს ემსახურები, — ნღვლიანად წამოიძახა მანსურ მაგომამ და ბაგრატიონს ზიზღით შეხედა.

— ცდებით, მე არავის მოსამსახურე არა ვარ... მე რუსეთის მეომარი ვარ... რაც შეეხება რუსეთს, იგი ამაყმად საქართველოს საფარი გახლავთ, საქართველო კი მისი მძლავრეა.

— ეცადეთ, რომ ევ საფარი შემდეგ ხაფანგად არ გადაიქცეს, ანღა

ხუნდებად არ შეიცვალოს... — დამცინავად და ბრაზით წარმოთქვა მანსურმა სურ მაგომამ.

— შესაძლებელია, მაგრამ დღეს ეს ერთადერთი სწორი გზა არის. საქართველო კი ისეთი ქვეყანა არ გახლავთ, რომ სხვას ემონოს... იგი ბევრჯერ დაიპყრეს, მაგრამ ვერ დაიმონეს. ქართველებს რომ უკიყინებთ, განათქვენ თვითონ არა ხართ სხვა ქვეყნის სურვილების აღმსრულებელი? თანამემამულეთა სისხლს ღვრით თურქეთის გასამარჯვებლად კავკასიაში. და თუ მართლა გაიმარჯვა თურქეთმა, ჩეჩენთი და დაღესტანი მათი სამფლობელო გახდება და... თქვენ რა? უცხოთა უღელი რომ დაიდგათ, ამისათვის სწირავთ თანამომძმეთა სისხლსა და სიცოცხლეს?

მანსურ მაგომამ მრისხანედ შეაწყვეტინა სიტყვა ბაგრატიონს.

— თურქეთი ჩვენთვის უცხო არ არის და ჩვენც ამიტომ...

ახლა თვითონ ბაგრატიონმა შეაწყვეტინა სიტყვა მანსურ მაგომას და ამაყად უპასუხა:

— რუსეთს რომ ვიცავ, ამით საქართველოს ვემსახურები. და თუ დღეს ჩვენ რუსეთის მოკავშირეები ვართ, აქ გასაკვირი და დასაძრახი არაფერია...

— შენ კი... გინდა, რომ იგი რუსეთმა ჯიჯგნოს?! — იღრიალა მანსურ მაგომამ და ბაგრატიონის ხმალი კინაღამ შუაზე გადატეხა.

— ეგ ხმალი, რომელიც ახლა თქვენი არის და რომელიც ოდესღაც მე მაჩუქეთ, რათა მხოლოდ კავკასიელთა მტრები ამეკუწა, ხედავთ, შუაზე მაინც ვერ გადატეხეთ, თუმცა სცადეთ. მოვა დრო და ჩვენი შთამომავლები თავის ძმობას უფრო მეტად განამტკიცებენ და ეგ ხმალი ჩვენი ხალხების ძმობისა და მეგობრობის სიმბოლო იქნება. იგი არაერთხელ დატრიალდება საერთო მტრების წინააღმდეგ...

მანსურ მაგომა აღარ უსმენდა პეტრე ბაგრატიონის სიტყვებს. იგი თავჩაქინდრული დასცქეროდა ბაგრატიონის ხმალს და მწარედ ფიქრობდა.

ვინაიდან ყიზლარი შორს არ იყო, პეტრე ბაგრატიონი მამამისს მიჰვარეს, ნიშნად მისდამი ღრმა პატივისცემისა და ამავე დროს ბოდიში მოიხადეს, რომ ოდესღაც ბაგრატიონისათვის მიძღვნილი ხმალი თან არ გაატანეს.

სამი წლის წინათ ყიზლარიდან წასული პეტრე ბაგრატიონი ისევ ყიზლარში მოხვდა, რათა იქიდან ხელმეორედ დაეწყო თავისი ცხოვრებისა და ბრძოლების დიდებული გზა.



ჴრიღონ ხალვაში ლ ა მ ა ზ ი ბ ი ღ ი

ნიუ-იორკი შენობათა აყუდებული კლდეებით ბურუსიან ცაში აჭრილა.

გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის სხდომათა დარბაზში უცხოელთა ერთ ჯგუფს ახალგაზრდა ლამაზი ქალიშვილი მიუძღვება.

მე და ნიკო ჩვენებს ჩამოგრჩით და კვლავ გატაცებით ვათვალიერებთ ყველასათვის ცნობილ ამ დარბაზს.

— ტრიბუნაზე ავალ და სიტყვას წარმოვთქვამ, შენ მისმინე დარბაზიდან, — ღიმილით მეუბნება ნიკო.

— საჭიროა. — ვეუბნები მე. — ვნახოთ როგორ გაიგებს ეს კედლები ქართულ სიტყვას.

ნიკო დიპლომატის სერიოზულობას იღებს და მტკიცე პირდაპირი ნაბიჯით ტრიბუნისაკენ მიემართება.

უცხოელთა ჯგუფი, რომელსაც გიდი ხმადაბლა უხსნის რაღაცას, მეორე კუთხეში მიიწურა, კედელზე ჩამოკიდებულ ჩემთვის გაუგებარი აბსტრაქტული ნახატის ქვეშ.

ნიკო ერთს ჩაახველებს, მიკროფონებს გადახედავს, დარბაზს თვალს ავლებს და დინჯად იწყებს:

— ამხანაგებო, ბატონებო, ხალხებო, სახელმწიფოებო, კაცებო, ქალებო და შენ, ლამაზო ქალიშვილო, ვიდაცა მოცლილებს რომ აპყოლიხარ, გამოდი აქეთ, ჩემი ბატონი ხარ და...

ძალიან დაბალ ხმაზე ლაპარაკობს ნიკო და ჰგონია მის მეტს არავის ესმის. მაგრამ, ალბათ, ერთი რომელიღაც მიკროფონი ჩართული დარჩენილა და სკამებთან მკვეთრად დაირხა დაჟმენდილი, ჩვენებური რამახიანი სიტყვა.

უხერხულობა და შიში მიპყრობს. ვდგები და ხელის ქნევით ნიკოს ვა-

ჩერებ. თვითონაც გრძნობს რაც დაემართა და უმაღლვე ჩამორბის ხალიჩიან კიბეებზე.

უცხოელთა მთელი ჯგუფი მობრუნებულია და გვიყურებს, ხოლო ლამაზი გიდი რატომღაც სკამებს შორის გაფაციცებით ჩვენკენ მოიწევს.

ალბათ, ცუდი ჩავიდინეთ, ალბათ, გამოგვლანძღავენ. ჯობს გავიქცეთ, ვფიქრობ მე, მაგრამ ქალიშვილი უკვე ჩვენს წინაა.

საოცრებაა, — იგი კიდევ ილიმება.

იგი მაღალია და ფართო შავი თვალები აქვს. ნახშირივით შავი თმები ხან მხრებზე, ხან გვერდზე ეხნევა.

იგი თითქოს ღელავს, აჩქარებით სუნთქავს.

უფრო გვიანსლოვდება.

— ბატონებო... მეც ქართველი ვარ! — გვეუბნება და მის დიდრონ თვალებში უცნაური სევდა წვება. ცრემლს არ მაღავს.

პერე უცებ მხიარულად ილიმება.

— ძალიან დაშვენდა ქართული ამ დარბაზს... — ამბობს და გვემშვიდობება.

ჯგუფთან რომ მივიდა, რამდენჯერმე ხელი დაგვიქნია. დარბაზის დაბინდულ სივრცეში დაქნეული თეთრი ხელი... თვალები კი აღარ ჩანან.

თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ა

მზიანი კვირადღეა.

ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში დავდივარ. პირველყოფილი უსიერო ტყე, უსწორ-მასწორო კორდები, დაგრეხილი ბილიკები, პატარა ღვლები, ქვები, კლდეები ხელუხლებლად და დატოვებული და, წარმოიდგინეთ, პარკში სინათლეც კი არაა.

კიმი, მაღალ-მაღალი ახოვანი ბოსტონელი ბიჭი, რომელიც ჩვენი გიდი, მხიარულად და ხმამაღლა გვაცნობს პარკის ყოველ კუნჭულს. ალაგ-ალაგ იმასაც გამოუჩენს, თუ როგორი წვანებით და მსხვერპლის ფასად მოახერხეს პირველმა კოლონიზატორებმა იმ ადგილების დასახლება, სადაც ახლა ეს ქალაქია.

გადარჩენილი ინდიელები კი შორს, დასავლეთის მთებს შეეხიზნენ...

ჩვენს წინ ტიალი დამრეცი ველია მწვანე ხასხასა კორდით. ერთ ადგილას მაღალ-მაღალი ჭრელმაისურიანი ჭაბუკები ბეისბოლს თამაშობენ გატაცებით. აგერ ჩვენს გვერდით, ვიწრო ბილიკს თხუთმეტიოდე ბავშვი მიჰყვება მხიარული ჟღერტულით.

წინ ერთმანეთზე ხელმოკიდებული ორი ბიჭუნა მიაბიჯებს, ერთი ზანგი, მეორე თეთრი. ზანგს რატომღაც ორი ჩანთა აქვს მხრებზე, თეთრს კი არც ერთი.

ისინი ერთმანეთს უღიმიან და ჭკვიანურად, კაცებივით ღინჯად საუბრობენ.

მე თვალს ვადევნებ მათ და თანაც ვგრძნობ, კიმი უცნაური ენაყრდნელებით მაკვირდება.

— ხედავ? — მეუბნება გიდი. — ამის მერე დაიჯერებთ, რომ აქ შავ-კანიანებს ჩაგრავენ?

მე არაფერი მითქვამს.

უცებ წინ მიმავალ თეთრ ბიჭს ცალ ფეხზე სანდალი წაძვრა და იქვე ბალახებში დაეცა. თეთრი ბიჭი შედგა და ზანგს უჩიკავა.

წყვილხანთიანი ზანგის ბიჭი სწრაფად გადახტა, სანდალი აიღო, მიუბრუნინა, დაიხარა და ფეხზე ჩააცვა.

თეთრი ბიჭი ლაღად დგას და შორს იყურება მშვიდად.

მე გვერდით ვიხედები, რომ გიდს წელანდელ კითხვაზე ვუპასუხო, მაგრამ ის რატომღაც ჩამომცილებია.

რატომ იცინიან?

მე და ჯონი პატარა საქსკურსიო ხომალდის ცხვირზე ვდგებით. გრილი, მარილიანი ქარი სახეში გვიბერავს, მაგრამ აგვისტოს ცხელი ღლეა და ამიტომ ეს ყველაფერი კიდევ გვსიამოვნებს.

მოკლეშარვლიანი ქალები და გრძელშარვლიანი მამაკაცები, დაწყვილებულნი და ლუდის ქილებით შეიარაღებულნი, გემბანის კიდევბისავენ მიიწევენ. იქ ეძებენ დასაჯდომ ადგილებს, რათა თუ შეზღონგებზე არა, ყოველ შემთხვევაში ხის სკამებზე მაინც მოეწყონ, ოღონდ რაც მთავარია, როგორმე ფეხები მაღლა, მოაჯირზე დააწყონ.

ჩვენი ხომალდი ნელი ტორტმანით მიიწევს წინ და აქოჩრილი რუხი ტალღები უგემური ტლაშუნით ლოკავენ მრავალი ფერის ზეთით გათხუბნულ მის გამობერილ ფერდებს.

რადიოში ვიღაც რიხიანი და მხიარული დიქტორი ხმამაღლა სიცილით უყვება მგზავრებს გაღმა-გამოღმა ნაპირებზე ყოველი ქუჩის, ძეგლის, სახლის თუ ცათამბჟენის ამბავს. ჯერ რადიოს არავინ უგდებს ყურს, მაგრამ ადგილები რომ მოინახა და მოძრაობაც თანდათან მინელდა, მგზავრთა სმენას ძალაუფლებურად მხიარული დიქტორის ლაპარაკი იპყრობს და მისი განმარტოებული სიცილი საერთო ზარხარში გადადის.

— რატომ იცინიან? — ვეკითხები ჯონს.

— ის სახლი, მარცხენა ნაპირზე რომაა, ქალთა სასტუმროა. მამაკაცებს არ უშვებენ შიგ. კატების შეყვანა კი ნებადართულიაო, — მითარგმნის ჯონი.

მოკლე სიჩუმის შემდეგ სიცილის ტალღამ ისევ იფეთქა. ორივე ნა-

პირს ვათვალიერებ, იქნებ თავად მივხვდე რაშია საქმე. მაგრამ იქ ჩვეულებრივი ნიუ-იორკული პეიზაჟია.

— რატომ იცინიან? — ვეკითხები ჯონს.

— აი იქ, გაღმა მანქანების სისაფლაოა. ერთი მდიდარი ქალი ყოველ პარასკევს, თავისი საყვარელი მანქანის დალუპვის დღეს, მოდის და გარდაცვლილი „საყვარლის“ გაბზარულ გვერდზე მთელ კონა ყვავილებს ტოვებსო, — მითარგმნის ჯონი.

ბოლაში თანდათან ფართოვდება და ჩვენს წინ ღია ზღვა იშლება. მაჩვენებ პატარა კუნძულზე თავისუფლების ცნობილი ქანდაკება მოჩანს.

რადიო ტყვიამფრქვევით კაკანებს, რასაც სიცილის ქუხილი მოსდევს. ყველანი იქით, ქანდაკებისაკენ იყურებიან. მაგრამ ჯონი არ იცინის, არც დანარჩენებს აქცევს ყურადღებას და ცდილობს დამაინტერესოს, თუ რამდენ ათას დოლარად იყიდა როკფელერმა მიწის ნაკვეთი, რომელიც გაერთიანებულ ერებს აჩუქა ასამბლეის და სამდივნოს შენობათა ასაგებად და რამოდენა საკაცობრიო ჰუმანური საქმე გააკეთა ამით.

მაგრამ სიცილი უფრო ძლიერდება და კვლავ ვიყურები ქანდაკებისაკენ. რალაც ფრინველები თავზე, მხრებზე, მაღლა აღმართულ ჩირაღდანზე აჯდებიან.

— რატომ იცინიან? — ვეკითხები ჯონს.

— ხუმრობს, — ხელის ჩაქნევით მიპასუხა მან და თვითონაც გაიცინა. მერე გულგრილად მითხრა:

— ...ის ამბობს, თავისუფლების ქანდაკებას ამ ბოლო ხანებში მტრელები შეეჩვივნენო. მოფრინდებიან საიდანღაც, დააჯდებიან თავზე ან მხარზე, დაასკინტლავენ და გაფრინდებიან. ხმები დადის, მტრელები რომელიღაც უცხო სახელმწიფოს მიერ მოსყიდული აგენტები არიანო...

კაცის ცრემლი

გზაში შემთხვევით გაცნობილი კაცი ზოგჯერ ცხოვრებაში საუკეთესო მეგობრად გაგხდება.

უცხოეთში რამდენიმე დღითაც რომ მოხვდე, მაინც უცხოეთში ყოფნას ნიშნავს. მეორე დღესვე სამშობლოს ნატვრის სევდა დაგეუფლება და უცნობი თანამემამულეც უახლოეს მოკეთედ მოგეჩვენება.

ასეთი იყო ჩემთვის ზაქრო, მაღალი, ძლიერი, თუმცა თავისებურად ნაზი ბიჭი. იგი ხმამაღლა სუნთქავდა, მაგრამ ხმადაბლა ლაპარაკობდა, ერთი შეხედვით უხეში, როხროხა გეგონებოდათ, მაგრამ საოცრად რბილი და ჩუმი იყო.

იცოდა თავის შეკავება, ყველგან თავის ადგილს მონახავდა, წინ არ წავისწრებდა, სიტყვის თქმას დაგაცილდა, ან თუ საუბრისას შეგატყობდა,

რომ შენ რაღაც სათქმელი გქონდა, ლაპარაკს შეწყვეტდა, — სათქმელს დაგიტოვებდა.

ნიუ-იორკში, ოცდამეთერთმეტე აგენიუზე ერთ-ერთი სასტუმროდან, სადილის შემდეგ, მე და ზაქრო ბროდვეიზე გავდივართ გასასეირნებლად.

სამუშაო დღე მთავრდება. ხალხი გარეთ გამოდის და ჭიანჭველასავით ირევა. ერთმანეთზე მიწყობილი ასობით მანქანა მჭიდრო ნაკადად ქშენით და გაბმული ზუზუნით ნელა მიედინება ქუჩაში.

ადამიანების მდინარეს ჩვენც ვუერთდებით და ნელა მივყვებით.

ამ თავბრუდამხვევ მოძრაობას ისიც თან ერთვის, რომ ქარი ტროტუარებზე გადაყრილ გაზეთებს ხვეტავს, მაღლა აფრიალებს და ზოგს სახეებზე აფენს. პაერი მტვრიანია და თითქოს რუხი, თანაც სქელი. იგი ნეონური და შუქრეკლამების გამუდმებული ელვარებით თბება.

ერთმანეთისა აღარ გვესმის და ამ ორომტრიალში სული გვეხუთება.

— ჯეფერ ბიძია, ძალღი დააბი, სტუმრები მოვედით! — წამოიძახებს ზაქრო და ოცნებაში წასული უმისამართოდ იღიმება.

— რა მოგივიდა? — ვეკითხები.

— სულის მოსათქმელად ჩემი სოფელი გავიხსენე, ბიძაჩემის სახლ-კარი, — მიხსნის ზაქრო.

ლამის კაფეებიდან მუსიკა ვნებიანად იხვეწება, შემოდითო.

უსაქმო გამყიდველები მაღაზიებიდან ძველი ნაცნობებივით თავს გიჟნევენ და გებატიყებიან.

მანქანებიდან დაბინდულ თვალებს შეგავლებენ სადღაც მიმავალი და საიდანღაც მომავალი ქალები.

ქუჩის მხატვარი პლასტმასის ჯორჯოზე ზის და ეტყობა ვიღაც ომის ინვალიდს ხატავს, რომელიც ერთადერთ ფეხზე დგას და ისე პოზიორობს, თან გამვლელებს პატარა მიკროფონიდან მოწყალებას თხოვს.

ერთი ხმელი, მაღალი, ლოყებჩაცვენილი ხნიერი მამაკაცი ჯერ კიდევ წელან კაფესთან შევნიშნე, ჩვენ გვითვალთვალებდა, გვისმენდა. ახლა ავე-რაა. ალბათ, აგვდევენბაია. ჩვენი თვალები ერთმანეთს ხვდებიან.

იგი გაუბედავად იღიმება და გვესალმება.

— მე გიცანით, თქვენ ქართველები ხართ. — სუსტი რუსულით უძლურად გვეუბნება უცნობი.

— მერე? — მძაფრად ვეკითხება ზაქრო და მის წინ ბოძივით ესობა.

— არაფერი, ძამია... გენაცვალე, — უკანასკნელ ორ სიტყვას ქართულად ამბობს მოხუცი და რატომღაც ზედა ტუჩი, რომელიც ძალიან თხელი ჭადარა უღვაშითა აქვს დაფარული, ოდნავ უკანკალებს.

ზაქრო მე მიყურებს და ვგრძნობ მეკითხება, რა ვუყოთ ამ კაცსო.

— თუ დრო გაქვთ, დახარჯეთ რამდენიმე წუთი ჩემთვის. წამოდით ჩემთან. აგერ ჩემი გალერეაა და იქ შევიდეთ, — გვემუდარება ეს უცნაური კაცი.

უარის თქმას უხერხულად ვთვლით და მივყვებით.

უცნობს უხარია. წელანდელი სევდიანი ბებრული თვალები უცნოდ ბედნიერების და კმაყოფილების ცეცხლში გაანათა.

— იცით, მამით მეც ქართველი ვარ. ჯავრიშვილი იყო მამაჩემი... იგი მაღალი ჩინის ოფიცერი ყოფილა მეფის არმიასი და პეტერბურგში შეურთავს დედაჩემი — შეძლებული ებრაელის ქალი. მე თბილისში დავიბადე. მამა დაიკარგა, დედამ ათი წლისა წამომიყვანა.

იგი ფრთხილად ალებს ვიწრო, მაღალ შუშის კარებს და ჩვენ ყუთებით, სურათებით, საღებავებით, ქანდაკებებით საესე მოზრდილ დარბაზში შევყავართ. თურმე ეს ყოფილა მისი „გალერეა“.

სიამაყით გვაჩვენებს სხვადასხვა ქვეყნიდან მიღებულ სურათებს, ბარელიეფებს, ფაიფურის, ბრინჯაოს და ხის მედალიონებს. ყიდულობს, ყიდის...

— ჩვენ გვეჩქარება, — აფრთხილებს ზაქრო.

— მტკვარში მიბანავია... — მუდარით ამბობს მოხუცი. — მთაწმინდაზეც ავსულვარ. ორთაჭალა, მეტეხი...

ბრინჯაოს ჩარჩოში ჩასმულ ფაიფურის იაპონურ მედალიონებს გვაძლევს სახსოვრად და თან „ორთაჭალა, ორთაჭალა...“ იმეორებს. ეტყობა, რალაცის გახსენება კიდევ სურს, მაგრამ უჭირს.

— ჩვენ გვეჩქარება. — ცივად იმეორებს ზაქრო.

შემებრალა მოხუცი და თვალებით ვანიშნებ ზაქროს, ვაცალოთ-მეთქი. ფუსფუსებს, ფუსფუსებს, მაგრამ სიხარულით დაბნეულს ველარაფერი მოუფიქრებია. ველარც ლაპარაკობს. თითქოს სახესაც გვიმაღავს. რა ემართება?!

უჩრიდან პატარა ფოტოსურათს იღებს და გვაწოდებს.


— იცით, ეს ჩემია. მე ვარ ესა. არა, საჩუქრად როგორ გკადრებთ! ისე ერთი თხოვნა მქონდა...

— თქვით, თქვით, — თანაგრძნობით მიუბრუნდა ზაქროც.

— იცით ეს მე ვარ... თუ არ დაგეზარებათ, წაიღეთ საქართველოში და სადმე მიწაში ჩაფალით... დაასაფლავეთ.

ახლა შემოგვხედა. თვალები სველი აქვს. ალბათ, ამ ცრემლებს გვიმაღავდა.

სურათი ზაქრომ შეინახა ჯიბეში და სასტუმრომდე ისე ვიარეთ, ერთი სიტყვაც არ გვითქვამს.



საგზი უსენინი

შ ა ვ ი კ ა ც ი

ავად ვარ, ჩემო მეგობარო,
ვარ ძლიერ ავად.
ეს უცნაური სენი მტანჯველ ტკივილებს მისევს.
უდაბურ ველზე
ქარი თუ ჰქრის გულშემზარავად,
ან როგორც მიწას სექტემბერში მტკნარი ფოთლები,
ტენის ალკოჰოლი აცვივა ისე.

ჩემი თავი კი ყურებს არხევს
ფრინველის ფრთებად.
დაიღალა და ემძიმება ფეხების თრევა.
და შავი კაცი,
შავი, შავი,
ეს შავი კაცი
მოდის, საწოლზე ჩემს გვერდით ჯდება,
აღარ მაძინებს და მაწვალებს ეს ღამის თევა.

ეს შავი კაცი
საზიზღარი წიგნით გადამრევს —
როგორც გარდაცვლილს მონაზონი,
ისე მიკითხავს
ვინმე ლოთის და გაიძვერას
ამბავს საზარელს,
და მერე შიში და ნაღველი
მაწვალებს დიდხანს.
ო, შავი კაცი,

შავი. შავი.
ეს შავი კაცი!

„ყური დამიგდე, —
ჩაჰკირკიტებს იმ წიგნს გადაშლილს, —
აქ ბევრი კარგი ზრახვაა
და აზრი საქები.
მისმინე, იმ კაცს უცხოვრია
იმ ქვეყანაში,
სადაც ცხოვრობენ
უბნეღესი ავაზაკები.

იმ ქვეყანაში
დეკემბერი როცა დადგება,
ჯოჯოხეთურად სუფთაა თოვლი
და ქარი ფანტელს ქარბუქად ართავს.
იმ კაცს, გაქეჟილ ავანტიურისტს,
თაღლითობაში არ ჰყავდა ტოლი,
ვერ უპოვიდა ვერავინ ბადალს.

იყო წარმტაცი,
თან იცნობდა ყველა პოეტად.
არც თუ ძლიერი იყო, მაგრამ
არ აკლდა ჯადო
და ორმოცი წლის ქალს უწოდებდა
საძაგელ გოგოს
და თავის სატრფოს.

ბედნიერია,
ვინაც ხერხით
იოლად გავა,
მოუქნელს როდის წყალობდა ბედი
რა ვუყოთ მერე,
თუ ტანჯვას მრავალს
იწვევს ყალბი და
მახინჯი შესტი.

როცა ქარია,
ავდარია — ქუხილი, ელვა.
როცა დაჰკარგე ახლობელი
და გსურს აღერსი,

აღერსიანად, მზიარულად ეჩვენო ყველას
ხელოვნებაა უმწვერვალესი“.

„როგორ მიბედავ, შავო კაცი!
გეშლები, ალბათ.
შენ ხომ ხელობით
არ ხარ მყვინთავი.
მე რად მიკითხავ
გალანძლული პოეტის ამბავს.
სხვას წაუკითხე,
კიდევ თუ გაქვს წასაკითხავი“.

თვალს არ მაშორებს შავი კაცი
არც ერთი წუთით,
ცისფერი ლიბრი გადაეკრა
თანდათან თვალებს, —
თითქოს სურს მითხრას,
რომ მე ვარ ქურდი,
ვიღაცა ისე გაეძარცვე, რომ
არ შევიბრაღე.

ავად ვარ, ჩემო მეგობარო,
ვარ ძლიერ ავად.
ეს უცნაური სენი მტანჯველ ტკივილებს მისევს,
უდაბურ ველზე
ქარი თუ ჰქრის გულშემზარავად,
ან როგორც მიწას სექტემბერში მჭკნარი ფოთლები,
ტვინს ალკოჰოლი აცვივა ისე.

ლამეა, ყინავს,
გალურსულა გზავარედინი.
არ ველი სტუმარს,
არც მეგობარს —
მარტოკა დავრჩი.
ველი მსუბუქი კირით არის გადაპენტილი.
ხეებს, ვით მხედრებს,
მოუყრიათ თავი ჩვენს ბაღში.

სადღაც ლამეში
ავბედიით ფრინველი ჩხავის
და ხის მხედრების თქარათქური

ისმის გაბმულად.
კვლავ შავი კაცი, შავი კაცი,
ის კაცი შავი
აიწვეს ცილინდრს.
ჩემს წინ ჯდება დარდიმანდულად.

„ყური დამიგდე! —
ახროტინდა იგი საზარლად,
იხრება ჩემკენ
და წამწამსაც არ ახამხამებს. —
ჯერ არ მინახავს
სალახანა და არამზადა
ასე უაზროდ,
სულელურად რომ ტეხდეს ღამეს.

იქნება შევცდი!
ახლა მთვარის ნათელის თოვამ
მოთენთა ყველა
გრძნობების ფიფქით.
სქელბარძაყება
საიდუმლოდ უთუოდ მოვა,
რომ წაუკითხო
მიზნედილი ლექსების წიგნი.

მიყვარს მგოსნები!
ახირება დასჩემებიათ,
შათი ამბავი კარგად ვიცი
და მეცინება,
როცა კურსისტ ქალს
მუწუკებიანს
თმაგრძელი გონჯი
ვარსკვლავებზე საუბრით ხიბლავს
და ავხორცული ხურუშით დნება.

კალუგაში თუ რიაზანში,
კარგად არ ვიცი.
რომელ სოფელში —
სულ ერთი არი.
ერთი უბრალო გლეხის ჭერქვეშ
ცხოვრობდა ბიჭი
ცისფეროვალა და

ყვითელთმიანი.
მერე დაკაცდა,
მოგვევლინა თანაც პოეტად,
არცთუ ძლიერი იყო, მაგრამ
არ აკლდა ჯადო
და ორმოცი წლის ქალს უწოდებდა
საძაგელ გოგოს
და თავის სატრფოს“.

„შენ, შავო კაცო,
ხარ სტუმარი უსაზიზღრესი,
დიდი ხანია
სამარცხვინოს ატარებ სახელს“.
გააფთრებული
მე ხელჯოხს ვესვრი,
რომ დაგულეწო
პირი და სახე...

მთვარე აღარ ჩანს.
ცამ ინათა განთიადურად.
რა მიყავ, ღამევ!
მოსვენება რად დამიკარგე?
ვდგავარ მარტოკა,
ცილინდრი მხურავს.
ჩემს წინაშეა...
გამტყდარი სარკე.

თარგმნა გიორგი სალუქვაძემ.





გრიგოლ შანიძე

რუსთველი თუ რუსთაველი?

1961 წელს გაზ. „კომუნისტში“ (10/1) აკ. შანიძემ და ალ. ბარამიძემ გამოაქვეყნეს სტატია „რუსთველი თუ რუსთაველი?“, სადაც ხსენებულ ორ ფორმას შორის უპირატესობა რუსთველ ფორმას მისცეს შემდეგი დასაბუთების საფუძველზე: „ვეფხისტყაოსანში“, ამბობენ ისინი, ოთხჯერ არის დასახელებული მისი ავტორი, ორჯერ ბრტყელში და ორჯერ ეპილოგში (მოყვანილია ადგილები). ამრიგად, „ვეფხისტყაოსანში“ იცნობს მხოლოდ რუსთველ ფორმას. ქართულ ლიტერატურულ წყაროებშიც XV-XVIII საუკუნეების მანძილზე რუსთველი შემონახულა. ფორმა რუსთაველ პირველად გვხვდება ანტონ კათალიკოსის გრამატიკასა და წყობილსიტყვაობაში („თვით შოთა რუსთაველისა“); ეტყობა, ანტონის ზეგავლენით, ეს ფორმა მიიღეს იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილებმა; XIX საუკუნე-სა და ჩვენს დროში პარალელურად იხმარებოდა რუსთველი და რუსთაველი და დასკვნა: ამ მოკლე ექსკურსიდან ჩანს, რომ ისტორიულად სწორია და საუკუნეების მანძილზე გავრცელებული იყო ფორმა რუსთველი; რაც მთავარია, ასე უწოდებს თავის თავს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. შოთა რუსთველი ეწოდება

ჩვენს სასიყაადლო პოეტს იერუსალიმის ჯვარის მონასტრის პორტრეტის წარწერის მიხედვითაც. დასასრულ, ავტორები აღნიშნავენ, რომ აღნიშნული საკითხი („რუსთველი თუ რუსთაველი?“) ამას წინათ განიხილა „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დამდგენმა კომისიამ. მისი დადგენილებით ამიერიდან საყოველთაოდ უნდა გავრცელდეს როგორც საქართველოში, ისე მთელ საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთაც ფორმა რუსთველი.

XIX და XX საუკუნეებშიც ხსენებულ ორ ფორმას შორის ბევრი უპირატესობას რუსთველ ფორმას ანიჭებდა და მწერლობაშიც ხმარობდა. მათგან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია სილოვან ზუნდაძე, რომელსაც ერთადერთ კანონიერ ფორმად მიაჩნდა რუსთველი და თავისი მოსაზრების დასაცავად იმავე არგუმენტებს ეყრდნობოდა, რომლებსაც აკ. შანიძე და ალ. ბარამიძე ეყრდნობიან დღეს.

„ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დამდგენი კომისიის გადაწყვეტილებას არ იზიარებენ ს. ყაუხჩიშვილი და ი. მეგრელიძე.

1961 წელს სიმ. ყაუხჩიშვილმა ეჟრნალ „მნათობში“ (№ 2) გამოაქვეყნა სტატია „შოთა რუსთაველი და ჯვარის მონა-

სტერი“, სადაც უპირატესობა რუსთაველ ფორმას მიჰქონდა. იგი ამბობს: ექსპედიციას არაფერი ჩამოუტანია იმის შესაცვლელად, რომ ამიერიდან ეწეროთ რუსთაველი და არა რუსთაველიო. პორტრეტს აწერია „როსთელი“, ე. ი. „რუსთელი“, ამ ხომ შემოკლებით წერია, არ წერია არც ერთი ხმოვანი: არც ა და არც ე; ამიტომ საბოლოოდ უნდა მოიხსნას ის საბუთი, თითქოს რუსთელი ნიშნავდეს მხოლოდ რუსთველს, და თუ ასე ფიქრობენ აკ. შანიძე და ალ. ბარამიძე, ძალიან სამწუხაროა. თვით „ვეფხისტყაოსანში“, განაგრძობს ავტორი, იხმარება „მე რუსთველი ხელობითა“ და „რუსთველმა გავლექსე“, მაგრამ ანგარიში უნდა გავწიოს იმას, რომ: 1) მთელი XIX საუკუნე (ილია, აკაკი...) ხმარობს ფორმას „რუსთაველი“ და ჩვენც XX საუკუნეში მუდამ ვამბობდით „რუსთაველიო“; 2) ყურადსადეგია შემდეგი პრაქტიკული მოსაზრებაც: გოლოვინის პროსპექტს, ერთ-ერთ მიტინგზე პაოლო იაშვილის მიერ შემოტანილი წინადადებით, დეკარქვით რუსთაველის პროსპექტი. ჩვენი სახელოვანი დრამატული თეატრი, მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტი, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, რამდენიმე ბიბლიოთეკა რუსთაველის სახელს ატარებს, ყველა ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად ცნობილია „რუსთაველიო“ და ასე დასაკვნის: „არავითარი საჭიროება არ მოითხოვს შევცვალოთ ყველა ამ დაწესებულების სახელი, სახლებს გამოუცვალეთ წარწერები... ნუ დავაზნელებთ ექსპედიციის ამ მიღწევებს შოთას სახელის პრობლემატური წაკითხვით მის პორტრეტზეო“.

ი. მეგრელიძე იხიარებს სიმ. ყაუხჩიშვილის ამ აზრს და თავის სტატიაში „რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ მართლწერა“ (იხ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1962 წ., 5/V) აღნიშნავს, რომ აკ. შანიძისა და ალ. ბარამიძის წინადადება ჩვენმა საზოგადოებრიობამ უარყო და ცდილობს რუსთაველ ფორმის საფუძვლიანობა ენობრივად დასაბუთოს.

ჩვენ შეუწყნარებლად მიგვაჩნიათ, ყაუხჩიშვილის არგუმენტაცია და აი რატომ: მართალია, ექსპედიციის წაკითხვით, როგორც სიმ. ყაუხჩიშვილი ამბობს, შოთას პორტრეტზე წარწერა „როსთელი“, ე. ი. „რუსთველი“ შემოკლებითია (მასში არც ა და არც ე ხმოვანი არ არის), მაგრამ იგი ვიდრე უფრო ამაგრებს რუსთველის ფორმის სასარგებლოდ იმ არგუმენტაციას, რომელიც 1921 წელს ჩვენმა სახელოვნამო ენის მეცლევარმა სილ. ხუნდაძემ მოიყვანა. რაკი დავა ხმოვნის შემოკლებას შეეხება, ეს დავარგავ-არდაკარგავს ჩვენი საკითხის გარკვევისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს — ეს ერთი; მეორე: ამას უნდა დაეუბრათ ის, რომ შოთას პორტრეტზე წარწერა, ეკვი არ არის, რუსთველი უნდა ყოფილიყო და არა რუსთაველი, რადგან ხსენებულ წარწერას მთავარებისკოპოზი ტიპითე გაბაშვილი 1758 წელს, ნიკო ჩუბინიშვილი 1843 წელს და ალ. ცაგარელი 1882 წელს ასე კითხულობენ: „ამისა დამხატავსა შოთას შეუხედროს ღმერთმა... რუსთველიო“; მესამე: წინააღმდეგ სიმ. ყაუხჩიშვილის მოსაზრებისა, რომ „ჯერ არასდ არ აღმოჩენილა ახალი საბუთი, რათა შევცვალოთ რუსთაველი რუსთველადა“, უნდა ვთქვათ, რომ ისტორიულად იხმარებოდა მხოლოდ ფორმა რუსთველი, და არაჲ XII საუკუნიდან დღევანდლამდე ფორმა რუსთაველი არცერთ ძეგლში არ არის აღმოჩენილი. ყველგან XII საუკუნიდან XVIII საუკუნემდე იხმარებოდა მხოლოდ ფორმა რუსთველი. მაშასადამე, ფორმა რუსთაველი მხოლოდ ანტონ კათალიკოსიდან მომდინარეობს და იგი ისტორიულ ფაქტებს ეწინააღმდეგება.

პრაქტიკული მოსაზრებითაც რუსთაველ ფორმის ხმარება, წინააღმდეგ სიმ. ყაუხჩიშვილის აზრისა, გაუმართლებლად მიგვაჩნია, რადგან ეს წმინდა ტექნიკური საკითხია და ადვილადა მოსაგვარებელი. მსგავსი პრაქტიკა გვაქვს ჩვენი დედაქალაქის ძველი ისტორიული მართლწერის ტფილისის შესახებაც, როგორც ცნობა-

ლია, XVIII საუკუნიდან მართლწერა ტფილისი შეირა და მის ნაცვლად მწერლობაში ხშირად თფილისი და თბილისი იხმარებოდა (იხ. „ქართლის ცხოვრება“, „დავითიანი“ გურამიშვილისა და სხვ.). ისტორიულ მართლწერას ტფილისს ბევრი დამცველი ყავდა. ბევრი მოწინააღმდეგეც. XX საუკუნეში მართლწერა ტფილისი თბილისად შეიცვალა და კიდევ დავანონდა. და ამ სადავო საკითხის მოგვარებას პრაქტიკული მოსაზრება წინ არ გადადგოვია. ასევე ადვილად შეიცვლება რუსთაველის სახელობის პროსპექტი, ინსტიტუტები და ბიბლიოთეკები რუსთაველის სახელობად.

როგორც აღვნიშნე, ი. მეგრელიძე ცდილობს ენობრივად (მორფოლოგიურად) გაანართლოს რუსთაველ ფორმის ხმარება, და ამბობს: სახელი რუსთაველი არის რუს-თაველ ფორმის შეკუმშული სახე... სახელი რუსთაველი ახლა ჩვეულებრივ მხოლოდ უკუმშველად იხმარება (რუსთაველის პროსპექტი და სხვ.)... თუ მორფოლოგიური პრინციპით ვიხეილმძღვანელებთ, განაგრძობს ავტორი, ქართულში გარკვეულ ბევრათ კომპლექსებს კუმშვა-დობა ახასიათებს და რატომ უნდა მივცეთ უპირატესობა რუსთაველ ფორმაში მეორე მარცვლის (რუსთ(ა)ველი) ამოვარდნას, როდესაც ჩვენს ენას, როგორც წესი, ბოლოდან პირველი მარცვლის ამოვარდნა (რუსთაველის) ახასიათებს (შეადარე: გავაშელი — გავაშლის, ვეშაველი — ვეშაპლის... და არა: გავშელის, ვეშაველის...).

ჩვენ ი. მეგრელიძის ხსენებულ აზრს ვერ გავიზიარებთ და აი რატომ: რუსთაველი რუსთაველის შეკუმშული ფორმა არ არის, იგი მხოლოდ შემოკლებული ფორმაა, რადგან, როგორც წესი, შეკუმშვისას არაფერი იკარგება, მხოლოდ საგნის მოცულობა კლებულობს, მცირდება; აქ კი, რუსთაველში ა ბგერა ამოვარდა, დაკარგა და მივიღეთ რუსთაველი, ე. ი. მოხდა ა ბგერის ამოვარდნა, ექსციდაციო (სინკოპე) — ეს ერთი; მეორე, რუსთა-

ველ-რუსთაველ ფორმებს ვერ შევადარებთ გავაშელ-გავშელს და ვერც თელ-თელ-თელს, რადგან ეს უკანასკნელში მარტივი სიტყვებია, ხოლო პირველნი კომპოზიციები, ე. ი. განსაკუთრებული ფორმის სიტყვებია, სადაც, წინააღმდეგ მარტივი სიტყვებისა, ბოლოდან მეორე (ჩემი გაგებით მესამე) მარცვალზე კი შეიძლება ამოვარდეს, მაგ., ცისკარი-ცისკარელის და არა ცისკარლის, ან: პატარქალიშვილი და არა: პატარქალიშვილი და სხვ. ესევე ითქმის რუსთაველ-რუსთაველზეც. რუსთაველში ა ბგერის ამოვარდნამ განაპირობა აქ სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსი — ელ შენარჩუნება: რუსთაველია პოემა, რუსთაველის გმირები, და არა: რუსთვლის. ასეა: ცისკარი—ცისკარ-ელ-ი, ცისკრელი და არა: ცისკარლის. და აქ რუსთაველი—რუსთაველის, ხოლო რუსთაველი-რუსთველის და უკანასკნელში სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსი ელ შენარჩუნებულია, რადგან შოთა იყო მფლობელი რუსთავისა, ე. ი. რუსთაველი, რასაც ჩვენსი სასიქადულო მკვლევარი პავლე ინგოროყვა ასე გამოხატავს: „შოთა ჰერეთის ერისთავი, მფლობელი რუსთავისა, — არის იგივე შოთა რუსთაველი, ავტორი პოემისა“ (იხ. თხზ., ტ. I, 1963 წ., გვ. 107).

ი. მეგრელიძე ამბობს, რომ დამკვიდრდა გამოთქმა — რუსთაველის პოემა, რუსთაველის გმირები და, მაშასადამე, დამკვიდრდა მართლწერა რუსთაველი და ამიტომ სჯობს ირიბ ბრუნვებშიც არ ვცვალოთ ეს ფუძე (რუსთაველი, რუსთაველის).

მართლწერა რუსთაველი საბოლოოდ არ დამკვიდრებულა, რადგან XIX და XX საუკუნეებში, როგორც უკვე ვთქვე, ორივე ფორმა — რუსთაველი და რუსთველი — პარალელურად იხმარებოდა. მე, ამ სტრიქონების დამწერი, როგორც ქართული ენის მასწავლებელი, ორმოცი წლის მანძილზე ბათუმის, ქუთაისისა და თბილისის გიმნაზიებში, საშუალო და უმაღლეს სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდობას რუსთაველ მართლწერას ვუწვავდ-

დი. ქართული ენის მასწავლებელი სხვა-ნაირად ვერ მოიქცეოდა, რადგან ძველ მწერლობაში „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად მხოლოდ რუსთველია დასახელებული და, რაც მთავარია, ამ პოემის ავტორი თავისთავს რუსთველს უწოდებს — ეს ერთი. მეორეც: ი. მეგრელიძის ხსენებული არგუმენტაცია ირიბ ბრუნვებში რუსთაველის ფუძის შენარჩუნებას ვერ გაამართლებს. ფუძის შენარჩუნებას სხვა საფუძველი უნდა მოეძებნოთ.

როგორც ცნობილია, ქართულ ენას გამარტივების ტენდენცია ახასიათებს, რაც უპირატესად სიტყვებში ბევრათა შეკვეცა-შემცირებას გულისხმობს. ცნობილია წესი, რომლის მიხედვითაც ორმარცვლიანზე მეტ სახელებში ზოგ ბრუნვაში ძირის ხმოვნები ა და ე იკარგება, როცა ერთერთი ამ დაბოლოებათაგანია: **ალი, არი, ელი, ემი, ავი** და სხვ. მაგალითები: ნამგალი — ნამგლის, იმერელი — იმერლის, მაჩაბელი — მაჩაბლის, კედელი — კედლის, კარავი-კარვის და სხვ. მაგრამ ყოველ წესს და ამ წესსაც აქვს გამონაკლისიც. ასე, მაგალითად, ორმარცვლიანებშიც ზოგ ბრუნვაში მარცვლი იკარგება: მგელი — მგლის, ქმარი — ქმრის და სხვ. სამმარცვლიანებშიც ზოგჯერ ხმოვანი არ იკარგება (ქართველი — ქართველის, აქლემი — აქლემის და სხვ). ორმარცვლიანებშიც ავ სახელის ძირში ა არ ამოვარდება (თავი — თავის, კრავი — კრავის), მაგრამ სამმარცვლიანებში ა იკარგება (თავისი — თვისი, ნავავი — ნავის და სხვ.).

ჩვენ ვარჩევთ **ელ** სუფიქსს, რომელიც სადაურობის თუ სხვ. აღმნიშვნელია (გორი — გორელი, რუსთავი — რუსთაველ-რუსთველი და სხვ.) და ჩვეულებრივ **ელ** არასუფიქსს (კედელი — კედლის, მგელი — მგლის). საერთოდ სუფიქსები, როგორც ნაწილაკები, თითქმის არ იკარგება და **ელ** სუფიქსის მნიშვნელობა რომ შევინარჩუნოთ, არ უნდა ამოვავდოთ, და რუსთაველ-რუსთველში ეს **ელ** სუფიქსი უნდა დარჩეს (გამონაკლისი იქნება: იმე-

რელი — იმერლის და სხვ.). **რუსთველი**, ე. ი. ქალაქ რუსთავის მცხოვრები, ხოლო **რუსთველი** — „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი.

ბოლოს, კიდევ უფრო რომ გაამაგროს თავისი პოზიცია და გაამართლოს რუსთაველ ფორმის ხმარების საფუძვლიანობა, ი. მეგრელიძე ამბობს, რომ ბევრათა კომპლექსი **თაველ** უფრო გავრცელებულია, ვიდრე **თველ** და ამიტომ მთლიანად სახელი რუსთაველ ფონეტიკურად საცესებით მისაღებია; იგი შეიცავს ჩვენი ენის ბევრათა ბუნებრივ კომპლექსს, გრამატიკულად (მორფოლოგიურად) კანონიერია, სემასიოლოგიურად სწორი და ეტიმოლოგიურად გასაგები, ევფონიური — კეთილხმოვანიც, და კატეგორიული ფორმით დასკვნის: „ის (რუსთაველი) უნდა დარჩეს და დარჩება კიდევცა“.

ი. მეგრელიძეს ამაშიც ვერ დავეთანხმებით, რადგან, ჯერ ერთი: **გავრცელებულობა** კანონიერების საფუძველი არ არის; მეორე: **თველ** კომპლექსი ნაცლებად გავრცელებულიც რომ იყოს, ვიდრე კომპლექსი **თაველ**, მაშინაც **თველ** ჩვენი ენის ბევრათა ბუნებრივ კომპლექსად უნდა მივიჩნიოთ; მესამე: ბევრათა კომპლექსის **თაველ** გავრცელებულობის დამაბტაქციებელ საბუთად ავტორს ერთი მაგალითიც არ მოყავს, მაშინ როდესაც **თველ** ბევრათა კომპლექსი საკმაოდ გავრცელებულია (**რთველი, დამრთველი, მმართველი, ქართველი** და სხვ.). **თველ** ჩვენი ენის ბევრათა ბუნებრივ კომპლექსს წარმოადგენს და, მასსადამე, ფორმები **რუსთველი, ქართველი, მმართველი** და სხვ. ენობრივად (მორფოლოგიურად) გამართლებულია და კეთილხმოვანიცაა. გამართლებულია მისი ხმარება იმ მხრითაც, რომ არსებითი სახელის **ავი** დაბოლოებაში ძირის ხმოვანი ა იშვიათად, მაგრამ მაინც იკარგება.

როგორც ვამბობ, რთულ სიტყვებში, კომპოზიტებს თავისებურება ახასიათებს და მარტივ თუგინდ დერეკატებთან მათი დაპირისპირება გაუმართლებად მიმაჩნია. ავილოთ ორმარცვლიანი სიტყვა: კარი —

კარის. აქ ა ხმოვანი არ იკარგება, მაგრამ სამმარცვლიან კომპოზიტიში, სადაც ერთ-ერთ კომპონენტს კარი წარმოადგენს, ხმოვანი ა ამოვარდება (ცისკარი — ცისკრის) და ეს იმიტომ, რომ, როგორც წესი, თუ სამ და მეტმარცვლიანი სიტყვები არიან ბოლოვდება (მოძღვარი — მოძღვრის...) ძირის ხმოვანი ა ამოვარდება, რადგან კომპოზიტის კომპონენტები ერთ სიტყვადაა შემოკლებული. თუ ცისკრის ფუძეს დავურთავთ სადაურობის და სხვ. აღმნიშვნელ სუფიქს ელ-ს, მივიღებთ: ცისკრელს — ჟურნალ „ცისკრის“ თანამშრომელს (გვარიცაა) და სხვ. ცისკრელში ე ხმოვანი არ ამოვარდება (ცისკრელი). რუსთველშიც, როგორც ცისკრელში, სამმარცვლიან ავი-ზე დაბოლოებულ სიტყვებში ა იკარგება (კარავი — კარავის...) და ამავე დროს ა-ს ამოვარდნა ე-ს შენარჩუნებას აპირობებს (იწვევს). მაგალითად, რუსთაველი-რუსთველი-რუსთველის, და არა: რუსთელის, ისე როგორც ქართველი — ქართველის, და არა: ქართელის. ასევე ამოვარდება ბოლოდან კომპოზიტების მეორე კომპონენტებში ე და ა ხმოვნები (დღეაბრიშველი, პატარ-ქლ-შვილი, სათესტომო). რადგან ეს კომპონენტები ბოლოვდება ერი, ალი და ავი-ზე. უკანასკნელ კომპონენტში შვილის ა არ იკარგება, რადგან ილი დაბოლოება შემოსვენებულ წესს არ ემორჩილება. კომპოზიტში ხილისთავი — ხილისთაველი ა ხმოვანი არ იკარგება, რაც კომპონენტთა კომპლექსების შემადგენლობითაც არის გამოწვეული (ახალსოფელი—ახალსოფელი, ახალსოფელის და არა ახალსოფელის და სხვ.). ამრიგად, რუსთველი ფორმის ხმარება ენობრივად (მორფოლოგიურად) და სალი ისტორიული ტრადიციითაც გამართლებულია.

გამართლებულია მისი ხმარება შემდეგი მოსაზრებითაც: ცნობილია, რომ ჩვენი სასიქადულო პოეტი ტაბიძე თავის სახელს გალავტოისს, წინააღმდეგ „მიღებული“ ქტ კომპლექსისა (რეტტორი, გალავტოინი...), კტ კომპლექსით წერდა. მაღლიერ-

მა ჩართველმა ხალხმა სათანადოდ დაფასა მისი შემოქმედება და პატივცემი ნიშნად მწერლობაში მართლწერა გალავტოინი შეუნარჩუნა, რაც, ჩემი აზრით, ისტორიულად და მეცნიერულად გამართლებულია (იხ. ჩემი სტატია გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“: „ერთი სადავო საკითხის გარკვევისათვის“, 1964 წ., 28/11).

ასევე უნდა დავაფასოთ და მწერლობაში შევუნარჩუნოთ გენიალური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს თავისი სახელის მართლწერა რუსთველი, რადგან: 1) თავისთავს რუსთველს უწოდებს; 2) მრავალი საუკუნის განმავლობაში (XIII-XVIII სს.) ქართულ მწერლობას დიდოსიყვარულით შეუთხაავს ფორმა რუსთველი; 3) ფორმა რუსთველი ენობრივად (მორფოლოგიურად) გამართლებულია.

ი. მეგრელიძის შეკითხვაზე: „თუ რუსთაველი აუცილებელია შეცვალოთ რუსთველად, მაშინ რატომ რუსთავის მცხოვრებნი და მეფოლადეები იწოდებიან რუსთაველებად და არა რუსთველებადო“, ჩვენი პასუხია: ქალაქ რუსთავის მცხოვრებნი (და მეფოლადეებიც) რუსთაველები არიან, ხოლო რუსთველი ერთია და ის გენიალური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორია.

რუსთველი ფორმის ხმარება გამართლებულია განსხვავებულობის პრინციპის საფუძველითაც, რაც არაიშვითია ქართულში. მაგალითად, ქუთათ-ისი—ქუთათელი-ი (მეტროპოლიტი) და ქუთათური-ი (მცხოვრები, კილო); გური-ი — გური-ელ-ი (მთავარი) და გურული (მცხოვრები, კილო) და სხვ. უკანასკნელში კანონიერადაა ნაწარმოები გური-ელ-ი, რადგან მისი

1 ქუთათური მორფოლოგიურად უფრო გამართლებული ფორმაა, ვიდრე ქუთაისელი. პიესაც კი იღვმება ამ სახელწოდებით „ქუთათურები“ ქუთაისის, თბილისისა და სხვ. თეატრების სცენაზე და არავის ეს ფორმა არ დაუწუნებია.

ფუძეა გური, რომელსაც ელ სუფიქსი ემატება და ი ფლექსიაც დაერთვის. მაგრამ გურული არაქანონიერად არის ნაწარმოები და უნდა იყოს გური-ული, როგორც, მაგალითად, სამტრედია — სამტრედ-ული, და არა: სამტრედ-ული. მაგრამ ამ უკანონო ფორმას (გურული) ისე შეეჩვია ჩვენი თვალი და სმენა, რომ მისი ხმარება ჩვენ დღეს აღარ გვეჩიოთრება. და როგორც გურიელი (მთავარი) და გურული (მცხოვრები...), ასე უნდა გავასხვავოთ ერთმანეთისაგან რუსთველი („ვეფხისტყაოსნის“ ავტორი) და რუსთაველი (ქალაქ რუსთავის მცხოვრები). სწორია ზ. ჯამასიშვილისა და ზ. მერკვილაძის გამოთქმა: „...ეს იყო ა. ძამაშვილის — რუსთაველი მეტაღურგის პირველი გამარჯვება...“ (იხ. მათი სტატია 1961 წლის 11/V გაზ. „კომუნისტში“: „ცეცხლის პირისპირ“). დიახ, ა. ძამაშვილი რუსთაველი არის, ე. ი. ქალაქ რუსთავის მცხოვრები, ხოლო ქალაქ რუსთავის მცხოვრებნი — რუსთაველები არიან. მაგრამ, ჩემი აზრით, არაა მართებული გამოთქმა: „...განსაკუთრებით მომხიბლავია... საბჭოს და რუსთაველის სახელობის ქუჩები“ (იქვე), და რომ გავასხვავოთ და ორაზროვნებაც თავიდან ავიცილოთ, ასე უნდა გამოვთქვათ და ვწეროთ: „...მომხიბლავია... საბჭოს და რუსთველის სახელობის ქუჩები“, რადგან ჩვენ გვყავს მხოლოდ ერთი რუს-

თველი, რომლის სახელიც დაკავშირებულია გენიალური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორთან და რომლის სახელსაც ქალაქ რუსთავის ერთერთი ცენტრალური ქუჩა ატარებს. და, როგორც აღნიშნული მაქვს, XIX საუკუნემდე ძეგლებში „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად მოხსენებულია რუსთველი და არა რუსთაველი და, რაც მთავარია, შოთაც თავისთავს რუსთველს უწოდებს და არა რუსთაველს. ამით გაირჩევა ჩვენი სასიქადულო გენიოსი შოთა რუსთველი („ვეფხისტყაოსნის“ ავტორი) რუსთაველისაგან (ქალაქ რუსთავის მცხოვრები), ასე როგორც, მაგალითად, გურიელი (მთავარი) გურულისაგან (გურიის მცხოვრები), ქუთათელი (მიტროპოლიტი) ქუთათურისაგან (ქუთაისის მცხოვრები) და სხვ.

დასკვნა: ზევით მოყვანილი საბუთები, ვფიქრობთ, საკმარისია იმისათვის, რომ ფორმა რუსთველი დაკანონდეს და არა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დამდგენი კომისიის გადაწყვეტილება, რომ „ამიერიდან საყოველთაოდ უნდა გავრცელდეს როგორც საქართველოში, ისე მთელ საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთაც ფორმა რუსთველი“, ჩვენ საფუძვლიანად მიგვაჩნია და მისი ხმარების დაკანონებას მივესალმებით.



დიდი სახალხო მგოსანი

აკაკი წერეთლის დაბადების 125 წლისთავის პაემი

სხვითი ზემო იმერეთის ერთი პატარა სოფელია. იქ არ არის უძველესი გრანდიოზული ნაგებობა, ტაძარი ან მონასტერი, იგი არ ყოფილა არც მსხვილი კულტურულ-საგანმანათლებლო ან სავაჭრო ცენტრი, არც რაიმე ლირსშესანიშნავი ბრძოლა გადაუხდია მის მიდამოებში ქართველ ხალხს, რომ ისტორიაში შესულიყოს „სხვითორის ომის“ სახელით, არც თუ სიღამაზით გამოირჩევა იგი სხვა ქართული სოფლებისაგან.

და მაინც, სხვითორი ნაკლებ ცნობილი როდია, ვიდრე გელათი ან სამთავრისი, ასპინძა, გრემი ან შამქორი. ყოველწელიწადს იქ ათასობით სტუმარი ჩადის, ათვალიერებს ერთადერთ სახლ-მეურუმს, სიყვარულით შესცქერის მთებს, პატარა ჭალებს, ხეებს, ყველაფერს, უკლებლივ ყველაფერს.

ეს სახელი, ეს დიდება სხვითორს მოუტანა პატარა შავგვრემანმა ბიჭუნამ, რომელმაც 1840 წლის 21 ივნისს პირველად სწორედ აქ ჩაისუნთქა მადლიანი ქართული ჰაერი, აქ გაიღმა, აქ ატირდა, აქ აიღდა ფეხი, რომ შემდეგ ქართული პოეზიის ოლიმპოზე ასულიყო და მქუხარე ტავით შეხვედროდნენ მის გამოჩენას არა მარტო საქართველოს ყველა კუთხეში, არამედ პეტერბურგსა და მოსკოვშიც, ბაქოშიც და კიევიშიც, ხარკოვშიც და პარიზშიც. ეს ბიჭუნა იყო

მომავალი დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი, რომელსაც წილად ხვდია ილია ჭავჭავაძესთან ერთად გადაშალა ქართული რეალისტური ლიტერატურის თავფურცელი, სათავეში ჩასდგომოდა მშობლიურ მწერლობას და ყოფილიყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მოღვაწე.

აკაკი წერეთელი თავისი ღრობის ნამდვილი კერპი იყო, მთელი ხალხის სათაყვანო და მას არ განუცდია ტრაგიკული ბედი ბევრი ქართველი პოეტისა. იგი არ ყოფილა ექსორიაქმნილი, როგორც შოთა რუსთველი; არც უცხოობასა და საქართველოს ხილვის ნატვრაში ამოსვლია სული, როგორც დავით გურამიშვილს; მისი ნეშტი არ მიუბარებია უცხოურ მიწას და საფლავი არ დაკარგვია, როგორც ბესიკს; არც ილიასავით ტრაგიკულად დაუშთავრებია სიცოცხლე საქართველოს მტრის ტყვეობით შუღლგახვრეტელს — იგი თავის მშობლიურ სახლში გარდაიცვალა, უკვე დაუძლურებული მოხუცი.

კიდევ მეტი, აკაკი წერეთელს არა თუ აცდა ტრაგიკული ბედი, არამედ იშვიათია მწერალი, რომელიც თავისივე სიცოცხლეში ისე დაედვასებინოს ხალხს, როგორც იგი. ხალხის უდიდესი სიყვარული აკაკისადმი თავს იჩენდა სრულ-

ლილ უბრალო წვრილმანებშიც კი. გადმოგვცემენ, რომ ერთხელ თურმე პოეტი საჩხერის მატარებლით მიდიოდა და ვაგონიდან ქუდი გადავარდნია. მგზავრებს მაშინვე გაუჩერებიათ შემადგენლობა და თითქმის მთელი მატარებელი დაცილია — ყველას უნდოდა პირველი დასწვდომოდა აკაკის ქუდს, რომელსაც ქარი მიაფრიალებდა, და პირადად მერტომია საყვარელი პოეტისათვის. მისი მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, კახეთში, საქართველოს სხვა კუთხეებში ხომ მოგზაურობა კი არა, ნამდვილი სახალხო ზეიმი, დღესასწაული იყო, ტრიუმფალური სვლა, რომელიც თავისი აწეული განწყობილებით არაფრით არ ჩამოუვარდებოდა, თუ არ აღემატებოდა, ორში გამარჯვებულ და სახელმოხვეჭილ სარდალთა ტრიუმფს ძველი რომის ქუჩებში.

აკაკის დაკრძალვაც გრანდიოზული ყოფილა. საყვარელი პოეტის გარდაცვალებას მთელი საქართველო გლოვობდა. ძაძვებით მორთულ სამგლოვიარო მატარებელს, რომელიც საჩხერიდან თბილისის მიდიოდა, ყოველ საღამურზე უამრავი ხალხი ხვდებოდა. ქალები ქვითი-ნებდნენ, მამაკაცები ძლივს იმაგრებდნენ ცრემლს, ბევრი ტირიდა. დიდი სახალხო მგოსნის დაკრძალვის დღეს თბილისის ქუჩები პროცესიის მონაწილეებით გაიჟღერა. მიჰქონდათ ერთადერთი გვირგვინი წარწერით — „აკაკის საქართველოსაგან“. გზადაგზა განსვენებულის ცხედართან სიტყვით გამოდიოდნენ ცნობილი ქართველი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები. სხვებთან ერთად აკაკის ცხედართან ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, ქართველ პატრიოტ მუსლიმანთა წარმომადგენელმა გულო კაკიაციშვილმა.

ხალხის ესოდენ დიდი დაფასება და პატივისცემა, საყოველთაო სიყვარული აკაკი წერეთელმა სამშობლოს ერთგული სამსახურით მოიპოვა. მას, როგორც იმერეთის ერთ-ერთი წარჩინებული თა-

ვადის შვილს, შეეძლო ბრწყინვალე გაჩერა გაეკეთებინა, მდიდრულად და ხელგაშლით ეცხოვრა, ფუჟად გაეღო ცხოვრების გზა, როგორც მიღებული იყო მაშინ „მაღალ წრეში“. მაგრამ აკაკი წერეთელმა სულ სხვა გზა აჩია — იგი ჩაღვა არა მეფის, არამედ ხალხის სამსახურში, თუმცა მშვენიერად იცოდა, რომ ქართველი მწერლის, ქართველი საზოგადო მოღვაწის ხვედრი უაღრესად მძიმე იყო და ლუკმა პურისათვის გამუდმებით ზრუნვა მოუხდებოდა.

მატერიალური ხელმოკლეობა მართლაც მუდმივი თანამგზავრი იყო დიდებით განებივრებული პოეტისა. თუმცა აკაკი ხშირად წერდა, მაგრამ ზოგჯერ სადილის ფულიც კი არ ჰქონდა, რადგან ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციები მეტისმეტად ღარიბი იყო და არ შეეძლოთ ჯეროვნად აენახლაურეებიან ავტორების შრომა. ისეთ ბრწყინვალე ლექსში, როგორიც „არაბი ფაშა“, პოეტს მხოლოდ ერთი მანეთი აუღია. ამის გამო პეტრე უმიკაშვილს დაღონებით უთქვამს: „ყმაწვილებო, ქართული მწერლობის მომავალმა მემატანემ, დეე, გულის ტკივილით მოიხსენიროს ის ფაქტი, რომ საქართველოს უწარჩინებულეს მგოსანს — აკაკის ერთადერთმა ქართული გაზეთის რედაქციამ ერთი მანეთი მისცა ასეთს ლექსში, როგორიც „არაბი ფაშა!“. მწვავე მატერიალურ ხელმოკლეობას თან სდევდა ოჯახური და საზოგადო მოღვაწეობასთან დაკავშირებული უსიამოვნებანი. მაგრამ აკაკი უშიშრად იღვა ნებაყოფლობით არჩეულ პოსტზე და გულწრფელად ემსახურებოდა მშობლიურ ხალხს — თვითონ სანთელივით იწვოდა, რათა გაენათებინა ქართველი ერის სავალი გზა.

აღზრდილი ეპოქის მოწინავე იდეებზე, აკაკი წერეთელი გარკვევით ხელავდა ორ უმთავრეს ბოროტებას — ხალხის სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას და ორივე ამ ბოროტების წინააღმდეგ მომართა თავისი გრძნეული პოეტური ჩანგი. პოეზია, ხელოვნება საერთოდ, მისთვის ყოველდღიური ბრძოლის იარა-

ლი იყო და არა უსაქმოთა თავშესაქცევი, რაიმე გასართობი. „მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს“, აცხადებდა იგი და ასეც იყო. პოეტური სიტყვა მან გამოიყენა პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად და ილია ჭავჭავაძესთან ერთად ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრა რეალისტურ-მოქალაქეობრივი პოეზია, ამაღლებული იდეების პოეზია.

აკაკი წერეთელი თავდადებით იბრძოდა ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების დაახლოებისათვის, მათი გამსჭვალვისათვის ხალხური სულისკვეთებით. მწერლობა, რომელიც გვერდს აუვლიდა ეპოქის საკირბოროტო საკითხებს, ან არ გადაწყვეტდა მათ ხალხის ინტერესებსან თავლახარისით, დიდ ქართველ მგოსანს არ მიაჩნდა ნამდვილ მწერლობად და მუდამ მკაცრად ილაშქრებდა ესთეტი გურმანების წინააღმდეგ, აღმშოთხებით რომ უარყოფდნენ პოეზიისა და პოლიტიკის კავშირს. მაგრამ აკაკი არც „შეშვლი“ დეკლარაციული პუბლიცისტიკის მომხრე იყო, როცა იდეური აქტუალობის საფარით მკითხველს ფაქტიურად აწოდებენ დაუმუშავებელ, მხატვრულად გაუმართავ ნაწარმოებს. რა გინდ აბოლებულ იდეას არ უნდა შეიცავდეს თხზულება, იგი, აკაკის აზრით, ხელოვნების ნაწარმოები არ იქნება, თუ იდეა გადმოცემული არ არის მაღალი მხატვრული ოსტატობით, თუ არ გადავა ხალხში და არ გახდება ბრძოლის იარაღი.

თვითონ აკაკი ისე ფლობდა ხალხის გულთან მისვლის საიდუმლოებას, ისე იმორჩილებდა ქართულ სიტყვას, რომ ამ მხრივ მას ბევრი ვერ შეედრება. პირველივე ლექსით „საიდუმლო ბაართი“ მან დაიპყრო მთელი საქართველო, რომელმაც ერთბაშად იგრძნო, რომ მოვიდა ახალი უდიდესი ლირიკოსი და ზარბაზნად დაეწაფა მისი პოეზიის ნექტარს, ძნელი დავასახლოთ მეორე ქართველი მგოსანი, რომლის იმდენ ლექსს მღეროდეს ხალხი, რამდენსაც აკაკის ლექსს. ნისი „სულიკო“, „ციცინათლა“, „ჩემო

თავო“, „დაიგვიანეს“ და რომელიც ერთი ჩამოვთვალოთ, — საქვეყნოდ ცნობილი სიმღერებია. აკაკის სიტყვის ძალისა ისე, სჯეროდათ, რომ ზოგჯერ საქმე ანეკდოტურ კუროზამდე მიდიოდა. თვითონ აკაკი მოგვითხრობს, რომ სამეგრელოში ყოფნისას ერთი ახალგაზრდა მსახური მისულა მასთან და უთქვამს, ნოსირელი გოგო მიყვარს, მაგრამ იმ ურჯულმონ არ გამოკითხა და მიშველო. აკაკის გავიშვებია, მე რა შემოძლიაო. ერთი პატარა ლექსი დამიწერე და ის გასჭრისო. რომ არ მოშვებია, პოეტს მართლაც დაუწერია ქართულ-მეგრული სახუმარო ლექსი და მიუცია. მსახურს ძლიერ გახარებია და უთქვამს, ახლა კი უთუოდ შემიყვარებსო.

თავისი შემოქმედება აკაკი წერეთელს ცხოვრების სარკედ მიაჩნდა და იგი ისევე მრავალფეროვანი იყო, როგორც თვით ცხოვრება. მისი მემკვიდრეობა მეტად მდიდარია. დიდმა ქართველმა მგოსანმა დავიკოვია არა მარტო ბრწყინვალე ლექსები და პოემები, არამედ შესანიშნავი პროზაული და დრამატული ნაწარმოებებიც; კრიტიკულ-ლიტერატურული და ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული წერილები, საგანთო კორესპონდენციები და მსუსხავი სატრიკული ფელეტონები. პოეტი დაუყოვნებლივ ეხმარებოდა ყველა საზოგადოებრივად მნიშვნელოვან მოვლენას და მკითხველთან სრული კონტაქტისათვის ყოველთვის ირჩევდა ისეთ ჟანრს, რომელიც უფრო შეესაბამებოდა მასალის ხასიათს და უფრო რელიეფურს გახდიდა იდეას. ზოგჯერ იგი ფელეტონშიც ჩაერთავდა ხოლმე საკუთარ ლექსს, რომ ამით უფრო საინტერესო გაეხადა იგი.

მიუხედავად ჟანრობდობი და თემატიკური მრავალფეროვნებისა, აკაკი წერეთელი უპირველესად და უპირატესად მაინც პოეტი იყო და ყველაზე მეტად პატრიოტული თემა იზიდავდა. მისი პოეზიის გვირგვინი „განთიანი“ ქართული პატრიოტული ლირიკის ნამდვილი შედევრია. მასში თითქმის წაშლილია საზღვარი სამშობლოსა და ადამიანს შორ-

რის და ისინი ერთმანეთში გადადიან, ერთმანეთს ერწყმიან და ერთ მთლანობად იქცევიან. „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ საქართველო ყველაზე ძვირფასია, ყველაზე სანუგეაროა და მის სიყვარულს ვერავითარი სხვა სიყვარული ვერ შეედრება.

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი, სულის ჩამდგმელო მხარეო, შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენზედვე მგლოვიარეო.

ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,

ზე კალთა დამაფარეო

და რომ მოვკვდები, გასოვდეს, ანდერძი დავიბარეო:

დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო,

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი, ჩემო სამშობლო მხარეო“.

ამ ღალადისში, ამ ვედრებაში ჩანს პოეტის სულის წვაც და ხალხის გულის თქმაც, რომელიც ასეთი ძალით, შეიძლება ითქვას, სხვას არ გადმოუტია. ქართული საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკის კლასიკოსი გ. ქიქოძე აკაკის „განთიადის“ შესახებ წერდა: „განთიადი“ ზოგადი ადამიანური იდეების და განცდების სიმაღლეზეა აყვანილი... რა არას უდიდესი ბედნიერება რაინდი პატრიოტისათვის, რომელიც უცხო ქვეყანაში სამშობლოს კეთილდღეობას შეეწირა? საქართველოს ზეცა სხვა ზეცას არა ჰგავს, როგორც სხვა ხმელეთს არა ჰგავს მისი ხმელეთი. თვით მზე და ვარსკვლავებიც კი აქ სხვანაირად ანათებენ. ამიტომ ქართველი მამულიშვილისათვის უდიდესი ბედნიერება სამუდამო ძილით დაძინება საქართველოს კალთებზე ქვეშ“.

სამშობლოს, მის დიდებას, მის უკვდავებას უმდერის აკაკი წერეთელი ავტორს სხვა ბრწყინვალე ნაწარმოებშიც („თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“, „ბაში-აჩუკი“). მას გატაცებით, მთელი აზრებით უყვარდა საქართველო, რომელიც ხან ქაჯეთის ციხეში გამოიმწყვდეულ

ნესტან-დარეჯანს აგონებდა, ხან კავკასიის მაღალ მთებზე მიჯაჭვულ მხარეებზე, ხან კიდევ სატრფოს სახით წარმოუღებოდა და სჯეროდა, რომ მის სათაყვანო მამულს სიხარულად შეეცვლებოდა „ამდენი ხნის გასაჰირი“.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა ვეფხისტყაოსნის აკაკი წერეთელს რაღაც გადაშეცდებით უყვარდა სამშობლო და იგიწყებდა კაცობრიობას, თითქმის საქართველოს სიყვარულში იგი სხვა ერების სიძულვილის შხამს ურევდა. დიდი ქართველი მგოსანი შორს იდგა ასეთი ცალმხრიობისაგან, პირიქით, იგი ყველგან საუზენაოდ ხაზს უსვამდა, რომ ამა თუ იმ ერის ჭეშმარიტი სიყვარული ვანუყოფელია კაცობრიობის სიყვარულსაგან, სხვა ერების პატივისცემისაგან. თავისი ეს შეხედულება აკაკი წერეთელმა ჩამოაყალიბა გასაოცრად ლაკონური მხატვრული ფორმულის სახით: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა“.

საჯარო გამოსვლებსა და პუბლიცისტურ სტატიებშიც აკაკი წერეთელი ხალხს ზრდიდა მთელი კაცობრიობის პატივისცემის გრძნობით და ქადაგებდა ხალხთა ძმობა-მეგობრობის იდეას. ყველა ერი, წერდა იგი, „თავთავის გამშვენებულის ზორცით უნდა იყოს და სული-კი ყველას ერთი უნდა ედგას... სული კაცობრიული... აი ამას უნდა ცდილობდეს ყველა შეგნებული, ვინც-კი ქვეყნისათვის ზრუნავს“. სხვა ადგილას დიდი ქართველი პოეტი მკითხველებს აფრთხილებდა: „ერი უნდა გიყვარდეს, მაგრამ, რასაკვირველია, არა შოვინისტურად, არამედ მამულისადმი ჩვენს სიყვარულს სხვა ერებისადმი სიყვარული, ძმობა, ერთობა უნდა უძღოდეს წინ“. მეორე მხრივ, აკაკი გადაჭრით ილაშქრებდა კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ. „ვინც თავის პატარა ერს არ ემსახურება, — ამბობდა იგი, — ის ვერც კაცობრიობას გამოადგება. თავის ქვეყნის სამსახურში მსოფლიოც გამოიხატება!“

აკაკი წერეთელს დიდ პროგრესულ მოვლენად მიაჩნდა რუსეთთან საქართველოს შეერთება და რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობას საქართველოს ეროვნული აღორძინების პირობად თვლიდა. იგი გარკვევით ხედავდა ორ რუსეთს — ცარიტულ-შავრაზმულს და ახალ, რევოლუციურს, „რომელთანაც ჩვენა გვსურს ხელიხელ ჩაიდებულნი სიარული არა მარტო ეროვნულ, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეების, რომლებსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა“. გასაგებია, რომ ამიტომ აკაკი მუდამ სასტიკად კიცხავდა იმ მოპატრიოტო აღაშინებებს, რომლებიც ვერ აფასებდნენ რუსეთ-საქართველოს მეგობრობის მნიშვნელობას, ან შეგნებულად ცდილობდნენ მტრობა ჩამოეგდოთ მათ შორის.

1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში აკაკი წერეთელმა კვლავ ცხადყო თავისი უსაზღვრო ერთგულება ხალხთა ძმობა-მეგობრობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის იდეებისადმი. მან დაინახა, რომ საეცებით მართალი იყო, როცა რუსეთი მიაჩნდა იმ ძალად, რომელთანაც კავშირი უზრუნველყოფდა საქართველოს გასვლას აღორძინების გზაზე, რომ რუსეთის იმპერიის ხალხებს მხოლოდ ურთიერთ სოლიდარობით და რუსი ხალხის მეთაურობით შეეძლოთ მოეპოვებინათ ნანატრი თავისუფლება. ამიტომ იყო, რომ მან ქართულად გადმოიღო საერთაშორისო პროლეტარიატის მებრძოლი ჰიმნი „ინტერნაციონალი“ და უდიდესი აღფრთოვანებით მიესალმა რევოლუციას. სწორედ ამ პერიოდში დაწერა მან პოლიტიკურ-მოქალაქეობრივი ლირიკის ისეთი ბრწყინვალე ნიმუშები, როგორიცაა „თქვენი ჭირიმი“, „ძირს“, „გურული ნანინა“, „გაზაფხული“, „ჩემი რწმენა“, „ნატრა“ და ბევრი სხვა. ხალხმა აიტაცა აკაკის ეს ლექსები და თავის საბრძოლო იარაღად აქცია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ სამოციანელ მოღვაწეს არ მიუღია ისე-

თი აქტიური მონაწილეობა 1905 წლის რევოლუციაში, როგორც აკაკიმ და მისი ერთხელ კიდევ ნათელყო, რომ იგი მუდამ ხალხთან იყო, ხალხის ინტერესებისათვის იღვწოდა და ხალხი მიაჩნდა საფიქრად. სამწუხაროდ, რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ დიდ მგოსანს გული არ გასტეხია, უიმედობას არ მისცემია და კვლავ მტკიცედ სჯეროდა, რომ ადრე თუ გვიან ხალხი მაინც გაიმარჯვებდა.

მაღალ მოქალაქეობრივ იდეებთან ერთად აკაკი წერეთლის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია წმინდა ადამიანურ მისწრაფებებსა და გრძნობებსაც. დიდმა მგოსანმა კარგად იცოდა, რომ ადამიანს აქვს როგორც მოქალაქეობრივი, ისე თავისი პირადი ინტერესები, უფხილი და სიხარული და ნამდვილი მოუხია გვერდს ვერ აუვლის მათ. აკაკიმ ბევრი შესანიშნავი ჰიმნი უძღვნა, კერძოდ, ისეთ დიდ და ყოვლისმომცველ ადამიანურ გრძნობას, როგორც სიყვარული. მათგან უბადლო შედეგრი, არა მარტო აკაკის, არამედ მთელი ქართული სატრფიალო-სამიჯნურო ლირიკის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალია „ქებათა-ქება“. ეს ლექსი გამოირჩევა გრძნობის სიძაფრითაც და სისპეტაკე-სიწმინდითაც. სიყვარული მასში წამოგვიდგება ამაყ-ღლებულ, ადამიანის გამაყვითლმობილებელ გრძნობად:

„რამ ამაძლა? ვინ მაგრძნობინა
ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა?..
ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება
ძლევამოსილად გარდამიცვალა?! —
შენ, სიყვარულო, ცისა და ქვეყნის
კავშირი და თან შუამავალო!
შენ, რომლის ერთს წამს, იმ

სანეტაროს,
მზად ვარ სიცოცხლე მთლად
ვანაცვალო!..

მე მას ვუვალო, ვისაც ვანცებამ
მშვენიერება უსხივეცისკარა!..
ვინც ვარდს ელფერი, იას სინაზე
და ბულბულს მისი ენა მოჰპარა!..
და, სამქვეყნოდ გულგრილ
მოხუცი,

დღესაც თაყვანს-ვცემ, როგორც
პირველად,
თითქო ჭაბუკი ვიყო მე ახლა
და ვყოფილიყო მოხუცი ძველად!..
სხვებმა სეან ღვინო!.. მე

უღვინოდაც
მთვრალი ვარ მეტის სიხარულით!..
ემატა სოფელს მშვენიერება
ჩემს თვალში მისი სიყვარულითა“.

აკაკი წერეთელი ნამდვილი სახალხო
მგოსანი იყო, რომელიც ისე გრძნობდა
მშობლიური ხალხის სულისკვეთებას,
სიხარულსა თუ წუხილს, როგორც ბა-
რომეტრი ჰაერის წნევის ცვლილებას.
იგი ათასგვარი ხილული და უხილავი

ძაფით იყო დაკავშირებული საზოგადო-
და სწორედ ამ კავშირმა მისცა მის ლი-
რიკას, მთელ მის შემოქმედებას გრძნე-
ულება, რომელიც მხოლოდ უკვდავთა
ხვედრია. აკაკი შეუერთდა საქართვე-
ლოს და საქართველოსაგან განუყოფე-
ლი გახდა.

დიდი ქართველი მგოსანი — აკაკი
წერეთელი ქართველი ხალხის სიამაყე,
მისი ღიღებაა და ჩვენ შეგვიძლია მას
იმავე სიტყვებით მივმართოთ, რომლი-
თაც თვითონ გამოხატა უდიდესი სიყვა-
რული გენიალური შოთა რუსთაველისა-
დმი:

„სულმნათო! მადლი შენს გამჩენს!
ღიღება ერსა შენს მშობელს!“

პ. შავჭავჭავაძე.





საჩოგონ ახლადიანი

სახელმწიფო პატივით

საქართველოს სახელმწიფოს 150 წლისთავის გამო

ას. ორმოცდაათი წლის წინათ, უცხო-
ელ დამპყრობლებთან უთანასწორო
ბრძოლაში ტრაგიკულად დაიღუპა სამ-
შობლოს ერთგული პატრიოტი სელიმ
აბდულის-ძე ხიმშიაშვილი.

ხიმშიაშვილების გვარი აჭარაში
XVIII საუკუნიდან იხსენიება. დიმიტრი
ბაქრაძის მიერ შედგენილი გენეალო-
გიის მიხედვით სელიმ ხიმშიაშვილი
1755 წელს დაბადებულა.

წარმოშობით ხიმშიაშვილები არაგვის
ხეობიდან არიან. როგორც თ. სახოკია
გადმოგვცემს, აჭარელი ხიმშიაშვილები
ენათესავებოდნენ არაგვის ერისთავ
(დუშეთის მაზრა) ხიმშიაშვილებს. არაგ-
ვის ხეობაში მათ წინაპრებს კაცი მოუყ-
ლავთ და მეფის რისხვას გამოქცევიან.
შემდეგ აჭარაში დაწინაურებულა მათი
შთამომავალი აბდულ-ბეგი.

აჭარისა და არაგვის ხეობის ხიმშიაშვი-
ლებს სცოდნიათ, რომ ისინი ერთმანე-
თის ნათესავები იყვნენ. ნიკოლოზ ხი-
შიაშვილს, რომელსაც 1803 წელს გენე-
რალი ლაზარევი შემოაკვდა, პლ. იოსე-
ლიანის ცნობით, თავშესაფარი სელიმ

ხიმშიაშვილთან უბოვია, სადაც 1807
წლამდე დაჰყო.

1879 წელს შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი
გენერალ-ადიუტანტ სვიატოპოლსკ-მირ-
სკის წერდა: ამჟამად შესაძლებლობა
მაქვს ვიცხოვრო მისი უდიდებულესო-
ბის მთავრობის მაღალი მფარველობის
ქვეშ, საქართველოს ბევლ სათავედ
გვაჩვენებს შორის, რომლებსაც ოდესღაც
ჩვენი გვარიც ეკუთვნოდა... ხომ არ ინე-
ბებთ შესაძლოთ სცნოთ გვიშუამდგომ-
ლოთ მე და ჩემს ბავშვებს, ჩავგრიტხო
თავად ხიმშიაშვილების საგვარეულოში.
შერიფის ეს განცხადება სვიატოპოლსკ-
მირსკის გამოსარკვევად გადაუცია და-
ვით სუმათაშვილისათვის. სუმათაშ-
ვილს ისტორიული საბუთები შეუწყვ-
ლია და დაუდასტურებია, რომ ხიმში-
აშვილი ქართველი თავადის გვარია.

პირველ ხიმშიაშვილად აჭარაში იხსე-
ნება აბდულ-ბეგი, რომელსაც, რო-
გორც ირკვევა, მოსახლეობაში დიდი
ავტორიტეტი მოუხვეჭია და მხარის
მმართველი გამხდარა. 1782 წელს აბ-
დულ-ბეგი გარდაცვილია და იგი შეუც-
ვლია მის შვილს — სელიმს.

აჭარელი ხიმშიაშვილები მოყვრობდნენ ქართველ თავადებს, კერძოდ, გურიელებს.

სელიმის თავის მოკვეთის შემდეგ მისი ორი ვაჟი ახმედი და აბდი მამია გურიელის ოჯახს შეფარებან.

გენერალი რტიშჩევი ამის თაობაზე მამია გურიელს სწერდა: დასასრულ, მაქვს პატივი ვაუწყო თქვენს ბრწყინვალეობას, რომ მხოლოდ თქვენთან მათი ნათესაური კავშირის გამო თანახმა ვარ აღმოვეჩინო რუსეთის მფარველობა და ნება მივცე დარჩენე რუსეთის მიწა-წყალზე სელიმის უბედურ შვილებს, რომლებმაც თავშესაფარი თქვენთან იპოვეს.

სელიმ ხიმშიაშვილი იმ დროს მოღვაწეობდა, როცა თურქი დამპყრობლების ვანუთიხაზი თარეშის შედეგად აჭარაში მოშლილი იყო ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრება, ნორმალურად ითვლებოდა ტყვეთა მოტაცება და ტყვეებით ვაჭრობა, საზღვარი არ ჰქონდა მოხელეთა მეჭრთამეობას. მოსახლეობა იტანჯებოდა ათასგვარი გადასახდითა და ჩავერის სხვა ფორმებით. გარდა ამისა, თურქი დამპყრობლები ადგილობრივ მმართველობაში აჭარლებს არ ენდობოდნენ, როგორც „გურჯებს“. ყოველივე ეს იწვევდა სტიქიურ აჯანყებებსა და გამოსვლებს უტახელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ასეთ რთულ ვითარებაში შეუდგა სელიმი აჭარის მართვას. როგორც პატრიოტმა, მან მშვენიერად იცოდა, თუ რა მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას თურქთა ბატონობა და, გამოიყენა რა თავისი მდგომარეობა, შეეცადა სამხრეთ საქართველოდან დამპყრობელთა განდევნას. სელიმის განზრახვის შესრულებას, ერთი მხრივ, ხელს უწყობდა განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება საერთოდ ოსმალთა იმპერიაში; მეორე მხრივ, იმ დროისათვის თვით სამხრეთ საქართველოში ეროვნული თვითმყოფლობისა და დამოუკიდებლობისათვის

ბრძოლის იდეა მოსახლეობის ფართო მასებს მოედო.

უპირველეს ყოვლისა, სელიმ ხიმშიაშვილმა თავისი ღონისძიებანი მიმართა ახალციხის ფაშის წინააღმდეგ, რომელიც XVIII საუკუნის 80-იან წლებში აჭარის მოსახლეობას სისტემატურად აბრევდა და ათასგვარი გადასახდით ბევრავდა. იყო შემთხვევები, როცა აჭარლები მოთარეშებენ იგერიებდნენ და ხოცავდნენ კიდევ. ახალციხის მუზეუმში დაცულ საისტორიო მისიონერულ დოკუმენტებში ნათქვამია: „1774 წლის 17 მაისს აჭარის ოლქის შეყრა ითქვა და დახოცვა... 19 მაისს ოლქიდან ფაშის გაქცევა და ჯარის დახოცვა ითქვა“.

ახალციხის ფაშას არა მარტო აჭარლები ებრძოდნენ, არამედ მთელი სამხრეთ საქართველოს ქართველებიც. იმავე დოკუმენტში ნათქვამია, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ ზურგი შეაქცია თურქეთის ფაშას და სელიმის მეთაურობით აჭარლების შემოსვლას ახალციხეში ზემოთ შეხვდა.

აღსანიშნავია, რომ იმ დროს, როცა ახალციხის ფაშას ებრძოდა, სელიმს კავშირი ჰქონდა ერეკლე მეორესთან და სოლომონ პირველთან. დასახელებულ დოკუმენტში ეკითხულობთ: „26 მაისს სელიმ ალა ქალაქს (თბილისს — ხ. ა.) წავიდა. 1794 წელს სელიმმა ინახულა იმერეთის მეფე სოლომონი. 1798 წელს სელიმ ალა ქალაქს წავიდა“.

აჭარაში შექმნილი მდგომარეობით ერეკლე მეორეც დაინტერესებულა. 1792 წლის 14 მარტს იგი იოსებ მიუკარბაშს სწერდა: „მერე შენი წერილი მოგვივიდა და რაც მოგვიწერიათ ყველა შევიტყვეთ, აჭარის ამბავიც შევიტყვეთ“. როგორც ჩანს, ერეკლე სელიმს ემხრობოდა ახალციხის ფაშის წინააღმდეგ ბრძოლაში და სურდა, რომ მას დაეკავებინა ფაშის ადგილი.

ეს იმიტომ, რომ სელიმის ბრძოლა ახალციხის ჯამოებისათვის დაკავშირებული იყო ამ მხარის განთავისუფლებასა და დედა-სამშობლოსთან შეერთებასთან და მასში, აჭარლებს გარდა, სამხ-

რეთ საქართველოს სხვა კუთხის ქართველებიც მონაწილეობდნენ. ასე, მაგალითად, ახალციხის იმავე დღიურებში ნათქვამია: „1799 წლის 2 თებერვალს აჭარლებმა ლაზები მოიყვანეს“...

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ სელიმ ხიმშიაშვილი აქტიურ შეტევებზე გადადის: „4 მაისი, აჭარელი სელიმ ალა ჯარით ახალციხის ქალაქში შემოვიდა, მაგრამ ციხე კი არ მისცეს“. შემდეგი, ე. ი. 5 მაისის ცნობა მოგვითხრობს უშუალო ბრძოლების შესახებ: „აჭარელმან მეციხოვნეებმან ბრძოლა დაიწყეს დღე და ღამე, ციხეთგან მრავალი ზარბაზნები ისროლეს“.

სელიმ ხიმშიაშვილმა მჭიდრო კავშირი დაამყარა რუსეთის წარმომადგენლებთან და კარგი ურთიერთობა ჰქონდა ციციშვილთან (ამიერკავკასიის მმართველთან). ამ დროს სელიმი ახალციხის კაფუჯი-ბაშია, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ხალხში და სამხრეთელ ქართველებს რაზმავს ახალციხელ შერიფ-ფაშის წინააღმდეგ. ბოლოს, სელიმ ხიმშიაშვილმა დაამარცხა ახალციხის ფაშა.

სელიმ ხიმშიაშვილის ბრძოლას შერიფ-ფაშას წინააღმდეგ სულთნის ხელისუფლება შორიდან ადევნებდა თვალს და უცდიდა, ვინ გაიმარჯვებდა. როცა გამარჯვება სელიმს დარჩა, მაშინ სულთანმა ოფიციალურად გამოუგზავნა ფაშობის თუღები — „მეყარამა“ და სხვა საბუთები. ასე, რომ სელიმმა ახალციხის ფაშობა ძალით მოიპოვა და მხოლოდ ამის შემდეგ გააფორმა ფაქტი სულთნის უმაღლესმა ხელისუფლებამ. აი რას წერდა ამის თაობაზე გაზეთი „ივერია“ 1899 წელს: „აბდულ ალას შვილი სელიმი მამის ხარისხს არ დასჯერდა და როგორც იმ დროში არსებულ გვარიშვილს შეეფერებოდა, უმაღლესი წოდება მოუსურვებია, რასაც ადრე მიღწევლა. შეუტრებია აჭარლები, დასცემია ახალციხის ფაშას, გაუდევნია იგი და იმის აღვილას თავისი ნებით დამჯდარა მმართველად“ (№ 202, 205).

ხალხური გადმოცემებით, რომლებიც ჩაწერილია სელიმის მოღვაწეობისა და

დასჯის მომსწრეთაგან, ამასვე ადასტურებენ.

როგორც ვთქვით, სელიმ ხიმშიაშვილს კარგი ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან ჯერ კიდევ გაფაშებამდე და შემთხვევით არ ყოფილა, რომ ციციანოვმა მას საჩუქრები გაუგზავნა შერიფ-ფაშაზე გამარჯვების აღსანიშნავად. განსაკუთრებით აფასებდა რუსეთის სარდლობა სელიმის ბრძოლას ლეკების წინააღმდეგ. 1808 წლის 8 ივნისს გენერალი ნესევეტაევი გენერალ გუდოვიჩის წერდა, რომ სელიმ-ფაშამ, როგორც ჩვენი მსტოვრები გვატყობინებენ, თავისი ოლქიდან განდევნა ლეკები და მცხოვრებლებს აუკრძალა საქართველოზე რაიმე თავდასხმაო.

ცნობილია, რომ ლეკებს ქირობდნენ როგორც მოსამსახურე და ომიანობის დროს სამხედრო ძალას, მაგრამ ისინი ხშირად იტაცებდნენ გოგო-ბიჭებს, რაც ოსმალთა კანონით ნებადართული იყო. მიუხედავად ამისა, სელიმმა მაინც აკრძალა ტყვეთა გატაცება და ყიღვა-გაყიდვა. მართალია, ლეკები ტრადიციულად ახალციხის საფაშოს კარზე მუდამ ჰყავდათ, ჰყავდა ისინი სელიმსაც, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ შემორკალული იყო ოსმალეთისა და ირანის სახელმწიფოებით და მათ მცველებად იყენებდა.

მაღე სელიმის ინიციატივით ახალციხეში შეიქმნა აზრი, რომ ლეკიანობის წინააღმდეგ ერთობლივად ებრძოლათ. ამ მიზნით შეადგინეს სპეციალური წერილი და გაგზავნეს დოქსტანში. წერილში ნათქვამი იყო, რომ ჩვენი ვეზირი სელიმ-ფაშა იძულებულია ყველა ზომა იხმაროს ასეთი უმსგავსოების წინააღმდეგო.

აღსანიშნავია ისიც, რომ სელიმი, თვითონ „გურჯი“, ქრისტიან ძმებთან საერთოს ნახულობდა. მან იცოდა, რომ მისი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ. ამიტომაც იგი თავის საფაშოში მფარველობდა ქრისტიანებს. ახალციხის ქრონიკაში ვკითხულობთ: „საყდრის კარები ფაშამ ბედიავთ (უხსაყიდლოდ — ხ. ა.) გააღებინა. ღმერთმან დიდი დღე

და სიკეთე მისცეს“.

სელიმ ხიმშიაშვილი რუსეთთან კავშირის განმტკიცებისათვის განსაკუთრებით მას შემდეგ იღვწოდა, რაც საქართველო რუსეთის მფარველობაში შევიდა. მას სჯეროდა, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთება სამხრეთ საქართველოს განთავისუფლების რეალურ პერსპექტივას სახავდა.

რუსეთ-თურქეთის ომის წინ, 1806 წელს, არზუმის სერასკერმა იუსუფ-ფაშამ სელიმ ხიმშიაშვილს დაავალა შეეგროვებინა ოცდახუთი ათასი ჯარისკაცი, მაგრამ სელიმმა უარი უთხრა იმ მოტივით, რომ „ამჟამად პურის ლეწვის დროა და ხალხს ვერ შევკრებო“.

ერთი წლით ადრე კი სელიმმა რუსთა სარდლობას გადასცა თითხმეტი რუსი მეზღვაური, რომლებიც ფოთში დაეპატიმრებინათ და, სელიმს დროზე რომ არ გაეგო და ზომები არ მიეღო, ციხის უფროსი ჩით ტყვეებად გაყიდვას უპირებდა. ამის გამო 1805 წლის იანვარში ციციანოვმა მას მადლობის წერილი გამოუგზავნა.

1807 წელს ყარსთან ბრძოლაში სელიმ ხიმშიაშვილი სულთნის ჯარებს არ მიხმარებია, თუმცა დახმარება სთხოვეს. ეს აშკარა ურჩობა იყო. რუსეთის ჯარების მთავარსარდალ გუდოვიჩის ამის თაობაზე გენერალი ნესვეტაევი სწერდა: იუსუფ-ფაშამ ახალციხის ფაშა სელიმს სამი ფირმანი გაუგზავნა, დამხმარე ჯარი მომავალე და შენც მოდიო, ყარსი რუსებს რომ არ მიცეითო. მაგრამ სელიმ-ფაშა ფორმალურად გამოეხმაურა სერასკერის ფირმანებს და შეუთვალა, თუ კი თქვენ, სერასკერმა, რომელსაც დიდძალი ჯარი გყავთ, ვერ გაუძლებით რუსებს, განა მე შემიძლია ჩემი მხარე დავტოვო და გეახლოთო.

იმისათვის, რომ იუსუფ-ფაშას არ დაეხმარებოდა, სელიმმა თავი მოიყვანა. ეს იყო 1807 წლის 9 თებერვალს. 4 აპრილს კი გამოწერილი ექიმი ეწვია: „ბაღდადელი ექიმი მოვიდა ართვინიდან. ფაშა სელიმი ბინიშზე (ბინიში — ოფიციალური საპარადო ტანსაცმელი — ბ. ა.)

გამოვიდა“. ასე, რომ რუსეთთან მოლაპარაკების თანახმად, რუსეთ-თურქეთის ომში სელიმს მონაწილეობა მართლაც არ მიუღია.

სელიმ ხიმშიაშვილის უმოავრესი მიზანი ყოფილა სამცხე-საათაბაგო კვლავ საქართველოს შეერთებოდა. „მე არამც თუ თქვენთან ომი და თქვენგან დამორება არ მინდა, — წერდა იგი რუსეთის სარდლობას, — არამედ შენატრება, რომ თქვენი ჯარის დახმარებით ოსმალის მთელი ამ გურჯისტანის ადგილები ჩამოვითვას და გადავქედეს ისეთ სახელმწიფოდ, როგორიც ათაბაგების დროს იყო“. ზედმეტია იმის ხაზგასმა, თუ რაოდენ პროგრესული იყო ეს აზრი მაშინ.

პოლკოვნიკ ორბელიანის ერთ-ერთ ცნობაში (1809 წ.) ნათქვამია, რომ სელიმ-ფაშამ რამდენიმეჯერ გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი — ხაზნადარ მუსტაფა-ალა რუსეთთან შეერთებისა და მეგობრობის საკითხზე მოსალაპარაკებლად. თვით ორბელიანი ტორმასოვისაგან მოითხოვდა სელიმთან ურთიერთობის დაჩქარებით მოგვარებას. როცა სელიმმა ტორმასოვთან ვერაფერი გააწყო, ამ საქმის კეთილად მოგვარებისათვის მამია გურიელის მეუღლესა და ზურაბ წერეთლის დას მარიანეს მიმართა. მარიანე, თავის მხრივ, 1809 წლის 27 ნოემბერს ზ. წერეთელს სწერდა: სელიმი მაშინაც თანახმა იყო, რომ ახალციხე რუსეთს შეერთებოდა, მაგრამ არ მოხერხდა. ახლა სელიმი კვლავ აყენებს რუსეთთან მისი სამფლობელოს მთლიანად შეერთების საკითხს და ითხოვს ხუთასი ჯარისკაცი მომავალე, განსაკუთრებით ციხე „ჩერბუქ-ბოლანთან“ (აბანოს ყელის ციხესთან — ბ. ა.). ამ ბარათის საფუძველზე ზ. წერეთელმა ტორმასოვს სთხოვა დახმარებოდა სელიმს და, სანამ გვიან არ იყო, გაეგზავნა ჯარი. ამავე თვეში სიმონოვიჩი ტორმასოვს ატყობინებდა, ახალციხესა და აჭარაში დიდი თოვლია და იქ ჯარების და არტილერიის გადაყვანა მოუხერხებელია, თან დასძენდა, რომ მოსახლეობაში გავრცელებულია ჩემები, თითქმის,

სელიმ-ფაშა ახალციხეს რუსებს აბარებ-
სო და ა. შ.

ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ
იქნება სხვა მასალებიც გავიხსენოთ.

1810 წ. 10 აპრილს სიმონოვიჩი ქუ-
თაისიდან სწერდა ტორმასოვს, სელიმი
ფიცსა სდებს, რუსეთის ერთგული ვიქ-
ნებო, ხელს აწერს ხელშეკრულება-
ზე და მძევლად შვილს იძლევაო. კიდევ
მეტი, სიმონოვიჩი ტორმასოვს დაწერი-
ლებით აცნობებდა შექმნილ ვითარებას
და სთხოვდა დახმარებოდა სელიმ ხიმ-
შიაშვილს. იგი წერდა, რომ ფაშას ოთხი
ათასი მეომარი მზად ჰყავს, მაგრამ ახა-
ლციხის მთებზე გადასვლა ძნელია და
ამიტომ იმერეთიდან უნდა მივეშველო-
თო. შემდეგ სიმონოვიჩი გენერალ ტო-
რმასოვს სწერდა, რომ თუ იმერეთიდან
წავალთ, აჭარას მთელი იმერეთი და გუ-
რია დაეხმარებოთ. მაგრამ ტორმასოვს
ეს არ უნდოდა და მთელი დრო უქმ მი-
წერ-მოწერაში დაკარგა.

იმ დროს, როცა ტორმასოვი სელიმ
ხიმშიაშვილს არავითარ რეალურ დახმა-
რებას არ უწევდა, ტრაპიზონის სერას-
კერი ხაზნადარ-ოღლი აქტიურად ცდი-
ლობდა მის გადაბირებას და მისი სა-
შუალებით ქართველი ხალხის მიმხრო-
ბასაც. ამ მიზნით ახალციხის ფაშასთან,
ქართველ მთავრებთან სერასკერი ზე-
დიზედ გზავნიდა ელჩებს, უმთავრესად
ქართველ მუსლიმანებს. ასე, მაგალითად,
მამია გურიელს მან მიუგზავნა თავისი
ბაირაქტარი იუსუფ გეგიძე, რომელიც
ქართულად და თურქულად ლაპარაკო-
ბდა. მაგრამ სერასკერის ცდა ამო
გამო-
დგა — ქართველებში ერის მოღალატე
ვერ აღმოაჩინა. ეს იმიტომ, რომ ქრის-
ტიან და მუსლიმან ქართველებს ერთი
პოზიცი ანაზღაურებდათ. ამასთან დაკავ-
შირებით სიმონოვიჩი ტორმასოვს აც-
ნობებდა: აჭარლები და გურულები კა-
რგად არიან ერთმანეთში და ამის გამო
ხაზნადარ-ოღლი ჯერჯერობით ვერ ბე-
დავს გურიაში შემოჭრას, იგი ცდი-
ლობს მიიმხროს სელიმი, რომელსაც
სხუთი ათასი კარგი მებრძოლი ჰყავს, მა-
გრამ ამას ვერ ახერხებო.

რუსეთისადმი სელიმის ერთგულებას
ილიც მოწმობს, რომ 1810 წლის სექტემბერში
მან ორბელიანს თავისი წარმო-
მადგენელი გაუგზავნა და შეატყობინა,
რომ ოსმალთა ხელისუფლება ბათუმში
(კონსტანტინოპოლში) ჯარს აგროვებდა. ჩერხაჩი
ქსან-ფაშამ უკვე ორი ათას სუთასი
ჯარი შეაგროვა და მოდის თქვენკენ,
თითქოს სოლომონ მეფის დასახმარებ-
ლადო.

რუსეთისადმი სელიმის ერთგულებას
მოწმობს აგრეთვე მარკიზ პაულიჩისა
(სექტემბი, ტომი V, გვ. 182) და სხვა წე-
რილებიც. მაგრამ საქმე ის იყო, რომ
ტორმასოვი არ იჩენდა გულწრფელო-
ბას მის წინაშე. ჯერ იყო და სელიმთან
საიდუმლო მოლაპარაკება გაახშირნა,
ერთ ვაჭარს გააცრეცლებინა ხმები, რომ
სელიმი ახალციხეს რუსეთს აბარებსო,
რითაც გაუძნელა მას მოქმედება; მეო-
რეც, მან პეტერბურგს სელიმის მიმხრო-
ბა გადაუწყვეტელ პრაქტიკულ დაუხა-
ტა. საბასუხო წერილში 1810 წლის 14
თებერვალს ბარკლაი დე-ტოლი ტორმა-
სოვს სწერდა, ახალციხის შემოერთე-
ბა უსისხლოდ უნდა მოხდესო და აცა-
ლებდა გამოყენებინა ტრაპიზონის სე-
რასკერის, შერიფ-ფაშასა და სელიმს შო-
რის არსებული წინააღმდეგობანი.

ტორმასოვმა ისარგებლა რუსეთის
საერთაშორისო მდგომარეობით, კერ-
ძოდ, ურთიერთობის გაუარესებით სა-
ფრანგეთთან, რის გამო რუსეთის მთა-
ერობა ერიდებოდა ოსმალეთთან საქმის
გააწვევებას, და ჩაშალა რუსეთთან სამ-
ხრეთ საქართველოს შეერთება. სელიმი
გამოუვალ ჩიხში მოექცა. სულთნის წა-
ქეზებით მას გამოუჩნდა ძლიერი მოქიშ-
პეები აზრუმისა და ტრაპიზონის მმარ-
თველთა სახით.

1810 წლის 22 მარტის წერილით ორ-
ბელიანი ტორმასოვს ატყობინებდა, რომ
აზრუმის სერასკერს შერიფ-ფაშას შვი-
დი ათასი ჯარისკაცით და სხვა ფაშების
დახმარებით ხიმშიაშვილი დაუმარცხე-
ბიაო. დამარცხების შემდეგ სელიმი ოა-
ვისი ამალით აჭარაში გადმოსულა და

ბრძოლა განუგრძია. 1810 წლის დეკემბერში მას დაუკავებია ციხისპირის ციხე. ამის შესახებ სიმონოვიჩი ტორმასოვს აცნობებდა: ჩვენი ჯარების მიერ ზაოუშის დაკავება მით უმეტეს სასარგებლოა, რომ სელიმ-ფაშამ, როგორც ეკელა ცნობიდან ჩანს, თავისი ჯარებით შავს დაიკავა თურქეთის მიერ დატოვებული ციხისპირის სიმაგრე, რომელიც მკუზარეობს გურიის მარჯვენა ფლანგზე შავი ზღვის პირადო.

როგორც ჩანს, სელიმ ხიმშიაშვილს დიდი ბრძოლები გადაუხდია და კვლავ გაუმძრვანია. 1812 წლის 24 ოქტომბრის ცნობაში ნათქვამია: „სელიმ-ფაშამ დაიკვიდრა ფაშობა და ახვევია იმას ხალხი“. მაგრამ მისი მდგომარეობა მაინც მძიმე იყო, რადგან რუსეთის მეფის მოხელეები მას მხოლოდ დაპირებებით კვებავდნენ, ხოლო რუსეთთან ურთიერთობით ხიმშიაშვილი საბოლოოდ დაუპირისპირდა ოსმალეთს. მთავრობის წინაშე თავი რომ ემართლებინათ, ციციანოვმა, ტორმასოვმა და სხვებმა რუსეთთან ახალციხის შეერთების ჩაშლა სელიმ ხიმშიაშვილს გადააბრუნეს და ამით შეეცადნენ მოესპოთ საკუთარი დანაშაულის კვალი.

რუსეთთან სამხრეთ საქართველოს შეერთების ჩაშლაში ყველაზე მეტი დანაშაული მიუძღვის გენერალ ტორმასოვს, რომელსაც კავკასიაში მმართველად ყოფნის დროს დადებითი არაფერი გაუკეთებია. ისიც უნდა ითქვას, რომ არქეოგრაფიული კომისიის აქტების რედაქტორი ა. ბერჟე ტორმასოვს ახასიათებს, როგორც კაბინეტში ჩაკეტილ კაცს, ხოლო 1812 წლის სამამულო ომის ისტორიკოსი ე. ფედოროვი წერს, რომ ტორმასოვი არ ყოფილა პარეკლზარისხოვანი ნიჭის სარდალი.

მეფის მოხელეების უარყოფითი დამოკიდებულება სელიმისადმი ბოლომდე გრძელდებოდა. როცა იგი ხიხანის ციხეში იჯდა, ბაბა-ფაშამ ვერაფერი გააწყობა მასთან. ევონა რუსები ეხმარებიანო და გენერალ რტიშჩევს გაუგზავნა სელიმის საწინააღმდეგო წერილი. 1815

წლის 10 მაისის საპასუხო წერილში რტიშჩევი სერასკერს ატყობინებდა: სელიმ-ფაშამ სტოტნის რისხვა დაიმსახურა და მე არასოდეს შექნება საქმე მუამზოხესთან, რომელიც არღვევს მოვალეობას და თავისი ხელმწიფის წინააღმდეგ გამოდისო. შემდეგ იგი ბაბა-ფაშას აღუთქვამდა, სანამ ჩვენს შორის მშვიდობაა, სელიმი ჩვენს მხარეში ვერ იშოვის მფარველობასა და თავშესაფარსო. რტიშჩევის პასუხმა ხელ-ფეხი გაუხსნა ბაბა-ფაშას და ისიც მთელი გააღთრებით ეკვეთა ხიხანში გამაგრებულ სელიმს... მიუხედავად ამისა, მაინც ევრაფერს გახდა და მხოლოდ ღალატით შეძლო მიეღწია საწადელისათვის.

1815 წლის 10 ივნისს ამიერკავკასიის მთავარმართებელი რტიშჩევი სახელმწიფო-საილუმო მრჩეველს მეიდემეირს სწერდა: დაბრუნებისას მზევრავებმა მომასხენეს, რომ აზრუმის სერასკერმა ანატოლიის სხვადასხვა პროვინციიდან თხუთმეტათასიანი ცენოსანი ჯარი შეაგროვა და სავარცხელო მამულ აჭარაში გამაგრებული სელიმის წინააღმდეგ დასძრა. მაგრამ აჭარა ძლიერ მიუვალი მხარეა და სელიმ-ფაშამ უკუაქცია თურქეთის ჯარი, რომელმაც რამდენიმეჯერ სცადა მისი შეპყრობა, და დიდი ზარალიც მიაყენა. ციხის რამდენიმე დღიანი ალყა უშედეგო გამოდგა და, შესაძლოა, ბაბა-ფაშასაც ისეთივე ბედი სწეოდა, როგორიც სერასკერის მიერ წინათ გამოგზავნილ ორ რაზმს (ისინი სელიმმა დაამარცხა), რომ სელიმ-ფაშას ყველაზე სანდო და საყვარელ ადამიანს არ გაეღო ალაყადის კარები და სერასკერის ჯარებისათვის არ ჩაეპარებინა ციხე.

ამრიგად, სელიმი, ერთი მხრივ, გახდა მეფის რუსეთის უხეირო მოხელეთა, ხოლო მეორე მხრივ, ღალატის მსხვერპლი.

თავის მოკვეთის წინ სამშობლოს მგზნებარე პატრიოტს და საქართველოს ერთიანობისათვის თჳდადებულ მებრძოლს სელიმ ხიმშიაშვილს საჭაროდ უთქვამს: მე მჭირთ თავს, მაგრამ გეტყ-

ვით, რომ გურჯისტანი სამუდამოდ ოს-
მალეთს არ შერჩებაო.

დღემდე დაზუსტებული არ არის სე-
ლიმის თავის მოკვეთის დღე და რიცხ-
ვი. მხოლოდ დაახლოებით შეიძლება
ითქვას, რომ ეს მოხდა 1815 წლის 15
ივნისს.

ჩვენი წარსულის დიდება — ხიხანის
ციხე, ამრიგად, მომსწრეა ქართველი ხა-
ლხის 1814-1815 წლების უთანასწორო
ბრძოლისა ოსმალთა წინააღმდეგ. აქ და-
ამთავრა თავისი ლამაზი სიცოცხლე გა-
მოჩენილმა ქართველმა პატრიოტმა —
სელიმ ხიმშიაშვილმა.

სელიმი რომ არ იყო რუსეთთან შე-
ერთების წინააღმდეგი და ჩვენი საზო-
გადოებრიობა მას ქართველ პატრიოტად
სთვლიდა, ამას, სხვათა შორის, მოწმობს
1812 წლის სამამულო ომის ასი წლის-
თავთან დაკავშირებით გამოცემული წი-
გნი, რომელსაც ასეთი ქვესათური
აქვს: „პეტრე ბაგრატიონი და სელიმ-
ფაშა ხიმშიაშვილი“. მასში ნათქვამია:
„1812 წ. ერთი ქართველი — სახელ-
დობრ, პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონი
იღწვოდა რუსეთში რუსეთის ძლიერე-
ბის ხელშეუხებლობისათვის და მეორე
ქართველი საქართველოში ცდილობდა,
რომ აქ რუსეთის ძალა მკვიდრად დანე-
რგილიყო და მისი საშუალებით თვით
ოსმალეთის საქართველო რუსთა მფარ-
ველობის ქვეშ შესულიყო. ასე და ამ-
გვარად ჩვენ ამ ორი ქართველი გენერ-
ლების შრომასა და ცდას ერთნაირ სა-
ხელს ვანიჭებთ“. შემდეგ ამ წიგნის ავ-
ტორი ზ. ჭიჭინაძე წერდა: „სელიმ-ფაშა
მსხვერპლი გახდა იმ მოსაზრების და ნა-
ტერისა, რაის საშუალებითაც ოსმალე-

თის საქართველო უნდა დაეკავირობოდა“
რუსეთის საქართველოს“.


ხალხური გადმოცემები და ზეპირსი-
ტყვიერების სხვა მასალებიც, რომლე-
ბიც თვით ამგებების მომსწრეთაგან არის
ჩაწერილი, ცხადყოფენ, რომ ხალხის
შეგნებაში სელიმი ქართველი პატრიო-
ტი იყო. სხვათა შორის, სელიმზე ზეპირ-
ი გადმოცემების ჩაწერაში ფასდაუდებ-
ელი ამაგი მიუძღვის ზაქარია ჭიჭინა-
ძეს.

ერთი სიტყვით, მოღვაწეობის საკმა-
ოდ ხანგრძლივ მანძილზე სელიმ ხიმში-
აშვილი ბევრს აკეთებდა საქართველოს
მოღანიობისა და ახალციხის მხარის რუ-
სეთთან შეერთებისათვის. მან პირად
ბედნიერებაზეც კი უარი თქვა და ერო-
ვნულ ინტერესებს შესწირა თავი.

მაგრამ ზოგიერთი მეცნიერი ამას ვერ
ამჩნევს და სუბიექტურად მსჯელობს,
რასაც არასწორ დასკვნებამდე მიჰყავს.

სელიმ ხიმშიაშვილის სახელი დღეს
აჭარაში დიდი პოპულარობით სარგებ-
ლობს. აჭარაში რომ ჰკითხოთ მუშას,
გლეხს თუ ინტელიგენტს, ყველა გიპა-
სუხუბთ, რომ სელიმი იყო ჭეშმარიტი
ქართველი პატრიოტი. ხალხმა ზეპირად
იცის მისი მოღვაწეობის ამბები. მასზე
დაიწერა მრავალი ისტორიული წერილი
და მონოგრაფია, პროზასა თუ პოეზია-
ში შეიქმნა საყურადღებო ნაწარმოებე-
ბი, დაიდგა სპექტაკლი და ა. შ.

დღეს, დაღუპვის ასრომოცდათი
წლისთავზე, აჭარა მადლიერების გრძნო-
ბით იგონებს სელიმ ხიმშიაშვილს, რო-
გორც ერთგულ მამულოშვილსა და თუ-
რქი დამპყრობლების წინააღმდეგ შეუ-
დრეკელ მებრძოლს.





ალექსანდრე ლომინაძე

მ გ მ გ კ

(სცენა წარმოადგენს დიდ ცარიელ ოთახს)

კაპიტოს ხმა — ახლა აქეთ წამოდი, ლიზიკო, ეს ოთახიც დაათვალიერე (შემოდის კაპიტო და ლიზიკო).

კაპიტო — ეს სასტუმროა!

ლიზიკო — დიდებულია! (ფანჯარასთან მივიდა) მთელი ქალაქი ხელისგულისვით მოჩანს.

კაპიტო — (გვერდითი კარები გააღო) ეს კაბინეტია ჩემი.

ლიზიკო — შესანიშნავია!

კაპიტო — (მეორე კარები გააღო) ეს კი ბუდუარის ქალბატონისათვის.

ლიზიკო — ესე იგი ჩემთვის?

კაპიტო — რა თქმა უნდა...

ლიზიკო — გადასარეგია!

კაპიტო — ქე ხარ შეჩვეული ბუდუარებს! გახსოვს, მამაშენს ფაცხა რომ ქონდა კვაჭალათზე?

ლიზიკო — არც მამაშენი იყო ტახტის აზნაური. მისი დანაშთი ერთთავალი ოღასახლი სამმა ძმამ რომ გაყიდეთ და იმის საფასურიდან ხუთი თუმანი გერგო, დაგვიწყდა?

კაპიტო — გეყოფა ახლა ძველი ამბების მოგონება!

ლიზიკო — საწყენად კი არ მითქვამს, კაპიტოს ჭირიმე!

კაპიტო — კარგი, კარგი!

ლიზიკო — კაპიტო?!

კაპიტო — რა იყო, ქალო?

ლიზიკო — ვინ იფიქრებდა, ამხელა ნიჭი და უნარი თუ იმალებოდა შენში!

კაპიტო — რატომ ვითომ?

ლიზიკო — ამოდენა სახლი ასე უცბად, ასე კარგად, ასე დიდებულად რომ ააშენე, ამას ყველა კი ვერ მოახერხებს! ნიჭი და უნარია საჭირო..

კაპიტო — ნიჭი და უნარი არ შეგელის. ამას ფული უნდა, ბაბა, ფული!

ლიზიკო — ხოდა, მეც მაგას არ გეუბნები! პატარა თანამდებობაზე სულ არ გეტყობოდა, ასეთი გენიოსი თუ იყავი ფულის შოვნაში.

კაპიტო — აბა რა გგონია! შენ სადავე მომეცი ხელში და მთელ ქვეყანას ავლაგმავე.

ლიზიკო — სადავე თანამდებობაა, ასეა ხომ, კაპიტოს ჭირიმე?

კაპიტო — რა თქმა უნდა. როცა დიდი თანამდებობა გიჭირავს, დიდი ჭკუის პატრონად გთვლიან, პატივს გცემენ, შენს ნათქვამს იმეორებენ, სისულელეც რომ წამოიროშო, მაინც ტაშს დაგიკრავენ და,

თუ მოხმარის შნო და უნარი გაქვს, გა-
გამდიდრებენ... მთავარია, თავი არ შეიზ-
ღუღო იმ ბორკილით, რომელსაც სინდი-
სი ეწოდება... ერთი სიტყვით, რასაც მო-
ასწრებ... თორემ როცა მოგხსნიან... მა-
შინ ნახე როგორ მოგდგებიან: ეგ უნიჭო-
ვო, ბიუროკრატიო, კომბინატორიო, მა-
ხინატორიო...

ლიზიკო — მოხსნა კი არა, უნდა დაწი-
ნაურდო!

კაპიტო — ძაან გაგეხსნა შენ მაღა!

ლიზიკო — აბა როგორ! მაღა ქამაში
მოდიხო, ასეა ხომ?

კაპიტო — ხო.

ლიზიკო — კაპიტო!

კაპიტო — რა გინდა ახლა?

ლიზიკო — სულ რამდენი ოთახი
გვაქვს, ჭირიმე?

კაპიტო — ცხრა ოთახია სათავსოებით,
ვერანდით და გარაჟით.

ლიზიკო — ამდენი რომ არ შეიძლება,
კაცო?

კაპიტო — რატომ არ შეიძლება?

ლიზიკო — კანონითაა აკრძალული.
ერთ ოჯახზე ამდენი ოთახი, ამოდენა ფა-
რთობი!..

კაპიტო — შენ იცი კანონი რატომ იწე-
რება?

ლიზიკო — რაღა არ იცი!

კაპიტო — რატომ?

ლიზიკო — იმიტომ, რომ დაემორჩი-
ლეთო.

კაპიტო — არ გცოდნია!

ლიზიკო — აბა რატომ?

კაპიტო — არ დაარღვიოთ, ისე აუა-
რეთ გვერდით.

ლიზიკო — რა ეშმაკი ხარ, უკუშუკა.

კაპიტო — თუ არ იეშმაკე, სასახლეს
ვერ წამოჭიმავ! არ გახსოვს რა დღეში
ვიყავით?

ლიზიკო — ეჭ, ეგ კი მართალია, მარა
თუ ბევრი არაფერი გეჭონდა, სამაგიე-
როდ გული მქონდა დამშვიდებული. ახ-
ლა მომკლა ვალიდოლის წუწნამ.

კაპიტო — რა მოგივიდა?

ლიზიკო — ნამეტანი უცბად გავმდიდ-
რდით, ახლა კიდევ ამოდენა სახლი! მე-
შინია, გლახა არაფერი მოყვებს ამას!

კაპიტო — ეს სახლი ამხანაგობისაა,
გენაცავალე! სამი ოთახი ჩემს სახელზეა,
სამი — შენს სახელზე და სამი — ჩვენი
ბიჭის სახელზე. ესე იგი, სამაა ამხანაგმა
საერთო ძალით ავაშენეთ ერთი სახლი.
რა მოხდა, ბატონო, ქვეყანა აშენებს და
ჩვენ რა, სხვაზე ნაკლები ვართ?

ლიზიკო — რომ იკითხონ რა სახსრე-
ბით ააშენეთო?

კაპიტო — იკითხონ, ბატონო! სოფელ-
ში მამაჩემის დატოვებული ოჯახი გავეყი-
დე, შენ სამეგვიდრო ქონება მიიღე და
ასე...

ლიზიკო — ღმერთო, ბედნიერი ქენი
ჩვენი ფუხი ამ ახალ სახლში!

კაპიტო — ამინ!

ლიზიკო — ცოტა ავეჯი მაინც წამოგ-
ველო ძველი ბინიდან, ამ ცარიელ სახლ-
ში რანაირად უნდა ვიყოთ?

კაპიტო — ის ბინა და ავეჯი ქალიშვი-
ლსა და სიძეს დაუტოვოთ. ეს სახლი კი
ჩემი გენიოსისთვის მინდა.

ლიზიკო — იმას ენაცავლოს დედა,
ჩემს გენიოსას, ჩემს ვეჟაკს!

კაპიტო — ვაჟკაცია, მაშ! სახელიც ხომ
ქარგი შეგუტრჩიე: გენიოსი უნდა გამო-
ვიდეს, იმიტომ დაეთქვი გენიოსაი!

ლიზიკო — მთლად შენი „კაპიტო“ ჩე-
მი გენიოსაი. რომ ვუყურებ, შენი ახალ-
გაზრდობა მაგონდება.

კაპიტო — მაგონდება, ხომ?

ლიზიკო — უიმე! მაგონდება და მეტი
არა?! დვაბუღს პირად, ბაბუაჩემის ყანა-
ში, ნიგვზისძირში რომ სიყვარული ამიხ-
სენი, დაგავიწყდა?

კაპიტო — ნამეტანი ძველი ამბავია
მაგი!

ლიზიკო — მაშინ რომ მაკოცე, იმას
რა დამავიწყებს!

კაპიტო — კაი იყო?

ლიზიკო — კაი რომელია! ტენიში რომ
დამკრა რალატამ, ფეხის ჭვინტამდე ჩაი-
არა. ნეტავი ერთხელ კიდევ გამეორდე-
ბოდეს ის ბედნიერი დღე და მერე ქეც.
მომკვდარვარ, აღარ ვჩივი.

კაპიტო — კაია, კაი მოგეცეს, მარა აა-
ლა!

ლიზიკო — აბა! (ამოიოხრა. პაუზა) კი, მაგრამ ამ ახალ სახლში შესახლებასთან დაკავშირებით სტუმრები რომ გყავს მოწვეული, სად აჯენ, არც სკამებია, არც მაგიდა, არც სამზადისი! შეერცხებით, კაცო!

კაპიტო — შენ არხეინად იყავი. დღეს რომ ხალხი მყავს მოწვეული, იმათთან დიდი ცერემონია საჭირო არ არის: მოყლენ, საჩუქრებს მოიტანენ და მორჩა! პატრივსაცემი სტუმრები ხვალ მყოფება და მაშინ შენ იცი როგორ გამოიჩენ თავს.

ლიზიკო — კაპიტო!

კაპიტო — რა იყო, ქალო?

ლიზიკო — ხვალ კირილე ნესტოროვიჩი მოვა ვითომ?

კაპიტო — მოვა, აბა, რას იზამს!

ლიზიკო — იქნება არ გეცადროს!

კაპიტო — მუქთი პურ-მარილი და პატრივსაცემა ყველას უყვარს, გინდ დიდი იყოს, გინდა პატარა.

ლიზიკო — კი, კი, ყველას უყვარს, ყველას.

კაპიტო — ლიზიკო!

ლიზიკო — რა იყო, ჩემო ქუქუშკა!

კაპიტო — ბრილიანტის სამაჯურს უნდა შეეღო შენ.

ლიზიკო — არ გამაგიჟო! რომელ სამაჯურს, კაცო?!

კაპიტო — მაგას, მაჯაზე რომ გაქვს!

ლიზიკო — დიდუფ! რას ამბობს აგი კაცი! ამას რაფერ შეველევ, აღამიანო!

კაპიტო — ისე გაუკეთე ხელზე კირილე ნესტოროვიჩის ცოლს, სხვებმაც დაინახონ. იცოდნენ, რომ მთლად უფროსი ჩემი კაცია.

ლიზიკო — ხომ არ გადაირიე, კაძახო! ასთუმნიანი სამაჯური იმ დაგვარჯღულ დედაკაცს ვაჩუქო?

კაპიტო — სანამ კირილე ნესტოროვიჩი იმ სკამზე ზის, მისი დაგვარჯღული ცოლი ნესტან-დარეჯანია. იქიდან თუ ჩაოაყუდეს...

ლიზიკო — ფუ, ფუ, ფუ, ფუ! მაშინ გინდა მაგი ყოფილა და გინდა დამხრევალი კატა ამ ქვეყანაზე!

კაპიტო — ნაღდი ხარ, ნაღდი! სწორედ დამხრევალი კატას გავს ის უბედურ.

ლიზიკო — ზოდა, არ ღირს სამაჯურის მიცემა. ვინ იცის იმ გაბღენძილ კირილს როდის მოხსნიან! ეს ძვირფასი ნივთი რატომ უნდა დაეკარგოთ? შეილები პატრონი ვართ!

კაპიტო — არა, უნდა მისცე! ასეა საჭირო.

ლიზიკო — ნაჩუქარია, კაცო! დაბადების დღეს მომართვეს.

კაპიტო — ზო, მართლა, ვინ მოგიტანა, თუ გახსოვს?

ლიზიკო — კი აღარ მახსოვს, მგონი მელიტონას ცოლმა მომიტანა.

კაპიტო — რომელი მელიტონაის?

ლიზიკო — მელიტონაი რავე არ იცი, კაცო?! პავლიონის გამგედ შენ არ დანიშნე?!

კაპიტო — ზოო! გამახსენდა, გამახსენდა. ზოდა, ასეა, მელიტონას მე ვკირღებოდი და იმიტომ მოვართვა. კირილე მე მკირღება და მის ცოლს უნდა მიართვა. უფროსს პატივი უნდა სცე, ელაქუტო, ემონო, ხელქვეითს კი მოაჯეჟი ზურგზე და ხელნე... მაშ! ერთი სიტყვით, სამაჯური უნდა მისცე!

ლიზიკო — არ მიეცემ!

კაპიტო — უნდა მისცე, ქალო! საჭიროა და უნდა მისცე!

ლიზიკო — მეზუფეტე ვართანაის ცოლმა რომ მომართვა, იმას მიეცემ. ამას ვერ შეველევ, კაპიტოს პირიმი!

კაპიტო — ქალო! ნერვები არ ამიშალა... ვართანას ცოლს მოტანილი სამაჯური ევგრაფიჩის ცოლს მიართვი.

ლიზიკო — არ გადამრიო, კაცო!

კაპიტო — ევგრაფიჩი მეტად საჭირო კაცია.

ლიზიკო — მე რას მიპირებ, აღამიანო, სამაჯურები აღარ უნდა მქონდეს?

კაპიტო — გექნება, ბატონო, გექნება! საჭმე ისე როგორ წახლება, რომ დღეს ვიწვემ სამაჯური არ მოგიტანოს?! სამაჯურსაც მოიტანენ და ბევრ სხვა რამესაც.

ლიზიკო — ახალი აწბავი გაიგე, კაცო?

კაპიტო — რა ამბავი?

ლიზიკო — სევერიანე და მისი ცოლი

ბაბილინე ტურისტულ მოგზაურობაში წასულან ღუნაის ქვეყნებში!!

კაპიტო — უყურე შენ!

ლიზიკო — ბიჭო! მაგენზე ნაკლები ჯართ ახლა ჩვენ?! ბაბილინამ უნდა ნახოს ღუნაის ქვეყნები და მე აქანა უნდა გიჯდე?

კაპიტო — ჩვენც ვნახავთ, ბატონო!

ლიზიკო — რას?

კაპიტო — ღუნაის ქვეყნებს.

ლიზიკო — ისმეც მაგას გაუსკდება თავი! ბაბილინაის და სევერიანაის ნახულო ქვეყნები ვის რად უნდა! თუ წავალ, ევროპის გარშემო წავალ და ქვეც დავუფსეფ თვალებს!

კიწო **ხმა** — შინ ბრძანდებით?

კაპიტო — მოდი, ბიჭო, შემოდი! (შემოდის კიწო).

კიწო — მშვიდობა აქა, ბედნიერება!

კაპიტო — როგორაა, ბიჭო, საქმე?

კიწო — ორი კასრი სარდაფში შევატანე. ერთში ორასი ლიტრა კახურია, მეორეში იმდენივე იმერული.

კაპიტო — ვისგანაა, ბიჭო?

კიწო — კახური რესტორან „აღმოსავლეთის“ დირექტორმა მოგართვათ, იმერული „დასავლეთისა“.

ლიზიკო — ღვინის მეტი არაფერი გამოგზავნა იმ დაბლენძილმა?

კიწო — ღვინა პირადად მოგართვათ. გარდა ამისა, თანამშრომლებში შეგროვილი ფულით იყიდეს და მოაქვე პიანინო.

ლიზიკო — რა ფირმისაა, კიწოს ვენაცვალე?

კიწო — ჩვენებურია, თბილისური, აი ასეთი! (ცვრი ასწია).

ლიზიკო — იპ!.. შენ უნდა გეთქვა, კაცო, რომ თუ ვისმეს ჩემი პატივისცემა უნდა, მე მხოლოდ უცხოეთიდან შემოტანილი ნივთები მომწონს და სხვა არაფერი.

კაპიტო — არა უშავს, ჩვენებური იყოს.

ლიზიკო — შენ ყოველთვის გლენი იყავი და ახლაც გლენი ხარ! (ფანჯარაში გაიხედა) ეს რა მოაქვთ, კიწო?

კიწო — (ფანჯარასთან მივიდა) ოო, მოიტანეს! ფრთხილად, ფრთხილად (კარებთან მივიდა) არ გაფხაჰნოთ (მუშებს შემოაქვთ პიანინო).

ლიზიკო — ა! აქ დადგით, თუმცა არა, აქეთ. ოპ! კარგია! (მუშები გადის) ათვალე რებს კლავიშებს, ცალი თითით უბრაზუნებს! კარგია ვითომ?

კაპიტო — (თითი ჩამოჰკრა) კი, კარგია. კარგი.

ლიზიკო — (ისევ კლავიშებს დაუბრუნდა) ასაწყობია!

კიწო — აწყობილი იყო, ბატონო, გადმოტანის დროს დანჯღრეულა.

ლიზიკო — ხეალ ამწყობი აქ უნდა იყოს!

კიწო — კი, ბატონო! (ფანჯარაში გადაიხედა) აპა! კიდევ რაღაც მოიტანეს. აქეთ მოიტან, აქეთ (კარებთან მივიდა, გააღო. მუშებს შემოაქვთ ტურტლელის კარადა და მაგიდა. მუშები გავიდნენ).

კაპიტო — სკამები კი არ გამოუგზავნიათ იმ უტვინოებს!

ლიზიკო — რატომ არ კითხეთ, ვინ გამოგზავნა?

კიწო — რა საჭიროა, სულერთი არ არის?!

ლიზიკო — იქნებ, სკამებიც იყო და მუშებმა მიითვისეს!

კიწო — არა, ბატონო, მუშა კაცი სხვის რამეს ხელს არ ახლებს. უფროსება საფრთხილო, უფროსები... (აკაკუნებენ) შემოდი (მუშებს შემოაქვთ ზუსტად ისეთივე პიანინო). ვისგანაა, კაცო, ეს?

მუშა — მაწონაშვილის ობიექტიდან (მუშები გავიდნენ).

კიწო — უყურე შენ! როგორ გაიმეტა იმ წუწქმა! თუმცა რა ენაღლემა, ამის ფასს ერთ კომბინაციაში გააკეთებს, იცის როგორ შეინარჩუნოს თანამდებობა. (შემოდის მუშა და შემოაქვს ნობი).

მუშა — ხარიტონ ცერცვაძემ მოგართვათ, პატივცემულო კაპიტო!

კაპიტო — მაღლობთ, მაღლობთ, გეთაყვა, მაგარმა რატომ შეწუხდა (შემოდინა მუშები და შემოაქვთ რადიომიმღები, ტელევიზორი, ჯერ ერთი, შემდეგ მეორე ტელევიზორი და მაცივარი).

პირველი მუშა — (რადიომიმღები დადო) მიტროფანე კუჭუტარიამ მოგართვათ (გადის).

მეორე მუშა — (ტელევიზორი დაღო) მელენტი ცოტაძემ მოგართვათ, თქვენი ჭირიმი! (გაღის).

მესამე მუშა — (ტელევიზორი დაღო) ოგანეზ მკრტიჩიანმა მოგართვათ (გაღის).

მეოთხე მუშა — ეს მაცივარი სოლომონ ბაჩაკაშვილმა გამოგიგზავნათ; ეს მეორე კი ამბროსი კუხიანიძემ (მუშები გავიდნენ).

კიწო — (კარებში იხედება) ისევ პიანინო და მაცივარი მოაქვთ!

კაპიტო — უთხარი იქ შეიტანონ, იმ ოთახში (კიწო გავიდა).

კიწოს ხმა — აქეთ მოიტანე, აქეთ!
ლიზიკო — კაპიტო, გენაცვალე, ვშენდებით და ეს არის!

კაპიტო — კარგია მარა, ვაი თუ ამას უბედურება მოყვებს!

ლიზიკო — ვაიმე! რა უბედურება, რას ამბობ, შემოგველე?

კაპიტო — თუ გაიგეს... ხომ იცი, რა ამბავია ახლა მექრთამეობაზე!

ლიზიკო — საშიშია ვითომ? (შემოდის კიწო და შემოაქვს ორი დიდი კალათი).

კიწო — აჰა, პურმარილიც მოვიდა! (ამოალავა შემწვარი გოჭები და სხვა სანოვადე). ამაში კი სერვიზი უნდა იყოს (ალაგებს მაგიდაზე ჭურჭლეულს). ესენი ნომერ მეორე რესტორანიდანაა. ყოჩაღ, ბენო ბიძია!

ლიზიკო — კიწო, არაა ახლა ავი ამბავი საშიში?

კიწო — რა ამბავი, ქალბატონო?

ლიზიკო — ამდენი რამე... ჭრთამად რომ ჩაუთვალონ ჩემს კაპიტოს?

კიწო — რას ამბობ, ბატონო, რის ჭრთამი, რა ჭრთამი! კაცმა საკუთარი სახლი აიშენა, „ნოვოსელია“ მოაწყო, ბატონო, და მეგობრებმა საჩუქრები მოართვეს. რაია აქ საქრთამო? ამისანა დროს მირთმევა წესია, ბატონო! ბოლოს და ბოლოს, ქართველები ვართ, ავიც გვესმის, ბატონო, და კარგიც!

ლიზიკო — ნამეტანი არ გამოვიდეს!..

კიწო — მაგაზე თქვენ ნუ იღარდებთ, მე ვარ აგერ ყველაფერზე პასუხისმგებელი. ხომ არ მოგითხოვიათ, ბატონო! თი-

თონ მოგართვეს თავისი ნებით დასუსტებული ვილით.

კაპიტო — კიწო! მიაქციე ყურადღება, რასაც მოიტანენ, იქით შეინახე, იმ ბოლო ოთახში და კარები მაგრად დაკეტე (მუშებს შემოაქვთ ვეებერთელა ჩინური ლარნაკი).

მუშა — ეს დოჭი, ბატონო, ყაისარ ტყავაძემ მოგართვათ.

კიწო — ყოჩაღ, ყაისარ! კარგია (მუშა გავიდა).

ლიზიკო — ეს ლარნაკი აგერ, აქ დამიდგი, ჩემო კიწო!

კიწო — კი, ბატონო! (ლარნაკი დადგა. კარებთან მივიდა, გაიხედა). კიდევ მოაქვთ რალაცა (გავიდა).

ლიზიკო — სკამები რომ არ გვაქვს, კაპიტო გენაცვალე!

კაპიტო — დოცლაპები, მაიღა გამო-მოგზავნეს და სკამები არ მოაყოლეს!

ლიზიკო — საცაა სტუმრებიც მოვლენ, რა უნდა ვქნათ ახლა?

კაპიტო — (სუფრის გაწყობას შეუდგა) ალბათ, მოიტანს ვინმე. მოდო ეს სუფრა გავაწყოთ (ლიზიკო სუფრაზე თევშებსა და სანოვადეს აწყობს. შემოდის კიწო).

კიწო — მოტანილია სამი პიანინო, მქვსი ტელევიზორი, ცხრა რადიომიმღები, ოთხი ნოხი, შვილი...

კაპიტო — სკამები არ მოუტანიათ?

კიწო — სკამები არაა ჯერ (შემოდინა ბოლიკო და ვარდიკო).

ბოლიკო — მშვიდობა აქა (ლიზიკოს ხელზე კოცნის, კაპიტოს და კიწოს ხელს ართმევს. ვარდიკო კოცნის ლიზიკოს). კარგი სახლია, ბატონო კაპიტო! მომილოცავს, სიხარული და ბედნიერება ამ ოჯახს.

კაპიტო — მაღლობთ, მაღლობთ.

ლიზიკო — მაღლობთ. სახლი კაია, მარა ქე გადაყევით ამის აშენებას, დიდი ვალიც დაგვედო...

ბოლიკო — ბევრი ვერ შევძელით და ეს პატარა საჩუქარი ამ ბედნიერ დღესთან დაკავშირებით მიიღეთ ჩვენგან (ლიზიკოს რაღაც შეხვეული გადასცა).

ლიზიკო — (გაშთართვა) რატომ წუხდებით, თქვენი ჭირიმი, რა საჭირო იყო! (შეხვეული მაგიდაზე დადო).

კაპიტო — როგორ არის თქვენთან საქმე, ამხანაგო პოლიო?

პოლიო — კარგად, კაპიტო სოლომონოვიჩ, გეგმას ვასრულებთ თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით.

კიწო — (შეხვეულს ხსნის) რაია ავი, პოლიო ჩემო? ოჰო, ეს თქვენია, ქალბატონო ლიზიო! (გაშალა ქურჭი). აბა ერთი მოვიტოო! (ლიზიოს ქურჭს აწვდის).

ლიზიო — რა საჭირო იყო, რატომ შეწუხდით (ქურჭი ჩაიცვა).

კიწო — ზუსტად თქვენს ტანზეა შეკერილი, პირდაპირ დაგხატა, ქალბატონო! (ყველანი ათვალიერებენ ქურჭს. შემოდინ დათიკო და ნინიკო).

კაპიტო — ო! დათიკო ჩემო! მესიამოვნა თქვენი მოსვლა. საღამო! (ნინიკოს ხელზე კოცნის) მობრძანდით, მობრძანდით!

დათიკო — (კიწოს) ერთი უთხარი იმ კაცს (კარებისკენ უჩვენა) სად წაიღოს იგი...

კიწო — (კარებში გაიხედა) აქეთ, აქეთ მოიტათ (მუშებს შემოაქვთ სარკე). აი აქ დადგით (მუშებმა სარკე დადგეს და გავიდნენ).

დათიკო — ეს მცირე საჩუქარი მიიღეთ ჩემგან, ქალბატონო ლიზიო.

ლიზიო — (სარკეში იხედება, ქურჭა ათვალიერებს) რატომ შეწუხდით, ბატონო, რა საჭირო იყო!

დათიკო — რა შეწუხებაა, აბა რისთვის ვართ ქვეყანაზე!

კაპიტო — შენ ის მითხარი, დათიკო ჩემო, როგორაა თქვენთან საქმე?

დათიკო — ნამეტანი კარგად, სოლომონოვიჩ. თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით და მითითებით გეგმებს გადაჭარბებით ვასრულებთ (შემოდის ერასტო და ნაზიკო).

ლიზიო — ო! ნაზიკოს ვენაცვალე (კოცნის). როგორ გამახარეთ, მობრძანდით, მობრძანდით! (ერასტო და ნაზიკო ესალმებიან ყველას).

ერასტო — კიწო, ერთი მიხედუე იქით, თუ კაცი ხარ! (კარებისკენ მიუთითა).

კიწო — (კარებთან მივიდა) საწოლი

გარნიტური?! მოიტათ, მოიტათ! (გაუგონისმის მისი ხმა: აქეთ, აქეთ მოიტათ. აა ამ ოთახში დაალაგეთ).

კაპიტო — რატომ შეწუხდი, ჩემო ერასტო, რატომ დაიხარჯეთ, პირდაპირ უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენეთ!

ერასტო — როგორ გეკადრებათ, კაპიტო სოლომონოვიჩ. რა შეწუხებაა, ბოლოს და ბოლოს, თქვენი გვიდგია სული. კაცი კაცითაა, ბატონო!

კაპიტო — შენ ის მითხარი... ისა... როგორ არის საქმე თქვენს ობიექტზე, გეგმას ასრულებთ?

ერასტო — თქვენ რომ არ დაგვხმარებოდით, ბატონო, ჩავარდნა გექნოდა. მაგრამ ახლა კარგად გვაქვს საქმე. თქვენი პირადი და უშუალო ხელმძღვანელობით ჩვენ გეგმას შევასრულებთ, სოლომონიჩ, აუცილებლად შევასრულებთ (შემოდის კიწო).

კიწო — მშვენიერი გარნიტურია! ერთი აქეთ მობრძანდით, ქალბატონო ლიზიო, თქვენც, კაპიტო სოლომონიჩ, ნახეთ, რა საჩუქარი მოგართვათ ამხანაგმა ერასტომ! (კაპიტო, ლიზიო და კიწო გადიან).

პოლიო — (ერასტოს) ძაან გამოგიღვია თავი! რა დაგიჯდა, თუ ძმა ხარ, მაგი გარნიტური?

ერასტო — იპ!.. შეგეძამა ამ ოჯახქორმა და ეგ არის. არ მოუტან და ვინ იცის რას მოგიხერხებს!..

დათიკო — აბა, კაცო! მაგის ხელში არ ვართ?! უნდა დაგლუპავს, უნდა აგაშენებს.

ვარდიკო — მაინც რა ბედი აქვს ამ ბრუციან ლიზიკოს! ორი წელიწადი არც კი გასულა, რაც მაგისი ქმარი მმართველად დანიშნეს და ხომ ხედავთ, ბატონო?

ნინიკო — ჰე! რა სახლი ააშენეს!..

ნაზიკო — ცეცხლსაც დაუწევს აქაურობა.

ვარდიკო — ამინ!

ნაზიკო — შხამად შეარგოს ღმერთმა ყველაფერი.

ყველანი — ამინ! (შემოდინა ლიზიო, კაპიტო და კიწო).

ნაზიკო — საწოლი გარნიტურით უკ-

მაყოფილო ხომ არ ბრძანდებით, ძვირფასო ლიზიკო?

ლიზიკო — არა უშავს, კარგია, მაღლობით! ჩემო ნაზიკო, თქვენი პატივისცემას არ დაიფიქვებს კაპიტო სოლომონიჩი.

ნაზიკო — მშვიდობაში და სიხარულში მოგახმაროთ ღმერთმა.

ვარდიკო — გაცოცხლოთ და გაბედნიეროთ ამ თქვენი ოფლითა და ჯაფით აშენებულ სახლში.

ნაზიკო — ტკბილად შეგარგოთ ღმერთმა ყველაფერი.

კიწო — რაღას ველოდებით ახლა! მოდით, მობრძანდით მაგიდასთან.

ლიზიკო — უიმე, რა ვქნა ახლა, სკამები რომ არ გვაქვს: კიწო, ამ პატიოსან ხალხთან ხომ შეგერცხვით?!

დათიკო — სკამები რა აუცილებელია! უტხოეთში ბანკეტებს რომ მართავენ, სტუმრები სუფრასთან ფეხზე დამდგარი არიან. უნდა გადმოვიდოთ კულტურა უტხოეთიდან.

კიწო — მაგისტანა კულტურაც შევარცხვინე! ფეხზე დამდგარი ძროხები ქაშენ. რა ღმერთი გავიწყრათ, სკამი ვერ მოათრიეთ?

დათიკო — (თავისთვის) ამ სარკის ფული ძლივს შევაგროვე თანამშრომლებში, სკამები მძიმითხვე ახლა შენ?!

ერასტო — არა უშავს, კაცო, იოლად წავალთ. მობრძანდით, მობრძანდით.

პოლიკო — გვაპატიე, სოლომონიჩ, გვაპატიე. ხვალ დილით სკამები აქ იქნება.

კაპიტო — (უქმყოფილოდ) ხო, კარგი, კაცო, კარგი! სკამების ყიდვას როგორმე მოვახერხებთ.

კიწო — აგერ გავშლით ნოხზე.

წამოძახილები — კარგი აზრია, კარგი! (მაგიდიდან ყველაფერი ნოხზე გადაიტანეს).

კიწო — ვაიმე! ჭიქები სადაა, კაცო!.. ამით დაექცა ოჯახი, ჭიქა კი არავის მოუტანია, თფუ! (კარებზე კაკუნი) რომელი ხარ, შემოდი! (შემოდის ამბროსი). რა გინდა, კაცო?!

ამბროსი — ბოდიშს ვიხდი, ცუდი დღეა მოვსლევარ. წავალ (კარებისკენ მიხრუხლავ).

კიწო — რაზან მოდი, თქვი რა გინდა.

ამბროსი — თქვენი ნახვა მიწოდლა, ბატონო დირექტორო!

კაპიტო — სამსახურის საქმეზე ხართ?

ამბროსი — დიახ... ესე იგი, სამსახურში მოწყობის შესახებ, შენი ჭირიმი.

კაპიტო — აქ, გეთაყვა, ჩემი სახლია და არა დაწესებულება! სამსახურის საქმეზე დაწესებულებაში უნდა მოხვიდეთ. ასე როგორ შეიძლება, აღამიანს საკუთარ სახლშიც აღარ ასვენებთ!

ამბროსი — ქვე ყოველდღე დავდივარ, მაგრამ თქვენმა პირადმა მდივანმა არ შემომიშვა. სამსახურში მოწყობის საკითხზე დირექტორი ქვე არ ღებულობს, კადრების განყოფილების გამგესთან მიდიო.

კაპიტო — შერე და მისთლიყავით!

ამბროსი — დავდივარ, ბატონო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ქვე აგერ ბრძანდება (კიწოზე მიუთითა) და თითონ თქვას.

კიწო — წადი, წადი ახლა და ერთი თვის შემდეგ გამოიარე. თუ აღვილი იქნა, გაგაგზავნი სადმე.

ამბროსი — რამდენი ხანია სულ ეგ მესმის თქვენგან.

კიწო — გვადროვე და რაღაცას მოგიხერხებ.

ამბროსი — წვრილი ბალღების პატრონი ვარ, შენი ჭირიმი, მიშველე რამე.

კიწო — გეყოფა ახლა! (კარი გააღო, ანიშნა გადიო). გამოიარე ორ-სამ თვეში, ვეცლები დაგეხმარო. ახლა აღვილი არ გვაქვს...

ამბროსი — აღვილი ბევრჯერ იყო, ბატონო, მაგრამ ყოველთვის სხვა გაგზავნეთ, მე კი დაპირებებით მისტუმრებთ.

კიწო — შენ, გეტყობა, ინტრიგანი ხარ!

ამბროსი — რას ბრძანებთ, ბატონო, ინტრიგანობის რა შემადგენელი!

კიწო — აბა რა, შენი საქმეა, ვინ სად გაგზავნეთ... აგენტი თუ ხარ, ბიძია, ახლავე გვითხარი.

ამბროსი — მე პატიოსანი კაცო ვარ,

ღანეხმართ, სირცხვილს არ გაუმევეთ.

კიწო — გადი, კაცო, გადი! (ამბროსი გავიდა). პატიოსანი კაცი! ეის უნდა ამ მათხოვრის პატიოსნება...

კაპიტო — ადგილი თუ იყო, გაგეშევა ეს უბედური!..

კიწო — იმ ადგილში, ბატონო... მაგი რომ გაგეშევა, რა ხეირი იქნებოდა... აბა! „მობრძანდით (სუფრასთან მივიდა). თფუ! ჭიქები არ არის... (გარედან ისმის მანქანის საყვირის ხმა).

ლიზიკო — ჩემო გენიოსაა, იმას ვენაცვალე! (ფანჯარაში გადაიხედა) ბიჭი მოვიდა, კაპიტო!

გენიოსას ხმა — დედა! გარეყის გასაღები!

ლიზიკო — ახლავე, დედა გენაცვალოს! კაპიტო! სადაა გასაღები?

კაპიტო — (გასაღები ჯიბიდან ამოიღო) ა, ბიჭო! (გადაუდგო).

პოლიკო — (კარებისკენ მიდის) მე ახლავე გეახლებით.

კაპიტო — თქვენ საით, ამხანაგო პოლიკო?

პოლიკო — ჭიქებს მოვიტან, ათ წუთში აქ ვიქნები.

კიწო — კარგია, კარგი! წადი (შემოიჭრნენ მთვრალი გენიოსა და კიბურჭა).

გენიოსა — (ტუჩები ენით მოისველა) ქეიფობთ? გენაცვალეთ სულში... (ყველა შეათვალიერა) კიბურჭ!

კიბურჭა — აქა ვარ, ჯივარო!

გენიოსა — ეგ რა ხალხია, ტოვ?! (სუფრა შეათვალიერა). აზრზე ხარ, რა ტოვებ პურმარილი ფუჭდება?!

კიბურჭა — მაშა!.. დაცა, როგორ თუ ფუჭდება, აქ არა ვართ?!

გენიოსა — აბა ერთი (კიბურჭას ხელი გადასდო, მღერიან: „დავდივარ ქუჩაში და ასე მგონია...“ უეტრივ სიმღერა შეწყვიტა). დედა!

ლიზიკო — რა იყო, დედა გენაცვალოს?

გენიოსა — ტელეფონი!

ლიზიკო — ჯერ არ დაუდგამთ...

გენიოსა — როგორ თუ არ დაუდგამთ!

(კაპიტოს) შენ რას აკეთებდი, ტელეფონი ვერ დაადგმევინე?

კაპიტო — რად გინდა, შვილო, ახლა ტელეფონი?

გენიოსა — მეგობრებს უნდა დავუძახო, ქეიფი მინდა, ქეიფი! ამისთანა სუფრას ხალხი უნდა უჯდეს, ეგენი ვინ არიან?! აფსუსი არ არის, კიბურჭ?

კიბურჭა — მაშ, მაშ!

გენიოსა — წავიდეთ, ძმაბიჭებს დავუძახოთ! (კარებისკენ გაიწია).

ლიზიკო — (კარებს მივარდა, გადაკეტა) დაცა, შვილო, ნუ წახვალ, უხერხულია, უტვო სტუმრებთან (კარებზე აკაკუნებენ). ვინ ბრძანდებით?

ხმა გარედან — პროკურატურიდან ვართ, გააღეთ კარები!

ლიზიკო — კაპიტო, რა ვქნათ ახლა, რა გუყოთ ამას, სად გადავმალეთ, თქვი რაიმე, ადამიანო?!

კაპიტო — აბა, რა უნდა ვთქვა! მგონი ვიღუბები! (ყველანი შეჩაფუფუნენ).

წამოძახილები — ჩვენ რა ვქნათ, ყველას დავვიკებრენ. გაგეჩხრეკენ (კვლავ აკაკუნებენ).

კიწო — მოიტათ აქ, ვისაც ფული და ძვირფასეულობა გაქვთ! (მამაკაცებს ჯიბიდან ამოაქვთ შეკვრა ფულები, ქალები აძლევენ. ბეჭდებს, სამაჯურებს, კაკონი განმეორდა. კიწო ფანჯრიდან გადაეშვა).

ხმა გარედან — სდექ! არ დაიძრეთ, ხელები მაღლა!

ლიზიკო — (ფანჯარაში გადაიხედა) კიწო დააკავეს! დავიღუპეთ, დავიღუპეთ, დავიღუპეთ! (კაკონი განმეორდა. კაპიტომ კარები გააღო).

ფარდა





ბულგარეთი

„მწერლის კმირეული“

ამ სათაურით ყოველკვირეული „ლიტერატურა და ფრონტი“ ათავსებს თავისი სპეციალური კორესპონდენტის მ. შაკელის საუბრებს უხუცეს ბულგარელ მწერლებთან. ამას წინათ შაკელ ესტუმრა მარია გრუბეშლიევას და მისცა მას რამდენიმე შეკითხვა. ერთ-ერთი კითხვა ასეთი იყო:

— რას ფიქრობთ დასავლეთის მოდურ ლიტერატურულ მიმდინარეობებზე?

— მე არ მიყვარს დასავლეთის ნაწილები მოდური ლიტერატორების კითხვა. ჩემი აზრით, ჩვენი ახალგაზრდა მწერლების ერთი ნაწილის გატაცება ლიტერატურული ფეიერვერკებით აიხსნება მისწრაფებით — რაღაც უნდა დაუჯდეთ იპოვონ ახალი, თუნდაც საშუალო ღირებულებისა. მე არ მიყვარს აღმერთო მორავიას რომანები, თუმცა მისი მოთხრობები ძლიერ მომწონს. სულ სხვაა, მაგალითად, ჰენრიხ ბიოლი. მისმა

რომანმა „ტაკიმას ხარას თვალთ“ ფრიად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ხედვის თავისებურებით, თხრობის ჭეშმარიტი ნოვატორული მანერით.

მე არავის არ ვახვევ ჩემს შეხედულებებს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ერთი მხრივ, ჰემინგუეისა და კოლდუელის, ზოლო. მეორე მხრივ, კაფკას შორის დიდი განსხვავებაა. მე ნოვატორობის წინააღმდეგი არა ვარ. მაგრამ ვფიქრობ, რომ ნოვატორობას „მწვანე ქუჩას“ უხსნის მხოლოდ სოციალისტური რეალიზმი.

ა უ უ

ედვარდ ოლბის
გამოცანა

ედვარდ ოლბი ერთ-ერთი ცნობილი დრამატურგია ამერიკის შეერთებულ შტატებში. მან დაწერა რამდენიმე პიესა, რომლებიც მოიწონეს კრიტიკამ და მაყურებლებმა. ერთი მათგანი „ბესი სმიტის სიკვდილი“ რუსულადაც ითარგმნა. ბოლო დროს იგი ხარკს უხდის მოდურ „აბ-

სურდის თეატრს“. მიმდინარე სეზონში ოლბიმ დადგა პიესა „პაწაწინა ალისა“, რომელიც თეატრალური კრიტიკოსების აღიარებით „ბროდუეის გამოცანად“ იქცა. „უველადილობს ამოხსნას, რასურდა ავტორს ეთქვა ამ პიესაში, — დაცი ნვით წერს უფრანლ „ტაიმის“ მიმოხილველი. — კრიტიკოსები უმძლური არიან“.

პიესის ოთხი პერსონაჟი: კარდინალი, ადვოკატი, ვიკარი და პაწაწინა ალისა საშინლად ტანჯავენ ერთმანეთს და ბოლოს და ბოლოს ვიკარის რევოლვერით ჰკლავენ. „ტაიმის“ მიმოხილველის თქმით, ამ პიესაში ოლბის სიმბოლიკის ამოხსნა რაღაც „აბა, გამოიცანი!“ თამაშად გადაიქცა“.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმის“ ცნობილმა თეატრალურმა კრიტიკოსმა ჰ. ტაუმენმა ცი აღიარა თავისი სრული უმწეობა: ვერაფერი თქვა პიესის იდეაზე. „ვერაფერი გავიგე“, — განაცხადა გაზეთ „დე-

ილი ნიუსში“ ჯ. ჩეპმენმა. „სელი ამიწვევა“, თქვა რ. უატსმა „დეილი პოსტში“. „არეული აზრების სლარი. სრული მისტიფიკაცია“ — ასეთია „ტიმის“ მიმზომილელის დასკვნა.

განა

რასობრივი
დისკრიმინაციის
წინააღმდეგ

თეატრ „განა პლეიზა-უზის“ სცენაზე დაიდგა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული ჯ. უაიმენის პიესა „ლომის დღე“.

პიესის მოქმედება მიმდინარეობს აფრიკის ერთ-ერთ სოფელში. აფრიკელი ქალიშვილი და თეთრკანიანი მოჯამაფიერ ერთმანეთს შეიყვარებენ. მაგრამ პარტიდის ვითარებაში სხვადასხვა კანისფერის ადამიანებს არა აქვთ პირადი ბედნიერების, სიყვარულის უფლება. თეთრკანიანი ბატონი გააგდებს აფრიკელ ქალიშვილს თავის „ფერადკანიან“ ბავშვთან ერთად.

პრესის ცნობით, პიესა მოსწონს მაყურებელს.

ინგლისი

ბარლამიკალა თომას
ელიოტი

77 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ინგლისელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი თომას ს. ელიოტი. ინგლისური კრიტიკა სოფლის, რომ მისმა შემოქმედებამ, კერ-

ძოდ, დრამატულმა ნაწერებმა, პოეზიამ და კრიტიკულმა ნაშრომებმა გავლენა მოახდინეს ეროვნულ კულტურაზე.

საზრუნავი

„ძალი და ლიტერატურა“

უურნალ „ეროზის“ ერთ-ერთი უანასკნელი ნომერი ქალებს მიეძღვნა. მისი მთავარი თემაა ქალთა ემანსიპაცია. ამ თემაზე არის მიმოხილული ფრანგული (XII საუკუნიდან დღემდე), რუსული (კლასიკური და საბჭოთა); სკანდინავიური, იტალიური, ინგლისური, ამერიკული და ჩინური ლიტერატურა.

„ჩვენს დროში მამაკაცი და ქალი თანაბრად მონაწილეობენ პროგრესისათვის ბრძოლაში, — ნათქვამია როლან პიერის სტატიაში, — მოხდა ისე, რომ ამ ბრძოლაში ქალები მაგალითის აძლევენ მამაკაცებს. სიყვარულმა შეიძინა ახალი აზრი — იგი წდება საყოველთაო ბედნიერების ნაწილი“.

„მამაკაცისა და ქალის ახალი ურთიერთობა შობს ახალ პოეზიას, ახალს სიყვარულის გაგებითაც და გამოთქმის მანერითაც“, — წერს სუზანა ლაბრი ესეიში „ქალი, სიყვარული, პოეზია XX საუკუნეში“, რომელშიც იგი განიხილავს აპოლინერის, არაგონისა და ელუარის პოეზიას.

უურნალში დაბეჭდილია სტატიები მუსიკოს და მხატვარ, თეატრისა და კინოს მხსნობ ქალებზე.

ნომერი ილუსტრირებულია პიკასოს სურათებითა და ნახატების და ფრანგო მხატვარი ქალების ნაწარმოებთა რეპროდუქციით.

გ დ რ

მუშათა კლასის
მომდებარი

ერნსტ ბუშის დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით ბერლინის გამოცემილმა „შენშედ-ფერ-ლაგმა“ გამოცხადა ამ გამოცემილი მომდებარისა და მხსნობის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ილუსტრირებული მონოგრაფია.

როგორც გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის“ კორესპონდენტი იუწყება, ჰერ კიდეც 1960 წელს გერმანული სელოვნების აკადემიამ დაადგინა გამოცემა გრამფიჭვების რამდენიმე სერია ბუშის მიერ შესრულებული რევოლუციური და სალსური სიმღერების ჩანაწერებით. „ინტერნაციონალური ბრიგადების სიმღერების“ ციკლს მოჰყვა „ახალი გერმანული სალსური სიმღერები“ (ი. ბეშერის ტექსტი), სიმღერები ვ. მაიაკოვსკის, ლ. ფიურნბერგისა და ფ. ვედეკინდის ტექსტზე.

იტალია

სამეპტაკლი
მუშებისათვის

ნეაპოლში დიდი წარმატება ხვდა ელუარდო დე ფილიპოს ახალი პიესის

„კომედის ხელოვნება“
პრემიერას.

„პიეზა-სერას“ კორეს-
პონდენტი წერს, რომ ოფი-
ციალური პრემიერის წინა-
დღეს დე ფილიპომ თავისი
სპექტაკლი უჩვენა იტალი-
ის თეატრისათვის უჩვეუ-
ლო აუდიტორიას — მაყუ-
რებელთა დარბაზში ისხდ-
ნენ მხოლოდ ქარხანა
„იტალიდგრის“ მუშები და
დრამატურგ-რეჟისორის მი-
ერ მოწვეული თეატრალუ-
რი კრიტიკოსები. ახალი
სპექტაკლების ჩვენება მუ-
შებისათვის არის ტრადი-
ცია, რომელსაც ამას წინათ
ჩაუყარა საფუძველი დე
ფილიპომ „სან ფერდინან-
დოს“ თეატრში (იგი არის
ამ თეატრის ხელმძღვანე-
ლი).

„იტალიური ცოლ- ქმრობა“

გაზეთ „რინაშიტას“ ცნო-
ბით, ცნობილი იტალიელი
კინოარტისტი მარჩელო მა-
სტროიანი, რომელმაც მთა-
ვარი როლი შეასრულა პი-

ეტრო ჯერმის ფილმში
„იტალიური განქორწინე-
ბა“, კინოარტისტ სოფი-
ლორენთან ერთად მონაწი-
ლეობს ვიტორიო დე სიკას
სატირიკულ კომედიაში
„იტალიური ცოლ-ქმრობა“.

გ ფ რ

ისტორია შემოვლიდა...

როგორც ცნობილია, თა-
ვის დროზე ნაცისტებმა
თომას მანი ამოშალეს ბო-
ნის უნივერსიტეტის საპა-
ტრო დოქტორთა სიდიან,
შემდეგ ჩამოართვეს გერ-
მანიის ქვეშევრდომობა და
ბრალად დასდეს „სახელ-
მწიფო ღალატი“. ახლა და-
სავლეთ გერმანიაში ისეთი
ვითარებაა, რომ შესაძლე-
ბელი გახდა თითქმის ასე-
თივე ისტორიის გამეორე-
ბა.

ქალაქ მანჰაიმის მუნიცი-
პალურმა საბჭომ გადაწყ-
ვიტა შილერის პრემია მიე-
ნიჭებინა თომას მანის შვი-
ლის — ისტორიის პროფე-
სორ გოლო მანისათვის
„თანამედროვე ისტორიის

განმარტებაში მისი დამსა-
სურების აღსანიშნავად“
ამის პასუხად რევანსისტუ-
ლმა ფურცელმა „ზოლდა-
ტენცაიტუნგმა“ დიდი სა-
თაურით „გერმანიის ღალა-
ტი“ ბრალი დასდო მანჰა-
იმის მუნიციპალურ საბჭოს
„მცდარ“ გადაწყვეტილება-
ში, რამდენადაც თავისი
პუბლიცისტური მოღვაწე-
ობით პროფესორი გოლო
მანი ვითომც აშკარა სიმპა-
თიით ეკიდება პოლონეთსა
და პოლონელ ხალხს. გო-
ლო მანს ისიც მოაგონეს,
რომ იგი მოკავშირეთა მხა-
რეზე იბრძოდა გერმანული
ფაშიზმის წინააღმდეგ. ეს
აზრი „ზოლდატენცაიტუნგ-
მა“ მიუკიბ-მოუკიბავად გა-
მოიტყვა: „როცა გერმანიის
ქვეშევრდომს მტრის არ-
მიის ფორმა აცვია და იარა-
ღით ხელში იბრძვის თანა-
შემამულეთა წინააღმდეგ,
ამას ჩვენ „სახელმწიფოს
ღალატს“ ვუწოდებთ“.

ისტორია მართლაც მეო-
რდება...



ზელმოწერილია დასაბეჭდად 17/VI, 1965 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი.
შეკვეთის № 3354, ემ 00603, ქალაქის ზომა 60X90, ტირაჟი 1.600.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის
მთავარბოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა, № 9 (ლუქსემბურგის, 22).

ფან 40 333.

15/10/68
ბიბლიოთეკა
განმანათლებლობის

ბიბლიოთეკა
708 რეეს
ვინაა
რეკონსტრუქცია
6 5

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„*ლიტერატურული აფჯარა*“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ИНДЕКС 76118